186
1986

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის ღაღგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1986 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18.405

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1986 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

7. საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესებში დამატების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

8. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.
9. „საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
10. „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის დებულების შესახებ“ საქართველოს სსრ მინიტრთა საბჭოს 1981 წლის 28 დეკემბრის № 884 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
11. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანასთან დაკავშირებით სამინისტროს სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სამმართველოთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სპ. ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. 1986 წლიდან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და სხვა გაერთიანებებზე (საწარმოებზე) მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობების გავრცელებასთან დაკავშირებით მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

13. საქართველოს სს რესპუბლიკაში საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის სამეურნეო აუცილებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის დამასაბუთებელ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ.

14. საქართველოს სს რესპუბლიკაში 4 მილიონზე ნაკლები გაანგარიშებული ღირებულების საწარმოებისა და ნაგებობების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა დამტკიცების წესის შესახებ.

15. ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლების დებულების დამტკიცების შესახებ.

16. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის V კარის — „კანონმდებლობა მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ“ — მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

17. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის IV კარის — „კანონმდებლობა სახალხო მეურნეობის შესახებ“ — მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

19. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დებულების, მმართველობის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის დამტკიცების შესახებ.

20. ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთისა დ კალათბურთის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლების გახანგრძლივებული დღის სწავლების სპორტული პროფილის ფეხბურთისა და კალათბურთის ექსპერიმენტულ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან გაერთიანების შესახებ.

21. საქართველოს სსრ მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების დებულების დამტკიცების შესახებ.

22. მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობისათვის ერთიანი დოკუმენტის შემოღების შესახებ.

23. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 თებერვლის № 237 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 თებერვლის № 133 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 695 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

26. „იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ საშსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილს № 242 დადგენილების დამატების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. რესპუბლიკაში სამეცნიერო და სამეცნიერო პედაგოგიური კადრების მომზადების მდგომარეობისა და მისი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

28. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების („საქწყალექსპლუატაცია") შექმნის შესახებ.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 დეკემბრის № 835 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

30. არქიტექტორთა შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად არასაცხოვრებელი სადგომების გამოყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

7 საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესებში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, და დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 2 სექტემბრის № 577 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების 34-ე პუნქტის „ზ" ქვეპუნქტს სიტყვების: „(გაერთიანებაში, ორგანიზაციაში") შემდეგ სიტყვები „ან როცა მუშებსა და მოსამსახურეებს, წარმოების მოწინავეთა რიცხვიდან — მუშათა დინასტიების ოჯახების წევრებს (მშობლები, შვილები, მეუღლეები) აქვთ ამ საწარმოში (გაერთიანებაში, ორგანიზაციაში) არანაკლებ 20 წლის განუწყვეტელი მუშაობის საერთო სტაჟი".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 21 აპრილი, № 263

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

8 სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ვარძელაშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 4 მარტი, № 135

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 4 მარტის № 135 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების შესახებ

1. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილებას საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად ქმნის სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭო და თავის საქმიანობაში იგი ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა რაიონულ (საქალაქო) საბჭოსა და მის აღმასკომს.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში საქმისწარმოების ზუსტი ორგანიზაციის უზრუნველყოფა;

ბ) სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს სესიისა და მისი აღმასკომის სხდომების ორგანიზაციულ-ტექნიკური მომზადება;

გ) მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის დადგენილი წესის მკაცრი დაცვის უზრუნველყოფა;

დ) სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის სამეურნეო მომსახურება.

3. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებითა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს, მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

4. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილება მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ორგანიზაციას უწევს საქმის წარმოებას სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში; შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს საქმისწარმოების რაციონალური დაყენებისათვის; ახორციელებს მეთოდიკურ ხელმძღვანელობას საქმისწარმოების გაძღოლისადმი სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის განყოფილებებსა და სამმართველოებში, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებში;

ბ) დადგენილი წესებისა და საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად იღებს, რეგისტრაციაში ატარებს და დანიშნულებისამებრ გადასცემს შემოსულ კორესპონდენციას, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან დოკუმენტაციას; გზავნის გასულ კორესპონდენციას;

გ) ადგენს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის საქმეთა ნომენკლატურის პროექტს და წარადგენს მას დადგენილი წესით დასამტკიცებლად; აფორმირებს საქმისწარმოებაში დოკუმენტებს საქმეთა დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად;

დ) აფორმებს, აღრიცხავს და ინახავს დაწესებული ვადის განმავლობაში სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს სესიებისა და მისი აღმასკომის სხდომების ოქმებს, აღრიცხავს და ინახავს საქმისწარმოებით დამთავრებულ საქმეებს და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის დოკუმენტაციას, ამზადებს და აბარებს მათ არქივს მოქმედი წესების შესაბამისად;

ე) ახორციელებს კონტროლს აღმასკომში შემოსული სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების აქტების, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სხვა სამსახურებრივი დოკუმენტების შესრულების ვადების დაცვისადმი;

ვ) ახორციელებს კონტროლს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის განყოფილებებსა და სამმართველოებში, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებში საქმისწარმოების წესების დაცვისადმი;

ზ) აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებასთან ერთად ახორციელებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს სესიების, აღმასკომის სხდომების და მის მიერ ჩასატარებელი კონფერენციებისა და თათბირების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომზადებას;

თ) უგზავნის დაინტერესებულ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს, გასცემს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ასლებს, ამონაწერებსა და ცნობებს;

ი) უგზავნის სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს აღმასკომს რაიონული (საქალაქო) საბჭოს სესიის ოქმებსა და გადაწყვეტილებებს, რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სხდომათა ოქმებსა და გადაწყვეტილებებს;

კ) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში შემოსულ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, აღრიცხავს და გადასცემს მათ განსახილველად აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასკომის ხელმძღვანელებს; ორგანიზაციას უწევს მოქალაქეთა მიღებას სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში;

ლ) ახორციელებს კონტროლს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვისადმი, განაზოგადებს და აანალიზებს ამ მუშაობის მდგომარეობას სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის განყოფილებებსა და სამმართველოებში;

მ) ამოწმებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის დავალებით მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობას სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებში, რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, შეიმუშაებს და შეაქვს აღმასკომში წინადადებები შემოწმებათა შედეგების მიხედვით;

ნ) ხელს უწყობს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს დეპუტატებს ამომრჩეველთაგან შემოსული საჩივრების განხილვასა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციაში;

ო) უზრუნველყოფს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შენობისა და სხვა ნაგებობათა ჯეროვან მოვლა-პატრონობას; იღებს ზომებს სადგომებისა და სამუშაო ადგილების ისეთი მოწყობილობა-სამარჯვებით აღსაჭურვად, რომლებიც ამაღლებენ მმართველობითი შრომის კულტურას.

5. საერთო განყოფილება ახორციელებს თავის მუშაობას სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის პერსპექტიული და მიმდინარე სამუშაო გეგმების შესაბამისად შედგენილი გეგმების მიხედვით.

6. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილებას სათავეში უდგას გამგე.

საერთო განყოფილების გამგეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი, რაც შემდგომ მტკიცდება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს მორიგ სესიაზე.

7. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების გამგე:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას და უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას;

ბ) ორგანიზაციას უწევს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების, სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების, რაიონული (საქალაქო) დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმისწარმოებით დასაქმებულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს.

8. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების შენახვის ხარჯები გაიღება რაიონული (საქალაქო) ბიუჯეტიდან.

9. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების სტრუქტურა და შტატები მტკიცდება დადგენილი წესით.

10. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილებას აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

---

9 „საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილებით დამტკიცებულ დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების ტიპობრივ შტატებში ცვლილებანი, იმ ვარაუდით, რომ პედაგოგ-ორგანიზატორთა საშტატო ერთეულების რაოდენობა განისაზღვროს ერთი საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის მიერ მომსახურებულ ერთ მიკრორაიონში მცხოვრებ 300-600 ბავშვსა და მოზარდზე ერთი ერთეულის გაანგარიშებით, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანების შესახებ, დებულებანი თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო მეურნეობის სამმართველოების შესახებ, სანიმუშო დებულებანი საბინაო მეურნეობის ტრესტის შესახებ და დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის შესახებ, ავრეთვე საბინაო მეურნეობის ტრესტების, საბინაო მეურნეობის ტრესტების საბინაო-საექსპლუატაციო უბნების, დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების (უბნების, კანტორების, სახლმმართველობების) და მათი ბუღალტერიების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და სხვა სპეციალისტთა ტიპობრივი შტატები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ვარძელაშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 4 მარტი, № 136

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 4 მარტის № 136 დადგენილების დანართი

ტიპობრივი შტატები

დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების (უბნების, კანტორების, სახლმმართველობების) ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტებისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა, თუ საცხოვრებელი ფართობია (ათასი კვადრატული მეტრი)		
	70-ზე მეტი 150-მდე	50-ზე მეტი 70-მდე	35-დან 50-მდე
		შტატების კატეგორია	
	I	II	III
		შრომის ანაზღაურების ჯგუფი	
	V	VI	VII
უფროსი	11	1	1
მთავარი ინჟინერი	1	1	—
უფროსი ინჟინერი	0—1	—	—
ინჟინერი	1—2	1	1—2
ოსტატი	2—5	2	1—2
პასპორტისტი	1	1—2	1
ეკონომისტი	1—2	1	1
პედაგოგ-ორგანიზატორი	1*	1*	1*
აგენტ-ექსპედიტორი	1	1	1
მეკუჭნავე	1	1—0	—
მდივან-მემანქანე	1	1	1—0
შიკრიკ-დამლაგებელი	0—1	—	—
სულ	12—19	10—12	7—10

შენიშვნა: პედაგოგ-ორგანიზატორის ერთი საშტატო ერთეული შემოღებული იქნება მოცემული რაიონის მომსახურე ერთი საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის (**უბნის, კანტორის, სახლმმართველობის**) საშტატო განრიგში, თუ ამ რაიონში ცხოვრობს 300-600 ბავშვი და მოზარდი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის დებულების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 28 დეკემბრის № 884 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 28 დეკემბრის № 884 დადგენილებაში და საქართველოს სსრ ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციას შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია.

შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებანი აღნიშნული ინსპექციის დებულების ტექსტში და დამტკიცდეს იგი ახალი რედაქციით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა 1986 წლის დამლევამდე უზრუნველყოს შესწორებული დებულების გამოშვება 1500 ცალი ტირაჟით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ვარძელაშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 4 მარტი, № 137

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 4 მარტის № 137 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის შესახებ

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია ექვემდებარება საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს და აქვს დამოუკიდებელი სამმართველოს უფლებები.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ამ დებულებით, სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული სხვა ნორმატიული აქტებით.

3. სახელმწიფო ინსპექტირებას ახორციელებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია და მისდამი დაქვემდებარებული აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური, რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების შექმნა და გაუქმება, მათი სტრუქტურის, საშტატო ერთეულებისა და თანამდებობრივი განაკვეთების დამტკიცება (არსებული დებულების გათვალისწინებით) ხორციელდება საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბრძანებით.

4. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ძირითადი ამოცანაა განახორციელოს კონტროლი, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, აგრეთვე

სხვა უწყებები და ორგანიზაციები (მიუხედავად შათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ზუსტად იცავდნენ ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და მრავალწლიანი კულტურების სათესლე და სარგავი მასალის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, დამზადებული სათესლე და სარგავი მასალის შენახვის, დასათესად და დასარგავად მომზადების წესებს.

5. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ვარგისიანობის (ხარისხის) შესახებ დოკუმენტების გაცემის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია კრძალავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების შეუმოწმებელი ან უკონდიციო თესლეულისა და სარგავი მასალის რეალიზაციასა და გამოყენებას.

6. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების ორგანოების განკარგულებები და მითითებანი მათთვის დაკისრებული ფუნქციებისა და მინიჭებული უფლებების ფარგლებში სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის მწარმოებელი, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის, ხოლო პერსონალური პასუხისმგებლობა ინსპექციების მიერ გაცემული განკარგულებებისა და მითითებების შეუსრულებლობისათვის უშუალოდ ეკისრებათ მეურნეობათა და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

7. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოებს უფლება აქვთ:

— სისტემატურად გამოიკვლიონ და შეამოწმონ ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და მრავალწლიანი კულტურების სათესლე და სარგავი მასალის ხარისხი საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს პურის მიმღებ საწარმოებსა, სხვა სამინისტროთა და უწყებათა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში;

— სისტემატურად და შეუფერხებლად შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანიზაციები მთავრობის დადგენილებებს, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბრძანებებს მეთესლეობის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ წინადადებანი ზემდგომ ორგანოებში;

— კონტროლი გაუწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების სათესლე ნაკვეთებსა და სანერგეებში ყველა საჭირო და დამატებითი აგროღონისძიებების ვადების დაცვასა და ხარისხს, საწყობების, თესლეულისა და სარგავი მ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალის შესანახი სათავსების თესლსაწმენდი, თესლეულის დასახარისხებელი და დასაყალიბებელი ტექნიკის მზადყოფნის მდგომარეობას, სრული დატვირთვით გამოყენებასა და სხვა;

— ინსპექტირების დროს მოსთხოვონ მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ყველა საჭირო აგრონომიული და საბუღალტრო დოკუმენტაცია წარმოებული, შეძენილი, შენახული, დახარჯული და რეალიზებული სათესლე და სარგავი მასალის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ;

— რეგულარულად და შეუფერხებლად გააანალიზონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხი;

— სამი დღის ვადაში დააყენონ საკითხი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე იმ პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ, ვინც დაარღვია სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და გამოყენების დადგენილი წესები, ან გამოიყენა უკონდიციო (არასტანდარტული), შეუმოწმებელი და დაუმუშავებელი (შეუწამლავი) თესლეული და სარგავი მასალა;

— გადაჭრით აღკვეთონ მეურნეობებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებათა მიერ სათესლე და სარგავი მასალის შენახვა შეუფერებელ საწყობებში და ტრანსპორტირება უწესივრო სატრანსპორტო საშუალებებით;

— დააწესონ კონტროლი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე დამამზადებელ და რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხისადმი, უზრუნველყონ მაღაპროდუქტიული და მაღალხარისხოვანი თესლეულისა და სარგავი მასალის ჯეროვანი შენახვა, მომზადება დასათესად და დასარგავად, რეალიზაცია დადგენილი წესების შესაბამისად.

8. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციას სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე.

9. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის უფროსი:

— ემორჩილება საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კოლეგიას, კომიტეტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს (ამ დარგში, აგრეთვე მეთოდურ საკითხებში), სსრ კავშირის აგროსამრეწველო კომიტეტის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს;

— ხელმძღვანელობს გეგმით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მიერ;

— კანონით დადგენილი წესით განაგებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციისადმი დაქვემდებარებული ინსპექციების ქონებას, ახორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში ყველა ოპერაციას, მათ შორის ხსნის და ხურავს საანგარიშგებო და მიმდინარე ანგარიშებს, ხელს აწერს ბანკის ჩეკს და საგადასახადო დავალებებს, იღებს ვალდებულებებს;

— აუქმებს და ცვლის დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა მიერ მიცემულ მცდარ მითითებებსა და წინადადებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის წარმოების, გადამუშავებისა და ხარისხის განსაზღვრის თაობაზე, აუქმებს აგრეთვე მათ მიერ არასწორად გაცემულ დოკუმენტებს;

— აფორმებს სათანადო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციისათვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;

— წარმომადგენლობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის სახელით ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მათ შორის სასამართლო ორგანოებში, სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟში.

10. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის უფროსი, მისი მოადგილეები და მთავარი ბუღალტერი ინიშნებიან და თავისუფლდებიან საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბრძანებით, ხოლო დანარჩენი მუშაკები — რესპუბლიკური ინსპექციის ბრძანებით.

11. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექცია:

— ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების წლიურ სამუშაო გეგმებსა და საწარმოო ანგარიშებს, ამოწმებს მათს მუშაობას; პრაქტიკულ და მეთოდურ დახმარებას უწევს საქმიანობის სწორად წარმართვაში, თესლეულის თესვის, ხარისხის ანალიზის მექანიზაციის და ავტომატიზაციის დანერგვაში;

— ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების მიერ თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრას, ხარისხის განსაზღვრის ყველა მეთოდის ზუსტად დაცვას;

— ახორციელებს ღონისძიებებს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრის მეთოდების სრულყოფის, ახალი ხელსაწყოების გამოცდისა და წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელი კადრების, სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოსთან ერთად ორგანიზაციას უწევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პერიოდულად შეისწავლის, განაზოგადებს და ნერგავს მეურნეობა-სახელმწიფო ინსპექციების გამოცდილებას, განიხილავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის კონტროლის სრულყოფისათვის წარმოდგენილ რაციონალიზატორულ წინადადებებს და იძლევა სათანადო დასკვნებს. ეხმარება მეურნეობებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ მუშაკებს თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის გამოკვლევის მეთოდიკისა და დოკუმენტაციის შედგენაში;

— შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების ქსელის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს;

— ატარებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულის საარბიტრაჟო, საკონტროლო, შედარებითს, აგრეთვე განსაკუთრებით რთულ ანალიზებს, სასამართლო ექსპერტიზებს.

12. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები ექვემდებარებიან თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციას და სახელმწიფო ბიუჯეტზე არიან.

13. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციათა უფროსები ინიშნებიან და თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის წარდგინებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბრძანებით.

14. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების უფროსები და აგრონომები ინიშნებიან და თავისუფლდებიან ავტონომიურ-რესპუბლიკური და ავტონომიურ-საოლქო სახელმწიფო ინსპექციების წარდგინებით, რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის ბრძანებით, ხოლო ყველა დანარჩენი თანამშრომელი ინიშნება და თავისუფლდება შესაბამისი ინსპექციის უფროსის ბრძანებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციასთან შეთანხმების შემდეგ.

15. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების უფროსებად და აგრონომებად ინიშნებიან მხოლოდ შესაბამისი უმაღლესი განათლების, ხოლო ტექნიკოს-ლაბორანტებად საშუალო აგრონომიული განათლების მქონე პირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები ხელმძღვანელობენ გეგმით, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის აგროსამრეწველო კომიტეტთან და დამტკიცებულია თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მიერ.

17. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები:

— უწევენ მეთოდურ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების მუშაობას;

— განსაზღვრავენ მომსახურების ზონაში განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სანერგე მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში დამამზადებელ და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში არსებულ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს და აფორმებენ სათანადო დოკუმენტაციას;

— დამტკიცებული გეგმის თანახმად უწევენ კონტროლს, რომ რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი მეურნეობები, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო-საცდელი მეურნეობები და დამამზადებელი ორგანიზაციები მტკიცედ იცავდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო სტანდარტებს;

— აყენებენ საკითხს შესაბამისი ადგილობრივი ორგანოებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის წინაშე იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა უმოქმედობის ან დაუდევრობის შედეგად გაუარესდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხი;

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მითითებით მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ახალი სტანდარტებისა და სხვა დოკუმენტაციის პროექტების, მოქმედი სტანდარტებისა და დოკუმენტების დაზუსტება-შემუშავებაში, თესლეულისა და სარგავი მასალის დასათესად და დასარგავად მომზადებისა და მათი შენახვის, შესანახი დოკუმენტების გაფორმების წესებისა და რეკომენდაციების შედგენა-შემუშავებაში.

18. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად:

— განიხილავენ თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების წლიურ სამუშაო გეგმებს და საწარ-

18.405

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოო ანგარიშებს, აკონტროლებენ დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების საქმიანობას, უწევენ პრაქტიკულ და მეთოდურ დახმარებას მუშაობის სწორ ორგანიზაციაში, ნერგავენ თესლის ხარისხის ანალიზის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მეთოდებს;

— ხელმძღვანელობენ დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების მიერ თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრას, კონტროლს უწევენ ხარისხის განსაზღვრის ყველა მეთოდის ზუსტად დაცვას;

— ორგანიზაციას უწევენ დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მითითების შესაბამისად;

— ნერგავენ მოწინავე სახელმწიფო ინსპექციების გამოცდილებას, განიხილავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის კონტროლის სრულყოფისათვის წარმოდგენილ რაციონალიზატორულ წინადადებებს და იძლევიან სათანადო დასკვნებს რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მოთხოვნით;

— საჭიროების შემთხვევაში სახავენ თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების ქსელის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს, ამასთან ითვალისწინებენ რეგიონის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს;

— ატარებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის საკონტროლო, შედარებითს, აგრეთვე განსაკუთრებით რთულ ანალიზებს;

— ეწევიან მუშაობას თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრის მეთოდების სრულყოფისათვის, ცდიან ახალ ხელსაწყოებს.

19. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციათა უფროსების განკარგულებაშია კრედიტები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

20. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციათა უფროსებს უფლება ეძლევათ შეცვალონ და გააუქმონ დაქვემდებარებული სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა მიერ თესლისა და სარგავი მასალის წარმოების შესახებ არასწორად მიცემული მითითებები და წინადადებანი, აგრეთვე გაცემული დოკუმენტები.

21. თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციები იმყოფებიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის დაქვემდებარებაში.

22. თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების უფროსები და აგრონომები ინიშნებიან და თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლდებიან ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წარდგინებით, რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის ბრძანებით, ხოლო ყველა დანარჩენი თანამშრომელი ინიშნება და თავისუფლდება შესაბამისი ინსპექციის უფროსის ბრძანებით, რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციასთან შეთანხმების შემდეგ.

23. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების უფროსებად და აგრონომებად ინიშნებიან მხოლოდ შესაბამისი აგრონომიული განათლების მქონე პირები.

24. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციები ხელმძღვანელობენ გეგმით, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის აგროსამრეწველო გაერთიანებასთან და დამტკიცებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მიერ.

25. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციების უფროსები განაგებენ კრედიტს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

26. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ინსპექციები:

— განსაზღვრავენ რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში, დამამზადებელ და სხვა ორგანიზაციებში არსებული ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს და აფორმებენ სათანადო დოკუმენტაციას;

— სისტემატურ კონტროლს უწევენ, რომ მომსახურების ზონის ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი მეურნეობები, დამამზადებელი ორგანიზაციები მტკიცედ იცავდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს და სახელმწიფო სტანდარტებს. სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, სასწავლო-საცდელმა მეურნეობებმა მიჰყიდონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჯიშთაცვლისა და ჯიშთგანახლების მიზნით მაღალრეპროდუქციული და საუკეთესო ხარისხის თესლეული და სხვა;

— ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობენ მემცენარეობის პროდუქტების წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებაში და უზრუნველყოფენ, რომ დროულად და ხარისხიანად სრულდებოდეს შემუშავებული ღონისძიებანი;

— შესაბამისი ადგილობრივი ორგანოებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის წინაშე აყენებენ იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომელთა უმოქმედობის ან გულგრილობის შედეგად გაუარესდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მითითებით მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ახალი სტანდარტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების, აგრეთვე მოქმედი სტანდარტებისა და დოკუმენტების დაზუსტება-შემუშავებაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის დასათესად და დასარგავად მომზადებისა და მათი შენახვის დოკუმენტების გაფორმების წესებისა და რეკომენდაციების შედგენა-შემუშავებაში;

— ნერგავენ მოწინავე სახელმწიფო ინსპექციების გამოცდილებასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის კონტროლის სრულყოფისათვის წარმოდგენილ რაციონალიზატორულ წინადადებებს;

— სახავენ თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის ამაღლების ღონისძიებებს რაიონის (ქალაქის) ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით;

— ეწევიან მუშაობას თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის განსაზღვრის მეთოდების სრულყოფისათვის, ცდიან ახალ ხელსაწყოებს და სხვა;

— დაუბრკოლებლად ამოწმებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციების სათესლე ნაკვეთებსა და სანერგეებში ყველა საჭირო და დამატებით აგროღონისძიებათა ვადების დაცვასა და ხარისხს, საწყობების, თესლეულისა და სარგავი მასალის შესანახ და სხვა სათავსების, თესლსაწმენდი, თესლეულის დამხარისხებელი და დამყალიბებელი ტექნიკის მზადყოფნის მდგომარეობას, ამ ტექნიკის სრული დატვირთვით მუშაობასა და სხვა. რაიონის ხელმძღვანელობას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკურ სახელმწიფო ინსპექციას წარუდგენენ მასალებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა შესახებ;

— მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებათა ინსპექტირებისას სთხოვენ მათს ხელმძღვანელებს ყველა საჭირო აგრონომიულ და საბუღალტრო დოკუმენტაციას წარმოებული, შეძენილი, შენახული, დახარჯული და რეალიზებული სათესლე და სარგავი მასალის რაოდენობისა და ხარისხის, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ, ამასთან რეგულარულად და შეუფერხებლად აანალიზებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხს მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მწარმოებელი და რა დანიშნულებისათვის არის განკუთვნილი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინარეციელებენ ჯეროვან სახელმწიფო კონტროლს იმ ვარაუდით, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე აწარმოებდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულსა და სარგავ მასალას;

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და გამოყენების დადგენილი წესების დარღვევის, აგრეთვე უკონდიციო (არასტანდარტული), შეუმოწმებელი და შეუწამლავი თესლისა და სარგავი მასალის გამოყენების გამოვლენის შემთხვევაში სამი დღის ვადაში წარუდგენენ ხელმძღვანელ ორგანოებს წინადადებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— წარუდგენენ ზემდგომ ორგანოებს მამხილებელ მასალებს თესლეულისა და სარგავი მასალის სახელმწიფო სტანდარტების დაუცველობის, უკონდიციო თესლეულის თესვისა და უხარისხო სარგავი მასალის დარგვის, მათი არასწორი შენახვისა და გაფუჭების, არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ;

— აწესებენ მტკიცე კონტროლს, რომ მეურნეობებისა და ორგანიზაციადაწესებულებათა ხელმძღვანელებმა არ დაუშვან შეუფერებელი საწყობებისა და უწესივრო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენება სათესლე და სარგავი მასალის შესანახად და ტრანსპორტირებისათვის;

— კონტროლს უწევენ, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, სანერგე მეურნეობები, დამამზადებელი და სხვა ორგანიზაციები იცავდნენ თესლისა და სარგავი მასალის სახელმწიფო სტანდარტებს, დოკუმენტირებისა და შენახვის, ნიმუშების აღების წესებს, იღებდნენ ზომებს, რომ ჩამოერთვათ მეურნეობებსა და ორგანიზაციებს არასწორად აღებული ნიმუშების საფუძველზე გაცემული დოკუმენტები, ასრულებდნენ თესლის დასათესად და სარგავი მასალის დასარგავად მომზადების ღონისძიებებს;

— რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებასთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგენენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს იმ პირთა სიებს, ვისაც უფლება აქვთ აიღონ თესლისა და სარგავი მასალის საარბიტრაჟო ნიმუშები; უტარებენ ინსტრუქტაჟს თესლისა და სარგავი მასალის ნიმუშების ასაღებად დაშვებულ პირებს;

— ინსტრუქტაჟს უტარებენ მეურნეობების, ორგანიზაციების აგრონომებს სათესლე კარტოფილის ტუბერების ანალიზის ჩატარების მეთოდიკასა და ტექნიკაში და კონტროლს უწევენ ანალიზის ჩატარების სიზუსტეს;

—მონაწილეობენ საარბიტრაჟო ანალიზისათვის განკუთვნილი თესლისა და სარგავი მასალის, აგრეთვე იმპორტული და საექსპორტო თესლისა და სარგავი მასალის პარტიებიდან ნიმუშების ამღები კომისიების მუშაობაში;

— იღებენ საშუალო ნიმუშების თესლს ხარისხის ანალიზისათვის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დადგენილ ვადებში წარადგენენ თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის ანგარიშებს;

— კონტროლს უწევენ, თუ როგორ ხორციელდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯიშიანი ნათესების აპრობაცია და დოკუმენტაციის შედგენა;

— პროპაგანდას უწევენ და ნერგავენ თესლის თესვითი ხარისხის ღირსების გაუმჯობესების მოწინავე მეთოდებს.

27. სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების (რესპუბლიკური, ავტონომიურ-რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო) განკარგულებაშია კუთხის შტამპი და ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

II საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადაყვანასთან დაკავშირებით სამინისტროს სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სამმართველოთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

ამონაკრები

„მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის № 669 დადგენილების შესასრულებლად და „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში 1986 წლიდან ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელებასთან დაკავშირებით სამინისტროს სისტემის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 31 მაისის № 370 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ, მოყოლებული 1986 წლიდან, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოთა და მათ საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში მტკიცდება შემდეგი მაჩვენებლები, ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები:

საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა, მათ შორის სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა და მოსახლეობის მიერ ანაზღაურებული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა;

მოგების ანარიცხების ნორმატივები ზემდგომ ორგანიზაციაში საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) და სახელმწიფო ბიუჯეტში სამინისტროებისა და სამმართველოებისათვის;

ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატივი, აგრეთვე ხელფასის ფონდი საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაუკავშირებელი საქმიანობის სახეობების მიხედვით;

წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივი;

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ამოქმედება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტები (წლიურ გეგმაში — ამ რესურსების ფონდები).

2. ზემდგომი ორგანოების მიერ დაგზავნილი მაჩვენებლებისა და ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე და, მოქმედი ფასებიდან და ტარიფებიდან გამომდინარე, საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები), აგრეთვე სამინისტროები და სამმართველოები დამოუკიდებლად შეიმუშავებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს და აცნობებენ მათ ზემდგომ ორგანოებს, რომლებიც გამოუყოფენ შესაბამის სამინისტროებს, სამმართველოებს, საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) საჭირო მატერიალურ რესურსებს და დაუწესებენ მათ საიჯარო სამუშაოთა ლიმიტებს.

იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) ძირითად საქმიანობასთან ერთად ამზადებენ სამრეწველო პროდუქციას, მისი წარმოების მოცულობა დაწესდება გაანგარიშებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, მოსახლეობის მომსახურების ვადების დაცვასა და კულტურის ამაღლებას, ბინების რემონტის, რადიოსატელევიზიო აპარატურის, საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავეჯისა და მოსახლეობაში არსებული სხვა ნაკეთობების რემონტისა და ფერ-ვენის, ხანგრძლივი სარგებლობის საგნების გაქირავების მომსახურებაზე, ფოტოატელიეების, საპარიკმახეროების მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას, აგრეთვე სოფლის მცხოვრებთათვის გაწეული მომსახურების გაფართოებას. შემდგომ უნდა განვითარდეს მომსახურების ახალი სახეობანი და პროგრესული ფორმები, მშრომელთათვის მომსახურების გაწევა ქარხნებში. ფაბრიკებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, შემკვეთის ბინაზე, აგრეთვე მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მაღალი თანრიგების საწარმოთა მიერ გაწეული მომსახურება.

3. ხელფასის ძირითადი ფონდი საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიხედვით განისაზღვრება გაანგარიშებით, როგორც ნორმატივების თანახმად შექმნილი ხელფასის ფონდის და საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაუკავშირებელი საქმიანობის სახეობებში ხელფასის დამტკიცებული ფონდის თანხა. ამასთან ხელფასის ფონდი საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობაზე განისაზღვრება საბაზო წელს ამ ფონდის ოდენობიდან და მისი ზრდიდან გამომდინარე, რაც გამოანგარიშებულია ნორმატივის მიხედვით ამ მომსახურების რეალიზაციის მოცულობის მატების ყოველ პროცენტზე.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს შემოღებულ იქნეს ცალკეულ სამმართველოთა საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) ხელფასის ფონდიდან აგრეთვე მმართველობის აპარატის მუშაკთა პრემირება სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით 1986 წლის პირველი ნახევრის ბოლომდე დაადგინოს ამ პრემირების წესი.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გამოიყენოს საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) მათი მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით საყოფაცხოვრებო მომსახურების 1 მანეთზე ხელფასის ნორმატივი.

4. მოსახლეობის შეკვეთების შესრულების ხარისხისა და ვადებისათვის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით დაწესდეს, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ღირებულება ნაზღაურდება, როგორც წესი, შეკვეთის შესრულების შემდეგ.

5. დაწესდეს, რომ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგება რჩება საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) განკარგულებაში, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც უნდა გადაერიცხოთ ზემდგომ ორგანოებს სტაბილური ნორმატივების მიხედვით.

საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) დარჩენილი მოგების ხარჯზე იქმნება საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდი და წახალისების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდი. საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდში წარიმართება აგრეთვე ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები. ყველა სხვა ადრე წარმოქმნილი ფონდები არ იქმნება.

დაწესებული ნორმატივების მიხედვით აღნიშნულ ფონდებში ანარიცხებისათვის გათვალისწინებული სახსრები წარიმართება შესაბამისად საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდში და წახალისების ფონდში.

წახალისების ფონდისა და საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრების გამოყენების საკითხები უნდა გადაწყდეს შრომითი კოლექტივების მონაწილეობით.

6. განთავისუფლდნენ საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) საწარმოო ფონდებისა და ნორმირებადი საბრუნავი სახსრების გადასახდელისაგან.

7. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქყოფრემტექნიკა“ და მოსახლეობის შეკვეთით ბინათშეკეთება-მშენებლობის ტრესტები სახელმწიფო ბიუჯეტში მოგებას ჩარიცხავენ უშუალოდ სტაბილური ნორმატივების მიხედვით, ხოლო საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ბიუჯეტში ჩარიცხვებს ახდენს სისტემის ყველა დანარჩენი გაერთიანების, საწარმოს, სამმართველოსა და ორგანიზაციის მიხედვით ცენტრალიზებული წესით. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა და ზემოაღნიშნულ სამმართველოთა, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქყოფრემტექნიკის“ და მოსახლეობის შეკვეთით ბინათშეკეთება-მშენებლობის ტრესტების განკარგულებაში დარჩენილი მოგების ნაწილიდან იქმნება საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდები და წახალისების ფონდები.

საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება პირველ რიგში საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი საწარმოო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის დასაფინანსებლად, ნაკლებრენტაბელური და ზარალიანი საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) ფინანსური დახმარების გასაწევად.

წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება სამინისტროების, სამმართველოების, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფრემტექნიკის“, ტრესტების მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის და სხვა მისაცემლებისათვის, აგრეთვე მუშაობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების წასახალისებლად.

8. საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა), სამინისტროთა და სამმართველოთა მიერ დაგროვილი საკუთარი სახსრები არ ჩამოერთმევათ.

9. ზემდგომ ორგანიზაციაში და სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების ანარიცხების ნორმატივი, ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატივი, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაუკავშირებელი საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით ხელფასის ფონდი, წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივი მტკიცდება მთელი მეთორმეტე ხუთწლედისათვის და შეცვლას ან ხელახლა დამტკიცებას არ ექვემდებარება.

10. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ უზრუნველყოს ბანკის კრედიტების უფრო აქტიურად გამოყენება.

სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა გაითვალისწინონ საკრედიტო გეგმებში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) მიზნობრივი დანიშნულებით სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის საჭირო კრედიტების გამოყოფა

11. კაპიტალური მშენებლობის გეგმების შემუშავებისას აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები, საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) და მოსახლეობის შეკვეთით ბინათშეკეთება-მშენებლობის ტრესტები ითვალისწინებენ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას მათთან არსებული სახსრების მიხედვით. ამ მიზნებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ცენტრალიზებული ფონდების სახსრები.

სამინისტროების, სამმართველოების, საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიხედვით კაპიტალური მშენებლობის გეგმების შემუშავებისას სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა შემადგენლობაში გამოიყოფა არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობანი. არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა აღნიშნული მოცულობანი განისაზღვროს სამინისტროთა, სამმართველოთა და საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრების ოდენობის მიხედვით და უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტებით.

საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა ამ შემთხვევებში სამუშაოები უნდა შეასრულონ ისეთივე წესით, როგორც ცენტრალიზებულ კაპიტალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბანდებათა ხარჯზე შესასრულებელი სამუშაოები. ამასთან მოწყობილობა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები გამოიყოს ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისათვის დადგენილი წესით.

უფლება მიეცეთ საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს), სამმართველოებს გასწიონ ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილის ანგარიშში დამატებითი დანახარჯები ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით.

ნება დაერთოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებსა და სამმართველოებს შეიმუშაონ საქვეუწყებო საპროექტო-საკონსტრუქტორო და საპროექტო-ტექნოლოგიური ბიუროების (ორგანიზაციების, ინსტიტუტების) ძალებით ძირითადი საქმიანობის გეგმებში გათვალისწინებული ხელფასის ფონდის ფარგლებში მასობრივი მოთხოვნილების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული 500 ათას მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (მშენებლობის მოედნებთან შესობა-ნაგებობათა ტიპობრივი პროექტების მისადაგების ჩათვლით) დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, აგრეთვე აღნიშნული ობიექტების კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაწესებული ლიმიტების გადამეტებით.

საჭირო შემთხვევებში დარგის განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი მსხვილი ობიექტების, მთავარი საწარმოების ასაშენებლად გამოეყოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიზნობრივი დანიშნულებით სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები.

12. უფლება მიეცეთ საქართველოს სსრ სახმომარაგების სისტემის საწარმოებსა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო საწარმოებს გაასაღონ საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებში თავიანთი ზენორმატიული და გამოუყენებელი მოწყობილობა, ინსტრუმენტი, ნედლეული, მასალები, წარმოების ნარჩენები და არაკონდიციური საქონელი.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ მიიღონ ზომები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) და სამმართველოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გასაუმჯობესებლად და საჭირო საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად.

14. ნება დაერთოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) და სამმართველოებს ჩამოსწერონ თავიანთ განკარგულებაში დატოვებული მოგების ხარჯზე მასალები და სამარაგო ნაწილები, რომელთაც დაკარგული აქვთ პირვანდელი ხარისხი და ამის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირი დანიშნულებით მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაწევად.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრონ აღნიშნული მასალებისა და სამარაგო ნაწილების რეალიზაციის წესი.

15. უფლება მიეცეთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) და სამმართველოთა ხელმძღვანელებს დაუწესონ პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, რაც გამოანგარიშებულია დამტკიცებული მაჩვენებლებისა და ნორმატივების მიხედვით:

პროფესიული ოსტატობისათვის დანამატის გადიდება რთული, იშვიათი და უნიკალური საგნების, მანქანებისა და ხელსაწყოების რემონტით, ორიგინალური ლამაზი და საგულდაგულოდ დამუშავებული ნაწარმის დამზადებით დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს (III თანრიგის მუშებს — სატარიფო განაკვეთის 12 პროცენტამდე, IV თანრიგის მუშებს — 16 პროცენტამდე, V თანრიგის მუშებს — 20 პროცენტამდე, VI თანრიგის მუშებსა და მაღალი კვალიფიკაციის გამომჭრელებს უმაღლესი და პირველი თანრიგის ატელიეებში — 24 პროცენტამდე), ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — სარგოები ასეთ მუშებს თვეში 230 მანეთამდე;

დანამატები მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით.

დანამატები პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის მუშაკებს, რომლებიც პერსონალის სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნებიან, ზემდგომი ორგანოების მიერ შეთავსებულ პროფესიათა (თანამდებობათა) ნუსხის დამტკიცების გარეშე.

ამ დანამატებისა და სარგოების კონკრეტული ოდენობა განისაზღვროს მომსახურების ახალ სახეობათა შემუშავებისა და დანერგვის, მათი ხარისხის გაუმჯობესების, შეკვეთების შესრულების ვადების დაცვის, პროგრესული ტექნოლოგიის ათვისების საქმეში თითოეული მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით.

აღნიშნული დანამატები და გადიდებული სარგოები შემცირდეს ან გაუქმდეს მთლიანად მუშაობის მაჩვენებლების გაუარესებისას.

კონტროლი აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს.

16. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1984 წლის 2 თებერვლის № 127 დადგენილებით:

— დააწესა, რომ მომსახურების გაფართოებისა და მისი ხარისხის ამაღლებით საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), სამინისტროებისა და სამმართველოების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა დაინტერესების გაძლიერების მიზნით მათი პრემიების ოდენობა პირდაპირ უნდა იყოს დამოკიდებული მოსახლეობის მიერ ანაზღაურებული მომსახურების მოცულობის გადიდებაზე.

საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), სამინისტროებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა და მმართველობის აპარატის სხვა მუშაკთა პრემირების საფუძველს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმის შესრულება. ამ მუშაკთა პრემიების ოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს, როგორც წესი, მოსახლეობის შეკვეთით მომსახურების წილზე.

ოდენობა პრემიისა, რომელიც მიეცემათ ამ საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელმძღვანელ მუშაკებსა და მმართველობის აპარატის სხვა მუშაკებს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის, არ უნდა აღემატებოდეს 0,5 თანამდებობრივ სარგოს თვეზე გაანგარიშებით ან 1.5 თანამდებობრივ სარგოს კვარტალზე გაანგარიშებით.

ხარისხის გაუარესებისა და შეკვეთების შესრულების ვადების დაუცველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების წესების დარღვევის შემთხვევაში სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოერთმევათ არა მარტო უშუალოდ დამნაშავე პირებს, არამედ აგრეთვე საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა), სამინისტროთა და სამმართველოთა ხელმძღვანელ მუშაკებს.

საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოთა სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიების ოდენობა (მათ შორის მაქსიმალური) განისაზღვრება იმ დანამატების გათვალისწინებით, რომლებიც ეძლევათ მუშაკებს პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის, მომსახურების ზონების გაფართოების ან სამუშაოთა მოცულობის გადიდებისათვის, არმყოფი მუშაკის მოვალეობათა შესრულებისათვის, მაღალი პროფესიული ოსტატობის, მაღალი კვალიფიკაციისა და კლასიანობისათვის, შემუშავებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე მომსახურებულ უბნებზე პერსონალის რაოდენობის შემცირების ხარჯზე გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ღამით მუშაობისათვის, აგრეთვე ცვლის ორ ნაწილად დაყოფით (მუშაობაში ორ საათზე მეტი შესვენებით) მუშაობისათვის დანამატების გათვალისწინებით:

17. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრს დაუწესოს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) დირექტორებს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოთა უფროსებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან პირველი ხარისხის დიპლომები, დანამატები თანამდებობრივი სარგოების 30 პროცენტამდე ოდენობით შესაბამის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა), სამმართველოთა ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე. ანალოგიური დანამატები შეიძლება დაუწესდეთ საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) დირექტორებს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოთა უფროსებს, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლასო ადგილს დაიკავებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით. დანამატები შემცირდება ან გაუქმდება მუშაობის მაჩვენებლების გაუარესებისას.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად განსაზღვროს აღნიშნული დანამატების დადგენის წესი.

18. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მე-15 პუნქტის მესამე აბზაცით და მე-17 პუნქტით გათვალისწინებული მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების დანამატები არ შეიტანება მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებებში.

19. ნება დაერთოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს დახარჯონ საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ნაწილი რეკლამის ორგანიზაციის სამუშაოთა დასაფინანსებლად.

20. უფლება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოთა უფროსებს დაუწესონ ამ სამინისტროთა და სამმართველოთა აპარატის მაღალკვალიფიციურ მუშაკებს დანამატები თანამდებობრივი სარგოების 30 პროცენტის ოდენობით ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე.

21. დამტკიცდეს შემდეგი თანდართული ნორმატიული და მეთოდიკური მითითებანი მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის საკითხებზე, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან:

1) დებულება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში მეთორმეტე ხუთწლედში წახალისების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ.

2) დებულება მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების მიხედვით მომუშავე საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოთა, რესპუბლიკურ გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელფასის ფონდის შექმნის შესახებ.

3) 1986-1990 წლებში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზრდის ყოველ პროცენტზე ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატივი.

4) დებულება მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა), სამმართველოთა, ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, რესპუბლიკურ გაერთიანებათა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ.

5) 1986-1990 წლებში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებულ ფონდში მოგების ანარიცხების ნორმატივი.

6) დებულება მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მართვის ორგანოთა, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ.

7) მეთოდიკური მითითებანი მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, დაპროექტების, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესის შესახებ.

8) ინსტრუქცია ზემდგომ ორგანიზაციებში მოგების ანარიცხების ხაზით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ანგარიშსწორების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 20 მარტი, № 160

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 160 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში მეთორმეტე ხუთწლედში წახალისების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია შესაბამისად სანიმუშო დებულებისა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში მეთორმეტე ხუთწლედში წახალისების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ, რომელიც რეკომენდებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ (1985 წლის 30 დეკემბრის № სა-646(49-507 წერილი).

დებულება ვრცელდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, სამმართველოთა ყველა საწარმოო გაერთიანებაზე (საწარმოზე), ორგანიზაციაზე, გარდა მრეწველობისა და სამშენებლო-საიჯარო საქმიანობის საწარმოო გაერთიანებებისა საწარმოებისა), საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციებისა, რომელთა მატერიალური წახალისების ფონდის ოდენობა განისაზღვრება მათთვის მიღებული წესის შესაბამისად.

I. წახალისების საგეგმო ფონდის შექმნის წესი

1. სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) წახალისების საგეგმო ფონდი ხუთწლიან და წლიურ გეგმებში იქმნება საბაზო წელთან შედარებით ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში ამ ფონდის ზრდის ნორმატივების მიხედვით.

2. წახალისების ფონდის შესაქმნელად ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლებად მიიღება შემდეგი მაჩვენებლები:

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისათვის, სამმართველოებისათვის, საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) — მოსახლეობის მიერ ანაზღაურებული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა;

— საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის), სადაც საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა ორგანიზაციებისათვის (მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან გათანაბრებული) გეგმით შეადგენს საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო მოცულობის 70 პროცენტს, — საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, სამმართველოთა საქვეუწყებო ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) — იმ სატრანსპორტო მომსახურების შემოსავლის საერთო თანხა, რომელსაც უწევენ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და მოსახლეობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდელების სახლებისათვის — მომსახურებისა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, სამმართველოთა საქვეუწყებო საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრებისა და მანქანათსაანგარიშო სადგურებისათვის — საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურების მოცულობა;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, სამმართველოთა საქვეუწყებო მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებისათვის — საერთო საქონელბრუნვა.

3. წახალისების ფონდის ზრდის (შემცირების) ნორმატივი სამინისტროებისათვის, სამმართველოებისათვის, საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) წესდება საბაზო წლის გეგმასთან შედარებით ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში საბაზო წლის გეგმის ერთი პროცენტის ოდენობით.

იმ შემთხვევებში, როცა საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) ეგეგმებათ ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის შემცირება საბაზო წელთან შედარებით საწარმოთა საქმიანობაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, წახალისების ფონდის ოდენობა მორიგი წლის გეგმაში შეიძლება, როგორც გამონაკლისი, დაწესდეს საბაზო წლის საგეგმო ფონდის თანხების ფარგლებში.

4. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსათვის ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლებს, აგრეთვე წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივის ოდენობებს აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემადგენლობაში.

ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისათვის, სამმართველოებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლებს, აგრეთვე წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივის ოდენობას აწესებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

საქალაქო, რაიონული საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლებს ამ საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მუშაობის სპეციფიკის შესაბამისად, აგრეთვე წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივის ოდენობას აწესებენ ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, სამმართველოები შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

ხუთწლიან გეგმაში დამტკიცებული ნორმატივები არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

5. ხუთწლიან და წლიურ გეგმებში წახალისების ფონდის აბსოლუტური სიდიდე მორიგი წლისათვის განისაზღვრება შემდეგნაირად: საბაზო წლის გეგმის მიხედვით ამ ფონდის თანხას მიემატება საბაზო წლის გეგმასთან შედარებით გეგმაში გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გადამეტების (შემცირების) ყოველ პროცენტში ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად ნორმატივის მიხედვით გამოანგარიშებული ზრდის (შემცირების) თანხა.

6. მორიგი წლისათვის წახალისების ფონდის ხუთწლიანი და წლიური გეგმების შესამუშავებლად და წლის განმავლობაში წახალისების ფონდში გადასარიცხად საბაზო წლად ითვლება დაგეგმილის წინა წელი.

7. იმ შემთხვევაში, თუ საბაზო წლის წახალისების ფონდი (ახალ პირობებში მუშაობის პირველ წელს) საწარმოო გაერთიანებაში (საწარმოში) შეადგენს ხელფასის საერთო ფონდის 6,5 პროცენტზე ნაკლებს, იგი შეიძლება მიღებულ იქნეს საბაზო წლის გეგმით გათვალისწინებული ხელფასის საერთო ფონდის 6,5 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო სახსრების ნაკლებობას ზემოაღნიშნულ ოდენობამდე საბაზო წლის წახალისების ფონდის გასადიდებლად საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) ფარავენ მათს განკარგულებაში დატოვებული მოგების თანხის გადიდების (ზარალის შემცირების) ღონისძიებათა განხორციელების ხარჯზე.

საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) საბაზო წლის წახალისების ფონდი (ახალ პირობებში მუშაობის პირველ წელს) მიიღება შესაბამის სამინისტროთა და სამმართველოთა წახალისების ცენტრალიზებულ ფონდში ჩასარიცხი თანხების გარეშე და სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემიების თანხების გარეშე, რომლებიც გადადის ხელფასის ფონდში (მმართველობის აპარატის გარდა).

მთლიანად სამინისტროთა, სამმართველოთა საბაზო წლის წახალისების ფონდი მიიღება ცენტრალიზებული ფონდების გათვალისწინებით, ხოლო ახალ პირობებში მუშაობის პირველ წელს — სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემიების თანხების გარეშე, სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა * აპარატების გარდა, და მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების ორგანიზაციისა და დანერგვისათვის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების პრემირების ფონდების გათვალისწინებით.

8. წახალისების ფონდის ზრდის (შემცირების) თანხა გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ნორმატივი მრავლდება საბაზო წლის გეგმის მიხედვით წახალისების ფონდის სიდიდეზე და საბაზო წლის გეგმასთან შედარებით გეგმაში გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გადამეტების (შემცირების) პროცენტზე.

---

* შემდგომში იგულისხმება გაერთიანებანი, რომელთა საქვეუწყებო საწარმოები იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან საბაზო წელთან შედარებით დაგეგმილ წელს ფონდწარმოქმნელი მაჩვენებლის გადამეტების (შემცირების) პროცენტი განისაზღვრება შესადარი ფასებით და პირობებით.

9. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები, სამმართველოები, საწარმოო გაერთიანებები * ქმნიან წახალისების ცენტრალიზებულ ფონდებს.

წახალისების ცენტრალიზებული ფონდები იქმნება სახელმწიფო ბიუჯეტში (ზემდგომ ორგანიზაციაში) სტაბილური ნორმატივების მიხედვით გადარიცხვის შემდეგ დარჩენილი მოგებისაგან.

ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები, სამმართველოები წახალისების ცენტრალიზებული ფონდების ნაწილს ურიცხავენ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა, სამმართველოთა ცენტრალიზებული ფონდების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ხოლო საწარმოო გაერთიანებებისათვის * — შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაცია და პროფკავშირის კომიტეტი.

10. მთლიანად სამინისტროს, სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების * წახალისების ფონდის ოდენობა გეგმით განისაზღვრება როგორც მათი საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) წახალისების საგეგმო ფონდის და სამინისტროს, სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების * ცენტრალიზებულ ფონდში გადარიცხვის თანხა.

სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა* შემოსავალ-გასავლის ბალანსებში (საფინანსო გეგმებში) გათვალისწინებულია საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) წახალისების ფონდების თანხები და ცენტრალიზებული ფონდები.

ცენტრალიზებული ფონდები არ შეიძლება აღემატებოდეს შესაბამის სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა * საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) წახალისების ფონდების თანხის 25 პროცენტს.

11. ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა* წახალისების ცენტრალიზებულ ფონდში გამოიყოფა გეგმაში ცალკე სტრიქონად (მათ შორის) ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა * აპარატის მუშაკთა წახალისების ფონდი.

---

* საწარმოო გაერთიანებანი, რომელთა საქვეუწყებო საწარმოები იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე.

* საწარმოო გაერთიანებანი, რომელთა საქვეუწყებო საწარმოები იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა * აპარატის მუშაკთა პრემიების, წახალისებისა და ჯილდოების საშუალო ოდენობა (მათი თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად) არ უნდა აღემატებოდეს საქვეუწყებო საწარმოების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემიების, წახალისებისა და ჯილდოების საშუალო ოდენობას (მათი თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად).

ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა* აპარატის მუშაკთა წახალისების ფონდის გადიდება (შემცირება) გეგმაში საბაზო წლის გეგმასთან შედარებით ხდება იმავე ოდენობით (პროცენტით), რამდენითაც დიდდება (მცირდება) წახალისების საგეგმო ფონდი მთლიანად ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების * მიხედვით საბაზო წლის გეგმასთან შედარებით.

სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა * წახალისების ცენტრალიზებულ ფონდში გამოიყოფა გეგმაში ცალკე სტრიქონად წახალისების ფონდი, გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოებისა და საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის), რომლებიც ახორციელებენ ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებასა და ათვისებას.

12. წახალისების ფონდს ითვალისწინებენ გეგმაში სამინისტროები, სამმართველოები, საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) კვარტალების მიხედვით ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების კვარტალური განაწილების პროპორციულად.

13. წლის განმავლობაში ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებათა დადგენილი წესით გადიდებისას (შემცირებისას) ამაღე დროს დიდდება (მცირდება) დაწესებული ნორმატივების მიხედვით გეგმაში გათვალისწინებული წახალისების ფონდის თანხა.

14. ახალამოქმედებულ საწარმოებში, რომლებიც დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფებიან, მუშაობის პირველ წელს წახალისების საგეგმო ფონდები განისაზღვრება ხელფასის საგეგმო ფონდის პროცენტულად ანალოგიურ საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) ამ ფონდების საშუალო ოდენობასთან შეფარდებით.

II. წლის განმავლობაში წახალისების ფონდში მოგების გადარიცხვის წესი

15. სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) წახალისების ფონდში მოგების გადარიცხვა ხდება ყოველკვარტალურად მზარდი შედეგით.

საანგარიშო პერიოდში წახალისების ფონდის აბსოლუტური სიდიდე განისაზღვრება მზარდი შედეგით (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი)

შემდეგნაირად: საბაზო წლის გეგმის მიხედვით ამ ფონდის თანხასა შესაბამისი პერიოდისათვის ემატება ზრდის (შემცირების) თანხა, რომელიც გამოანგარიშებულია ნორმატივის მიხედვით ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად ანგარიშის თანახმად ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის ზრდის (შემცირების) ყოველი პროცენტისათვის და შესაბამის პერიოდში საბაზო წლის გეგმასთან შედარებით. აღნიშნულ ფონდში ანარიცხების ოდენობა დამოკიდებულია აგრეთვე მოსახლეობის მომსახურების ხარისხზე.

დაგეგმილ-მოგებიან საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში), რომელთა გეგმაში ცალკეული კვარტალებისათვის იგეგმება ზარალი, ანარიცხები წახალისების ფონდში ხდება დაგეგმილ-მოგებიან კვარტალებში მოგების დაგეგმილი წლიური თანხიდან გამომდინარე.

16. საბაზო წლის გეგმაში გათვალისწინებულ წახალისების ფონდთან შედარებით წლის განმავლობაში (წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით) გეგმაში გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის ზრდის მიღწევისა და გადამეტებისას ხდება დამატებითი ანარიცხები ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული სრული ნორმატივის მიხედვით.

საბაზო წლის გეგმასთან შედარებით წლის განმავლობაში (წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით) ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის ზრდის შემცირებისას საბაზო წლის გეგმაში გათვალისწინებული წახალისების ფონდში დამატებით ანარიცხები ხდება არანაკლებ 30 პროცენტით შემცირებული ნორმატივის მიხედვით.

შესაბამისი პერიოდისათვის საბაზო წლის გეგმასთან შედარებით ანგარიშის მიხედვით ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის შემცირებისას (წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით) საბაზო წლის გეგმაში გათვალისწინებული წახალისების ფონდი მცირდება არანაკლებ 30 პროცენტით გადიდებული ნორმატივის მიხედვით.

იმ შემთხვევებში, როცა საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) ეგეგმებათ ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის შემცირება საბაზო წლის გეგმასთან შედარებით საწარმოო საქმიანობაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო და წახალისების ფონდის ოდენობა მორიგი წლის გეგმაში დაწესებულია საბაზო წლის საგეგმო ფონდის თანხების ფარგლებში, ანარიცხების დამატებითი გადიდება (შემცირება) წლის განმავლობაში ხდება დაწესებულ გეგმასთან შედარებით ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გადიდების (შემცირების) შესაბამისად. ამასთან წლის განმავლობაში (წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით) ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის მიხედვით საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისას წახალისების ფონდში დამატებითი ანარიცხები ხდება ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული სრული ნორმატივის მიხედვით, ხოლო ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გეგმის უკმარშესრულებისას წახალისების ფონდი მცირდება არა ნაკლებ 30 პროცენტით გადიდებული ნორმატივის მიხედვით.

17. შესაბამისი კვარტალისათვის საბაზო წლის გეგმით გათვალისწინებული წახალისების ფონდი დიდდება (მცირდება) საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის დონის ამაღლების (შემცირების) შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წახალისების ფონდის გადიდების (შემცირების) ოდენობა განისაზღვრება მოსახლეობის მომსახურების ხარისხის მაჩვენებლებისა და ნორმატივების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით წახალისების ფონდში ანარიცხები დიდდება (მცირდება) ყოველკვარტალურად. ამასთან მზარდი შედეგი წლის დამდეგიდან პერიოდისათვის განისაზღვრება კვარტალების ჯამით.

18. საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით წახალისების ფონდის საერთო გადიდება არ უნდა აღემატებოდეს საბაზო წლის გეგმაში გათვალისწინებული წახალისების ფონდის თანხის 30 პროცენტს.

19. თუ ატელიეებში, სახელოსნოებში, უბნებში და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) სხვა ქვედანაყოფებში გამოვლინდება მუშაკთა მიერ ამონაგები თანხების მითვისების ფაქტები საანგარიშო კვარტალის განმავლობაში, საბაზო წლის გეგმით შესაბამისი კვარტალისათვის გათვალისწინებული წახალისების ფონდის თანხა მცირდება.

ამ შემცირების ოდენობას აწესებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

ატელიეებში, სახელოსნოებში, უბნებში და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) სხვა ქვედანაყოფებში მუშაკთა მიერ ამონაგები თანხების მითვისების ფაქტების გამოვლენისას წახალისების ფონდში ანარიცხები მცირდება ყოველკვარტალურად, მზარდი შედეგი წლის დამდეგიდან პერიოდისათვის განისაზღვრება კვარტალების ჯამით.

20. წახალისების ფონდის გადიდება (ფონდის საბაზო თანხის მიმართ) ხდება:

— დაგეგმილ-მოგებიან საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) — მათს განკარგულებაში დატოვებული ფაქტიურად მიღებული მოგების ხარჯზე და ფარგლებში;

— დაგეგმილ-ზარალიან და ნაკლებრენტაბელურ საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) — გეგმასთან შედარებით ზარალის ფაქტიური შემცირების ფარგლებში (მომსახურებისა და პროდუქციის რეალიზაციის ფაქტიურ მოცულობაზე გადაანგარიშებით).

დაგეგმილ-ზარალიან და ნაკლებრენტაბელურსაწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) წახალისების ფონდის შესაქმნელად წყაროების უკმარისობისას ანარიცხების გადიდება ხდება წახალისების შესაბამისი ცენტრალიზებული ფონდების ხარჯზე მთლიანად სამინისტროს, სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების ხაზით ამ ფონდის თანხის ფარგლებში.

21. საბაზო წლის გეგმასთან შედარებით ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების შემცირებისას საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) წახალისების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდი იქმნება დადგენილი წესით შემცირებული ოდენობით. ამასთან წახალისების ფონდის მინიმალური თანხა საანგარიშო კვარტალში და წლის დამდეგიდან პერიოდში არ შეიძლება იყოს ამ ფონდის 40 პროცენტზე ნაკლები, რაც გათვალისწინებულია საბაზო წლის გეგმით ფაქტიურად მიღებული მოგების ხარჯზე და ფარგლებში, რომელიც რჩება საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) განკარგულებაში მისი განაწილების დადგენილი წესით.

წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი) ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების მიხედვით გეგმის შეუსრულებლობისას წახალისების ფონდის საერთო თანხა (ცალკეულ კვარტალებში მინიმალური ანარიცხების ჩათვლით) არ შეიძლება აღემატებოდეს საბაზო წლის გეგმით ამ პერიოდისათვის გათვალისწინებულ აღნიშნული ფონდების თანხას.

22. მთლიანად სამინისტროს, სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების * ხაზით წახალისების ფონდის ოდენობა ანგარიშის მიხედვით განისაზღვრება როგორც მათ საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) წახალისების ფაქტიურად დარიცხული ფონდების და სამინისტროს, სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების * ცენტრალიზებულ ფონდში იმ ანარიცხების თანხა, რომლებიც წარმოებს ამ დებულების მე-9 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

23. საბაზო წლის გეგმასთან შედარებით მთლიანად სამინისტროს, სამმართველოს, საწარმოო გაერთიანების * ხაზით წახალისების ფაქტიურად დარიცხული თანხის შესაბამისად იმავე ოდენობით (პროცენტით) იზრდება (მცირდება) სამინისტროთა, სამმართველოთა, საწარმოო გაერთიანებათა * აპარატის წახალისების ფონდი.

24. წახალისების ფონდში წლის დამლევს შეიძლება გადაირიცხოს ხელფასის ფონდის იმ გამოუყენებელი ეკონომიის ხარჯზე წარმოქნილი სახსრები, რაც მიღებულია ხელფასის დაგეგმილ ფონდთან ან დაწესებულ ნორმატივთან შედარებით, ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შესრულების პირობების განსაზღვრისას.

აღნიშნულ სახსრებს გადარიცხავენ საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) ფაქტიურად მიღებული მოგების ხარჯზე და ფარგლებში მისი განაწილებისათვის დადგენილი წესით.

ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე წახალისების ფონდში გადარიცხული სახსრები გეგმისა და ანგარიშის მიხედვით ამ ფონდის ოდენობის განსაზღვრისას წახალისების საბაზო ფონდში არ შეიტანება.

25. წლის განმავლობაში წახალისების ფონდში წარიმართება აგრეთვე სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის პრემირებაზე. ეს სახსრები გამოიყენება შრო-

---

* საწარმოო გაერთიანებანი, რომელთა საქვეუწყებო საწარმოები იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითი კოლექტივის მიერ განხილული და მოწონებული ფონდის ხარჯვის ნუსხის შესაბამისად.

წახალისების ფონდში სახსრების შეტანა პრემირების იმ სისტემების მიხედვით, რომლებითაც 1986 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხდება 25-პროცენტიანი ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტში, ხორციელდება მათი გადარიცხვის შემდეგ.

26. წახალისების ფონდში შეიტანება პრემიების თანხა, რაც ეძლევათ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს ხელფასის ფონდის მიხედვით. გარდა ამისა, აღნიშნულ ფონდში შეიტანება დადგენილი წესით აგრეთვე პრემირების სპეციალური სისტემების მიხედვით სხვა წამახალისებელი სახსრები, რომლებიც გამოიყენება მიზნობრივი დანიშნულებით.

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მუშაობაზე გადასვლისას საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) ჩარიცხავენ წახალისების ფონდში მატერიალური წახალისების ფონდის, მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების ორგანიზაციისა და დანერგვისათვის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო-ორგანიზაციების მუშაკთა პრემირების ფონდის და ფართო მოხმარების ფონდის (პრემირებისათვის განკუთვნილ ნაწილში) სახსრების ნაშთებს ახალ პირობებში მუშაობის დაწყების თარიღის მდგომარეობით.

III. წახალისების ფონდის სახსრების ხარჯვა

27. წახალისების ფონდის სახსრები იხარჯება ნუსხის მიხედვით. წახალისების ფონდის ხარჯვის ნუსხის პროექტი გამოიტანება საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) შრომითი კოლექტივის განსახილველად და მისი მოწონების შემდეგ მტკიცდება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით და თან ერთვის კოლექტიურ ხელშეკრულებას. აღნიშნული ნუსხის შესრულების შესახებ ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი აცნობებენ მუშა-მოსამსახურეებს კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

წახალისების ფონდის ხარჯვის ნუსხის შედგენისას გათვალისწინებულია მისი გამოყენება იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დგას საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) კოლექტივების წინაშე წარმოების ეფექტიანობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხისა და ტექნიკური დონის ამაღლების, მოსახლეობის მიერ ანაზღაურებული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის გადიდების მიზნით.

წახალისების ფონდის ხარჯვის ნუსხის შედგენისას, გასული წლის ფონდის ნაშთების ჩათვლით, რეკომენდებულია ამ ფონდის სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის ამაღლების სამუშაოთა სტიმულირებას.

წახალისების ფონდის სახსრები ხმარდება:

ა) საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მუშაკთა პრემირებას სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გამოკლებით (გარდა მმართველობის აპარატისა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მუშაკთა პრემირებას საწარმოო გაერთიანების (საწარმოს შიგნით) სოციალისტური შეჯიბრების, იმ დათვალიერებებისა და კონკურსების შედეგების მიხედვით, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევის გაუმჯობესებას;

გ) მუშაკთა ერთდროულ წახალისებას წარმოების შემდგომი სრულყოფის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის მიერ ანაზღაურებული მომსახურების, რეალიზაციის მოცულობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების ორგანიზაციისა და დანერგვის დამატებით დავალებათა შესრულებისათვის, ახალ სიმძლავრეთა ვადამდე ამოქმედებისა და ათვისებისათვის;

დ) ავტორთა ერთდროულ პრემირებას მოსახლეობის შეკვეთით მაღალმხატვრული და ორიგინალური ნაწარმის შემუშავებისა და დანერგვისათვის. ეს პრემიები გაიცემა პრემირების დაწესებული ზღვრული ოდენობის გადამეტებით, მაგრამ არა უმეტეს ორი თანამდებობრივი სარგოსი (სატარიფო განაკვეთისა) წელიწადში;

ე) მუშაკთათვის ჯილდოს მიცემას წლის შედეგების მიხედვით მუშაობის საერთო მაჩვენებლებისათვის;

ვ) მუშაკთათვის ერთდროული დახმარების გაწევას;

ერთდროული დახმარების გასაწევად სახსრები რეკომენდებულია განაწილდეს მუშებსა და სხვა კატეგორიათა მუშაკებს შორის ხელფასის შესაბამისი საგეგმო ფონდის ან მუშაკთა რიცხოვნობის პროპორციულად;

ზ) მუშაკთა მორიგი შვებულებების ანაზღაურებას იმ ნაწილში, რომელიც შეესაბამება წახალისების ფონდის და ამ ფონდიდან დარიცხული პრემიების რაიონული კოეფიციენტების ხარჯზე გაცემული მათი ხელფასის წილს;

თ) პრემიების გაცემას ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოების ხელმძღვანელთა და მთავარ ბუღალტერთა ერთდროული დახმარება, აგრეთვე ერთდროული წახალისება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით;

ი) სიობრივ შემადგენლობაში მყოფ მუშაკთა: ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრთა, სახალხო კონტროლიორთა, ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმეულების წევრთა წახალისებას.

ერთდროული წახალისება შეიძლება მოხდეს როგორც ფულადი ჯილდოს ფორმით, ისევე საჩუქრების ფორმით.

წახალისების ფონდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მუშაკთა, მათ შორის სიობრივ შემადგენლობაში არმყოფთა წასახალისებლად სადირექტივო ორგანოების სპეციალურ გადაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვეტილებათა ან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

წახალისების ფონდის სახსრები გამოიყენება მათი ფორმირების წყაროების მიუხედავად, პრემირების შესახებ ტიპობრივ დებულებათა საფუძველზე შემუშავებული და ხელმძღვანელთა მიერ პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცებული დებულებების შესაბამისად.

წახალისების ფონდის სახსრების გამოუყენებელი ნაშთები არ ჩამოერთმევათ და გამოიყენება მომდევნო წელს საერთო წესით მისი ხარჯვის დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად.

28. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახიურების საშინისტროს წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება:

ა) იმ საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოების წახალისების ფონდების გასადიდებლად, რომლებიც ფართოდ ნერგავენ მოსახლეობის მომსახურების ახალ სახეობებსა და ფორმებს და ახალ ტექნიკას წარმოებაში;

ბ) საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოების წახალისების ფონდების შესავსებად იმ შემთხვევებში, როცა მათი მუშაობის მაჩვენებლები დროებით უარესდება ახალი ტექნიკის ათვისებასთან, წარმოების რეკონსტრუქციასთან ან ძირითადი საწარმოო ფონდების კაპიტალურ რემონტთან დაკავშირებით;

გ) საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოების წახალისების ფონდებში ანარიცხების გასადიდებლად მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების მკვეთრი მერყეობის შემთხვევებში. აგრეთვე წლის განმავლობაში დამტკიცებულ გეგმებში ცვლილებათა შეტანისას;

დ) ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოების, საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) წარჩინებულ მუშაკთა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს აპარატის მუშაკთა ერთდროული პრემირებისათვის, რომლებიც შეასრულებენ მთელი სამინისტროსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებებს;

ე) სრულიად საკავშირო, რესპუბლიკური სოციალისტური. შეჯიბრების შედეგების მიხედვით პრემირებისათვის;

ვ) სოფლად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების სტიმულირებისათვის;

ზ) იმ საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), ავტონომიური. რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოების წახალისების ფონდებში ანარიცხების გასადიდებლად, რომლებიც ახორციელებენ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებასა და ათვისებას;

თ) საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფონდის სახსრები გამოიყენება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ მოქმედი დებულების შესაბამისად;

ი) რესპუბლიკური დაქვემდებარების სასწავლო კომბინატების მუშაკთა პრემირებისათვის სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 29 ოქტომბრის № 450/23-62 დადგენილების შესაბამისად;

კ) ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოების, საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მუშაკთა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის მოსახლეობის მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების ორგანიზაციისა და დანერგვის გამო.

29. ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოების, საწარმოო გაერთიანებების *წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება:

ა) საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), ორგანიზაციების ფონდებში ანარიცხების გასადიდებლად საწარმოო გაერთიანებებზე (საწარმოებზე), ორგანიზაციებზე დამუკიდებელი მიზეზების გამო ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების მკვეთრი მერყეობის შემთხვევებში, აგრეთვე წლის განმავლობაში დამტკიცებულ გეგმებში ცვლილებათა შეტანისას;

ბ) საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოების აპარატების წარჩინებულ მუშაკთა ერთდროული პრემირებისათვის, რომლებიც შეასრულებენ ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროსათვის, სამმართველოსათვის, საწარმოო გაერთიანებისათვის * განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებებს;

გ) რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით პრემირებისათვის;

დ) საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) კოლექტივების, სახელოსნოების, საამქროების, მიმღები პუნქტების მუშების, ბრიგადების, წამყვან პროფესიებში მონაწილეთა სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა პრემირებისათვის;

ე) სოფლად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების სტიმულირებისათვის;

ვ) ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საოლქო, საქალაქო სამმართველოების, საწარმოო გაერთიანებების * აპარატების მუშაკთა წახალისების ფონდის შესაქმნელად.

---

* საწარმოო გაერთიანებანი, რომელთა საქვეუწყებო საწარმოები იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფონდის სახსრები გამოიყენება ამ დებულების 27-ე პუნქტის შესაბამისად საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) დადგენილი წესის მიხედვით;

ზ) სასწავლო-საწარმოო კომბინატების მუშაკთა პრემირებისათვის სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1979 წლის 29 ოქტომბრის № 450/23-62 დადგენილების შესაბამისად;

თ) იმ საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის), ორგანიზაციებისათვის წახალისების ფონდებში ანარიცხების გასადიდებლად, რომლებიც ახორციელებენ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებასა და ათვისებას (ამ სიმძლავრეთა ათვისებით დასაქმებულ მუშაკთა წასახალისებლად ფონდის თანხიდან, რომელიც მოდის საბაზო წელს მოცემულ საწარმოო გაერთიანებაში (საწარმოში), ორგანიზაციაში ერთ მომუშავეზე საშუალოდ, და ამ მიზნით გეგმაში გათვალისწინებული მუშაკთა რაოდენობის მიხედვით, საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების ნორმატიული ვადების გათვალისწინებით) და წარმოებაში ახალი ტექნიკის ათვისებას;

ი) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საოლქო, საქალაქო სამმართველოების აპარატების მუშაკთა პრემირებისათვის მოსახლეობის მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების ორგანიზაციისა და დანერგვის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 160 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდებით მომუშავე საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოთა, რესპუბლიკურ გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელფასის ფონდის შექმნის შესახებ

1. ეს დებულება შემუშავებულია შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მოწონებული სანიმუშო დებულების მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების მიხედვით მომუშავე საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოთა, რესპუბლიკურ გაერთიანებათა, საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელფასის ფონდის შექმნის შესახებ და ითვალისწინებს. 1986-1990 წლებში ხელფასის ფონდის ოდენობის განსაზღვრის წესს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოს *, საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) მიხედვით, რომლებიც მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდებით მუშაობენ.

2. საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებული პერსონალის ხელფასის ფონდი მორიგი წლის გეგმით იქმნება ორი ნაწილისაგან: ხელფასის საბაზო ფონდისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში ნორმატივის მიხედვით გამოანგარიშებული ფონდის გადიდების (შემცირების) თანხისაგან.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შეუძლია ნება დართოს საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) გამოიყენონ თავიანთი მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის 1 მანეთზე ხელფასის ნორმატივი.

3. ნორმატივები გათვალისწინებულია საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში და დაეგზავნებათ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოს, საწარმოო გაერთიანებას (საწარმოს) დროულად, ხუთწლი-

---

* აქ და შემდგომ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოდ უნდა ჩაითვალოს ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები და რესპუბლიკური გაერთიანებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი გეგმის შედგენის დაწყებამდე, საჭირო შემთხვევებში ხუთწლიანი გეგმის დამტკიცებისას აღნიშნულ ნორმატივებში შეიძლება შეტანილ იქნეს დაზუსტებანი. ხუთწლიან გეგმაში დაწესებული ნორმატივები ხელახლა არ დამტკიცდება.

ნორმატივები წესდება ერთ მომუშავეზე გამომუშავების ზრდასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის ეკონომიკურად დასაბუთებული თანაფარდობის დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შეუძლია დააწესოს საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიხედვით დიფერენცირებული ნორმატივები მთლიანად სამინისტროს ხაზით ხელფასის გაანგარიშებითი ფონდის მიხედვით, რაც გამოთვლილია დამტკიცებული ნორმატივის თანახმად, რეზერვის წარმოსაქმნელი თანხების გამოკლებით, ავრეთვე დაამტკიცოს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოების მიხედვით ხელფასის ფონდის შექმნის ნორმატივი. ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო დაქვემდებარებული საწარმოების მიხედვით ნორმატივს არ აწესებს.

4. წლიური გეგმების შესამუშავებლად საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) ხელფასის საბაზო ფონდს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებული პერსონალის ხელფასის ფონდი, წინა წლის ანგარიშის (მოსალოდნელი შესრულების) მიხედვით, გადიდებული ხელფასის ფონდის შედარებითი ეკონომიის თანხით ან შემცირებული ხელფასის საგეგმო ფონდზე ფაქტიურად დარიცხული ხელფასის გადამეტების თანხით საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის გეგმის შეუსრულებლობის პირობებში.

ამასთან მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე გადასვლის წინა წლის ანგარიშის (მოსალოდნელი შესრულების) მიხედვით საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებული პერსონალის ხელფასის საბაზო ფონდი დამატებით მცირდება არამწარმოებლური გაცემის თანხით მუშაობის ნორმალური პირობებისაგან გადახვევისათვის დანამატების სახით გადახდილი თანხების არანაკლებ 50 პროცენტის ოდენობით და ზეგანაკვეთურ დროს მუშაობისათვის ყველა დანამატის (სადირექტივო ორგანოთა სპეციალური გადაწყვეტილებებით ამ სამუშაოთა ნებართვის შემთხვევების გარდა) და მთელი დღით და ცვლებს შორის მოცდენის ყველა ანაზღაურების ოდენობით.

1987 წლამდე მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე გადასული საწარმოო გაერთიანებისათვის (საწარმოსათვის), რომელსაც არამწარმოებლური გაცემა არ გამოირიცხა მთლიანად ან ნაწილობრივ ხელფასის საბაზო ფონდიდან ეკონომიკურ ექსპერიმენტზე გადაყვანის მომენტში, აღნიშნული ხარჯები გამოირიცხება 1986 წლის ხელფასის საბაზო ფონდის ფორმირებისას.

მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების მიხედვით მუშაობის პირველ წელს საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) ხელფასის საბაზო ფონდი დიდდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის ხელმძღვანელობენ ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემიების თანხით, რაც გათვალისწინებულია საბაზო წელს მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯვის ნუსხით.

5. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოების მიხედვით მთლიანად ხელფასის საბაზო ფონდი განისაზღვრება როგორც საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) საბაზო ფონდების ჯამი, ხოლო მთლიანად საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიხედვით — საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოების, უშუალოდ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) საბაზო ფონდების ჯამი, რასაც მიემატება საბაზო წელს ხელფასის საერთო ფონდის გამოუყენებელი რეზერვის ნაშთი.

6. მოსალოდნელი შესრულების მიხედვით გაანგარიშებული ხელფასის საბაზო ფონდი ზუსტდება წლიური ანგარიშის მონაცემების თანახმად. ხელფასის წლიურ საბაზო ფონდს კვარტალების მიხედვით ანაწილებს საწარმოო გაერთიანება (საწარმო) დამოუკიდებლად და წლიური ანგარიშების მონაცემების თანახმად დაზუსტების შემდეგ იგი არ უნდა შეიცვალოს.

ხელფასის წლიური საბაზო ფონდის კვარტალების მიხედვით განაწილებისას საწარმოო გაერთიანებამ (საწარმომ) უნდა გაითვალისწინოს ერთ მომუშავეზე გამომუშავების ზრდასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის ეკონომიკურად დასაბუთებული თანაფარდობის დაცვის აუცილებლობა ყოველ კვარტალში.

იმ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ კვარტალის გეგმაში საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს ერთ მომუშავეზე გამომუშავების ზრდას, ხელფასის საბაზო ფონდი წესდება წინა წლის შესაბამისი კვარტალის ხელფასის ფაქტიური ფონდის თანაბარ დონეზე, მე-4 პუნქტის შესაბამისად არამწარმოებლური გაცემის გამოკლებით.

7. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოს, საწარმოო გაერთიანებას (საწარმოს), რომელიც ახორციელებს ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებასა და ათვისებას, მათ შორის სამრეწველო საწარმოთა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა სახსრების ხარჯზე, გამოეყოფა დამატებითი ხელფასის ფონდი. აღნიშნული დამატებითი ფონდი შრომის გეგმაში ცალკე აღირიცხება და შეიტანება საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებული პერსონალის ხელფასის ფონდში.

ახალასამოქმედებელ საწარმოთა და ობიექტთა (სიმძლავრეთა) სიებს მათი ათვისების ვადების აღნიშვნით ამტკიცებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ათვისების ხანგრძლივობის ნორმებისა და დონის გათვალისწინებით.

საწარმოო გაერთიანებას (საწარმოს), რომელსაც ძირითადი წარმოების ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების ნორმატიული ვადები გაუვიდა, ამ სიმძლავრეთა ათვისებით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისათვის გათვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისწინებული ხელფასის დამატებითი ფონდი არ გამოეყოფა. ახალ კალენდარულ წელს აღნიშნული საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) ხელფასის ფონდის დაგეგმვა ხორციელდება მოქმედი საწარმოებისათვის დადგენილი წესით.

8. საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაუკავშირებელ საქმიანობის სახეობათა მიხედვით ხელფასის ფონდი, არასიობრივი შემადგენლობის ხელფასის ფონდი, ახალ სიმძლავრეთა ათვისებით დასაქმებული მუშაკებისათვის ხელფასის ფონდი, მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების მუშაკთა ხელფასის ფონდი მტკიცდება წლიურად და იყოფა კვარტალების მიხედვით აბსოლუტურ თანხებში.

9. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოს, საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) ხელფასის საერთო ფონდი განისაზღვრება გაანგარიშებით მთლიანად წლისათვის და კვარტალების მიხედვით, როგორც საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებული პერსონალის ნორმატივის მიხედვით წარმოქმნილი ხელფასის ფონდის, ახალასამოქმედებელ სიმძლავრეთა მუშაკებისათვის ხელფასის ფონდის, საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაუკავშირებელ საქმიანობის სახეობათა პერსონალის ხელფასის ფონდის, არასიობრივი შემადგენლობის ხელფასის ფონდის, მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების მუშაკთა ხელფასის ფონდის ჯამი.

10. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ქმნის დადგენილი წესით ხელფასის ფონდის რეზერვს. მთლიანად სამინისტროს მიხედვით ხელფასის ფონდის საერთო რეზერვი განისაზღვრება დასაგეგმი წლის ძირითადი და არაძირითადი საქმიანობის პერსონალის რეზერვის დაჯამების გზით.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შეუძლია გამოყოს რეზერვიდან ხელფასის დამატებითი ფონდი ახალი მაღალეფექტიანი ტექნიკის, მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების ათვისების პერიოდში საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) მუშაობის მაჩვენებლების დროებითი გაუარესების, სტრუქტურული ძვრების, სტიქიური უბედურების, საწარმოო გაერთიანებაზე (საწარმოზე) დამოუკიდებელი მიზეზების გამო წარმოებისა და მოწყობილობის დაუგეგმავი შეჩერების შემთხვევაში, აგრეთვე დადგენილი წესით ხელფასის ფონდის გადახარჯვის თანხის გასაცემად და ასანაზღაურებლად.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს უფლება აქვს აგრეთვე დაუწესოს თავისი რეზერვის ხარჯზე და ფარგლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოებს ხელფასის ფონდის რეზერვი, რომელსაც ისინი გამოიყენებენ საწარმოო გაერთიანებაზე (საწარმოზე) დამოუკიდებელი მიზეზების გამო წარმოქმნილი ხელფასის ფონდის ნაკლებობის საკომპენსაციოდ, აგრეთვე ხელფასის ფონდის გადახარჯვის თანხის გასაცემად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოების რეზერვიდან ხელფასის დამატებითი ფონდის გამოყოფისას დამტკიცებული ნორმატივები არ იცვლება. ხელფასის ფონდის აღნიშნული თანხა ცალკე აღირიცხება და საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) ხელფასის საბაზო ფონდში მომდევნო საგეგმო პერიოდისათვის არ შეიტანება, არამედ დაბრუნდება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოს რეზერვში,

ხელფასის საბაზო ფონდიდან არ ამოირიცხება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოს რეზერვიდან სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად შრომის ანაზღაურების უპირატესობათა და შეღავათების შემოღებისათვის გამოყოფილი თანხები, აგრეთვე ხანგრძლივი ხასიათის გადასახდელებისათვის გათვალისწინებული თანხები.

თუ საწარმოო გაერთიანება (საწარმო) ხელფასის ფონდის გადახარჯვას აანაზღაურებს მისი წარმოქმნის მომენტიდან წლის განმავლობაში, ზემდგომი ორგანიზაციის მიერ ხელფასის ფონდის რეზერვიდან ადრე გამოყოფილი თანხები აღდგება იმ მართვის ორგანოს რეზერვში, რომელმაც გამოყო ეს სახსრები.

11. ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) წესდება ხელფასის ფონდის ნორმატივი მთლიანად საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოს მიხედვით საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში.

ავტოსატრანსპორტო საწარმოებისათვის, რომლებიც საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) შემადგენლობაში შედიან და მხოლოდ ამ საწარმოო გაერთიანებას (საწარმოს) ემსახურებიან, წესდება ხელფასის ფონდის ნორმატივი აღნიშნული საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში.

სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებანი ავტოსატრანსპორტო საწარმოებს ხელფასის სახსრებს მისცემენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) დადგენილი წესით.

12. ხელფასის საბაზო ფონდის შესახებ წლიური ანგარიშებით დაზუსტებულ მონაცემებს საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) აცნობებენ სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებს, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მართვის ორგანოებს, ხოლო ეს უკანასკნელნი კრებსით მონაცემებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცნობებენ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

13. კონტროლს საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) მიერ ხელფასის ფონდის ხარჯვისადმი ახორციელებენ სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებანი კვარტალობრივად.

საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებული პერსონალისათვის ხელფასის სახსრები საწარმოო გაერთიანებას (საწარმოს) მიეცემა კვარტალისათვის დაწესებული ხელფასის ფონდიდან გამომდინარე, რაც გადიდდება (შემცირდება) ამ ფონდის ზრდის (შემცირების) თანხით, რომელიც გამოანგარიშებულია ხელფასის ფონდის ზრდის (შემცირების) დამტკიცებული ნორმატივის და საანგარიშო კვარტალში საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ფაქტიური ზრდის (შემცირების) მიხედვით. საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებული პერსონალის ხელფასის კუთვნილი სახსრების ოდენობა ზუსტდება მათი წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით.

თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა შემცირდა, მაგრამ მოსახლეობის მიერ ანაზღაურებული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა შენარჩუნებულია არა წინა წლის შესაბამისი პერიოდის დონეზე ნაკლები ოდენობით, აღნიშნული პერსონალისათვის ხელფასის სახსრები გაიცემა ამ პერიოდისათვის დაწესებული ხელფასის საბაზო ფონდის ფარგლებში.

საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციისა და მოსახლეობის მიერ ანაზღაურებული მომსახურების მოცულობა თუ შემცირდა წინა წლის შესაბამისი პერიოდის დონესთან შედარებით, აღნიშნული პერსონალისათვის ხელფასის სახსრები გაიცემა საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის შემცირების ყოველ პროცენტში დაწესებული ნორმატივის მიხედვით ხელფასის საბაზო ფონდის შემცირებით.

14. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში), რომლებიც ასრულებენ სამუშაოებსა და მომსახურებას შინასასისტემო კოოპერაციის წესით, ხელფასის საბაზო ფონდი, აგრეთვე ხელფასის ფონდის ზრდა (შემცირება) განისაზღვრება დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობიდან გამომდინარე, შინასასისტემო კოოპერაციის წესით სამუშაოთა და მომსახურების მოცულობის ჩათვლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 160 დადგენილებით

ნორმატივი

1986-1990 წლებში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზრდის ყოველ პროცენტზე ხელფასის ფონდის შექმნისა

	(პროცენტი)
საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	0,70

ეროვნული
დამტკიცებულია ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 160 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა), სამმართველოთა, ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, რესპუბლიკურ გაერთიანებათა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მოწონებული მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ სანიმუშო დებულების საფუძველზე და განსაზღვრავს მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) *, სამმართველოთა, ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, რესპუბლიკურ გაერთიანებათა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის გამოყენების წესს.

1. საწარმოების მიერ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული მოგება რჩება მათს განკარგულებაში, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც უნდა გადაერიცხოთ ზემდგომ ორგანოებს სტაბილური ნორმატივების მიხედვით.

საწარმოებში დარჩენილი მოგების ხარჯზე იქმნება წახალისების ფონდი და საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდი.

2. საწარმოები თავისუფლდებიან ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებადი საბრუნავი სახსრებისათვის გადასახდელისაგან.

3. საწარმოო გაერთიანებანი, რომელთაც ექვემდებარებიან სააწარმოები, რომლებზეც ვრცელდება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულება, უფესებენ მათ ზემდგომ ორგანიზაციებში მოგების ანარიცხების ნორმატივებს.

ზემდგომ ორგანიზაციაში ანარიცხების ნორმატივები წესდება საწარმოთა ყველა სახეობის საქმიანობის მოგების პროცენტულად, განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგების გარდა.

ხუთწლედში საწარმოსათვის დამტკიცებული ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების ანარიცხების ნორმატივები არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

4. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით

---

* შემდგომში საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) ეწოდებათ „საწარმოები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმუშავებს და ამტკიცებს მთლიანად სამინისტროსათვის სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების ანარიცხების ნორმატივებს.

ხუთწლედისათვის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების ანარიცხების ნორმატივები არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

ცალკეულ შემთხვევებში (საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა გადაცემა ერთი დაქვემდებარებიდან მეორეში და ა. შ.) შეიძლება ნორმატივების კორექტირება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

5. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსათვის, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისათვის, სამმართველოებისა და რესპუბლიკური გაერთიანებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების ანარიცხების ნორმატივები წესდება მოგების პროცენტულად და განისაზღვრება როგორც მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადასვლის წელს საფინანსო გეგმის მიხედვით გამოანგარიშებულ გადასახდელთა თანხის თანაფარდობა მოგების თანხასთან, განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგების გამოკლებით.

საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, სამმართველოთა და რესპუბლიკურ გაერთიანებათა მოგებად, რომელიც უნდა განაწილდეს დაწესებული ნორმატივების მიხედვით, ითვლება საწარმოთა საქმიანობის ყველა სახეობის მოგება, რაც განისაზღვრება საფინანსო გეგმის გაანგარიშებაში, განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგების გამოკლებით.

6. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოებისა და რესპუბლიკური გაერთიანებების მიერ საწარმოებისაგან მიღებულ მოგების თანხას ისინი მოახმარენ:

ა) ანარიცხებს სახელმწიფო ბიუჯეტში დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით;

ბ) საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა, სამმართველოთა და რესპუბლიკურ გაერთიანებათა წახალისების ცენტრალიზებული ფონდების შექმნას;

გ) საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრების მომსახურების საშინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა, სამმართველოთა და რესპუბლიკურ გაერთიანებათა საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდების შექმნას.

7. ფაქტიურ მოგებად ითვლება საწარმოების, სამმართველოების, რესპუბლიკური გაერთიანებების, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების მიერ საქმიანობის ყველა სახეობაში საანგარიშო ბალანსის მიხედვით მიღებული მოგება.

გასანაწილებელი ფაქტიური მოგების განსაზღვრისას გამოირიცხება:

— კომუნისტურ შაბათობათა ჩატარების დღეებში მიღებული მოგება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მმართველობის აპარატის შენახვისათვის უკანონო და გადიდებულ ასიგნებათა თანხები, რაც გადაირიცხა ბიუჯეტში;

— დაწესებული ფასების მომატებისა და ფასწარმოქმნის მოქმედი წესის დარღვევის შედეგად მიღებული დამატებითი ამონაგების თანხა, რომელიც დადგენილი წესით შეაქვთ საწარმოებს ბიუჯეტის შემოსავალში;

— ცალკეულ შემთხვევებში საწარმოების მიერ სტანდარტებისა და ტექნიკური პირობებისაგან გადახრით პროდუქციის გამოშვების ხარჯზე მიღებული დამატებითი მოგება, რომელიც შეიტანება ბიუჯეტის შემოსავალში.

8. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებს, სამმართველოებს, რესპუბლიკურ გაერთიანებებს, რომელთა გეგმებში გათვალისწინებული არაა ბიუჯეტთან ურთიერთობა, მოგების გაანგარიშებული გეგმის გადამეტებით მიღებული თანხების ბიუჯეტში ანარიცხების ნორმატივები უწესდებათ ამ დებულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ასეთივე წესით განესაზღვრებათ გაანგარიშებულ გეგმასთან შედარებით ზარალის შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიის ბიუჯეტში ანარიცხების ნორმატივები ავტონომიური რესპუბლიკების დაგეგმილ-ზარალიან სამინისტროებს, სამმართველოებს, რესპუბლიკურ გაერთიანებებს.

გადასახდელთა გაანგარიშების ანალოგიური წესი დგინდება ზემდგომ ორგანიზაციასთან.

9. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა, სამმართველოთა, რესპუბლიკურ გაერთიანებათა და საწარმოთა სახელმწიფო ბიუჯეტსა და ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების ანარიცხების ნორმატივის გაანგარიშებისა და მათი ფაქტიური მოგებს განაწილების წესი, № 1-3 დანართების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი № 1

წ ე ს ი

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით სახელმწიფო ბიუჯეტში, ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების ანარიცხების ნორმატივის გაანგარიშებისა და მოგების განაწილებისა

(ათასი მანეთი)

	სამინისტროს ხაზით წლის განმავლობაში	მათ შორის საწარმოების ხაზით			
		I	II	III	IV
1. მოგება (გაანგარიშებით) . . .	5060	370	1015	1230	2445
2. განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგება	60	—	15	30	15
3. მოგება, განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგების გარდა (სტრიქ. 1 — სტრიქ. 2) . . .	5000	370	1000	1200	2430
4. მოგების ანარიცხები:					
ა) სახელმწიფო ბიუჯეტში (თანხა)	500	X	X	X	X
ნორმატივი (პროცენტობით) . .	10	X	X	X	X
სტრიქ. 4ა X 100 / სტრიქ. 3					
ბ) სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდებში	400	X	X	X	X
5. სულ ანარიცხები სამინისტროში . .	900	—	320	170	410
ანარიცხების ნორმატივი სამინისტროში (პროცენტობით) . . .	—	—	32,0	14,17	16,87
სტრიქ. 5 X 100 / სტრიქ. 3					

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს ი

ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოს, რესპუბლიკური გაერთიანების ხაზით სახელმწიფო ბიუჯეტში, ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების ანარიცხების ნორმატივის გაანგარიშებისა და მოგების განაწილებისა

(ათასი მანეთი)

	ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოს, რესპუბლიკური გაერთიანების ხაზით	მათ შორის საწარმოების ხაზით			
		I	II	III	IV
1. მოგება (გაანგარიშებით) . .	4820	3310	1355	105	50
2. განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგება . .	20	—	15	5	—
3. მოგება, განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგების გარდა (სტრიქ. 1 — სტრიქ. 2) . .	4800	3310	1340	100	50
4. მოგების ანარიცხები:					
ა) სახელმწიფო ბიუჯეტში (თანხა)	480	X	X	X	X
ნორმატივი (პროცენტობით) . .	10	X	X	X	X
სტრიქ. 4ა X 100 / სტრიქ. 3					
ბ) საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდებში	240	X	X	X	X
გ) ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სამმართველოს, რესპუბლიკური გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში . .	200	X	X	X	X
5. სულ მოგების ანარიცხები ზემდგომ ორგანიზაციაში . . .	920	767	148	5	—
ანარიცხების ნორმატივი ზემდგომ ორგანიზაციაში	—	23,17	11,0	5,0	—
სტრიქ. 5 X 100 / სტრიქ. 3					

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს ი

საწარმოების ხაზით ზემდგომ ორგანიზაციაში ანარიცხების ნორმატივის გაანგარიშებისა და მოგების განაწილებისა

(ათასი მანეთი)

	გეგმა (ტაბან-გარიშებით)	ფაქტიურად	
		ვარიანტი 1	ვარიანტი 2
1. მოგება	3310	3390	3295
2. განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგება . .	—	10	5
3. მოგება, განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგების გარდა (სტრიქ. 1 — სტრიქ. 2) . .	3310	3380	3290
4. მოგების ანარიცხების ნორმატივი ზემდგომ ორგანიზაციაში (პროცენტი)	23,17	23,17	23,17
5. მოგების ანარიცხების თანხა ზემდგომ ორგანიზაციაში (სტრიქ. 3 X სტრიქ. 4:100) . . .	767	783	762
6. საწარმოს განკარგულებაში დატოვებული მოგება (სტრიქ. 3 — სტრიქ. 5) . .	2543	2597	2528

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 160 დადგენილებით

ნორმატივი

1986-1990 წლებში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებულ ფონდში მოგების ანარიცხებისა

(პროცენტი)

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	32,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა — საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 160 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მართვის ორგანოთა, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია შესაბამისად სანიმუშო დებულებისა მეთორმეტე ხუთწლედში მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა სისტემაში საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ, რომელიც მოწონებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ.

დებულება განსაზღვრავს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მართვის ორგანოთა*, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესს.

I. საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში)

1. გაერთიანებებში (საწარმოებში), რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში, იქმნება საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდი.

ამასთან დაკავშირებით წარმოების განვითარების ფონდი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების ფონდი, ნარჩენებისაგან ფართო მომსახურების ფონდი და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი არ იქმნება.

2. საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრები მოხმარდება საწარმოო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას, ბანკის კრედიტების დაფარვას და პროცენტების გადახდას, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების ზრდას და სხვა საჭიროებებს.

საწარმოო მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის, სოციალურ-კულტურული და საბინაო მშენებლობისათვის (საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღების, ბავების, პიონერბანაკების,

---

* აქ და შემდგომ „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მართვის ორგანოდ“ უნდა ჩაითვალოს ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფილაქტორიუმების, პანსიონატების, სამედიცინო-სანიტარიული ნაწილების, სხვა ობიექტების მშენებლობა) გათვალისწინებული სახსრების ოდენობას განსაზღვრავს გაერთიანების (საწარმოს) ხელმძღვანელი პროფკავშირის კომიტეტთან ერთად.

3 .საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდი იქმნება მოგების (ზარალის ეკონომიის) ხარჯზე, რომელიც რჩება გაერთიანებათა (საწარმოთა) განკარგულებაში, ნორმატივების მიხედვით ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების (ზარალის ეკონომიის) გადარიცხვის, პირვანდელი ხარისხდაკარგული მასალებისა და სამარაგო ნაწილების ჩამოფასების თანხების ანაზღაურების და დადგენილი წესით წახალისების ფონდის შექმნის შემდეგ.

საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდში წარიმართება აგრეთვე ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების საერთო თანხა და ძირითადი ფონდების შემადგენლობაში რიცხული გამოკლებული და ზედმეტი ქონების რეალიზაციის ამონაგები, ამ ქონების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვით.

ასეთივე წესით ქმნიან საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებულ ფონდს საწარმოო გაერთიანებანი, რომელთა შემადგენლობაში შედიან საწარმოები, რომლებზეც ვრცელდება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულება.

ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები გამოიყენება შესაბამისად დებულებისა საამორტიზაციო ანარიცხების დაგეგმვის, დარიცხვისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების წესის შესახებ.

4. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მუშაობაზე გადასვლისას გაერთიანებები (საწარმოები) ჩარიცხავენ საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდში წარმოების განვითარების ფონდის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების ფონდის, ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების ფონდის სახსრების ნაშთებს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც წარიმართება წახალისების ფონდში, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში ზემოაღნიშნული გადასვლის თარიღის მდგომარეობით.

II. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მართვის ორგანოებში

5. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მართვის ორგანოები ქმნიან საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებულ ფონდს.

6. საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდი იქმნება მოგებისაგან, რომელიც რჩება მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება სტაბილური ნორმატივების მიხედვით ანარიცხები საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდებში, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურების საწარმოების მართვის ორგანოთა წახალისების ცენტრალიზებულ ფონდში.

7. საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები, უწინარეს ყოვლისა, ხმარდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი საწარმოო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის დაფინანსებას, ნაკლებრენტაბელური და ზარალიანი საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) ფინანსური დახმარების გაწევას, მათი ხარჯების დაფარვის ჩათვლით, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მართვის ორგანოთა მასშტაბით მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ღონისძიებათა განხორციელებას, საცხოვრებელი სახლების, კლუბების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, პიონერბანაკების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, სასადილოებისა და ბუფეტების კაპიტალურ რემონტს.

საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ნაწილი შეიძლება დაიხარჯოს რეკლამის ორგანიზაციის სამუშაოთა დასაფინანსებლად.

III. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში

8. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში იქმნება საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული ნორმატივების მიხედვით აღნიშნულ ფონდში შესატანი მოგების ანარიცხების ხარჯზე.

9. საწარმოო და სოციალური განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები ხმარდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის, ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების, მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესების, მიმღები პუნქტების ქსელის გაფართოების და სხვა ღონისძიებათა განხორციელებას.

10. გაერთიანებათა (საწარმოთა), ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა (სამმართველოთა), საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ დაგროვილი საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრები არ ჩამოერთმევათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 160 დადგ-
ნილებით

მეთოდიკური მითითებანი

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, დაპროექტების, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესის შესახებ

1. ეს მეთოდიკური მითითებანი შემუშავებულია „მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის № 669 დადგენილების, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მოწონებული მეთოდიკურ მითითებათა შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს * და საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) ** უმტკიცდებათ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ამოქმედება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

3. კაპიტალური მშენებლობის გეგმების შემუშავებისას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, მართვის ორგანოებმა და საწარმოებმა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა შემადგენლობაში გამოყონ არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობანი.

არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა აღნიშნული მოცულობანი განისაზღვროს საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრების

---

*) შემდგომში ეწოდება „მართვის ორგანოები“.

**) შემდგომში ეწოდება „საწარმოები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდენობის მიხედვით ამ ფონდის შექმნისა და გამოყენების შესახებ ადგილობრივ კურ მითითებათა საფუძველზე.

4. არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და საჯარო სამუშაოთა ლიმიტებით, მათ შორის ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის პირველ რიგში განსახორციელებლად. საჯარო სამშენებლო ორგანიზაციები ამ შემთხვევებში სამუშაოებს ასრულებენ ისეთივე წესით, როგორც ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე განსახორციელებელ სამუშაოებს.

5. მართვის ორგანოები და საწარმოები, ხუთწლეულისათვის დაწესებული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის დავალებებიდან გამომდინარე, განიხილავენ და განსაზღვრავენ მათი შესრულების შესაძლებლობას, უწინარეს ყოვლისა, არსებულ სიმძლავრეთა ეფექტიანი გამოყენებით (ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით, რომლებიც არ მოითხოვენ, როგორც წესი, კაპიტალურ დაბანდებებს, სამუშაო ადგილების ატესტაციით, მთლიანად საწარმოს მუშაობის ცვლიანობის და ძირითადი მოწყობილობის მუშაობის დროის წლიური ფონდის გადიდებით, წარმოებისა და შრომის მართვისა და ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვით, კადრების პროფესიული ოსტატობის ამაღლებით და სხვ.), ამასთან უზრუნველყოფენ მუშაობის საპროექტო მაჩვენებლების მიღწევას საწარმოს მიერ ნორმატიულ ვადებში.

6. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, მართვის ორგანოები და საწარმოები კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმების პროექტებს შეიმუშავებენ ხუთწლიანი გეგმით დასაგეგმი წლისათვის დაწესებულ დავალებათა საფუძველზე და წარუდგენენ მათ დადგენილ ვადებში ზემდგომ ორგანოებს.

წლიური გეგმების პროექტებში საჭირო შემთხვევებში ზუსტდება და კონკრეტდება ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ხუთწლედის გასულ წლებში გეგმის შესრულების მიმდინარეობის, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის შესაძლებელი ცვლილების გათვალისწინებით, აგრეთვე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულთან შედარებით უფრო პროგრესული და ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით.

7. საწარმოო მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის სამუშაოები საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის ხარჯზე და მათი ნაკლებობისას — ბანკის კრედიტების ხარჯზე ხორციელდება როგორც საჯარო, ისევე სამეურნეო წესით.

8. მოყოლებული 1987 წლიდან, საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე სამეურნეო წესით შესასრულებელ სამუშაოთა უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით (სახელობითი და იმპორტული მოწყობილობის გარდა) ხორციელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშუალოდ სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოებისა და საწარმოთა შეკვეთების მიხედვით, საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

9. საწარმოთა საკუთარი სახსრებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე სამეურნეო წესით შესასრულებელ სამუშაოთა უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 აპრილის № 387 დადგენილების 21-ე პუნქტით განსაზღვრული წესით.

10. მართვის ორგანოს, აგრეთვე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შეუძლია საწარმოთა თანხმობით ვააერთიანოს ამ საწარმოთა საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდების სახსრები საწარმოთა ჯგუფისათვის საერთო საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად და გამოვიდეს ერთიან შემკვეთად.

11. საწარმოები:

— დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საწარმოო და სოციალური განვითარების სახსრების გამოყენების მიმართულებებს და ამ ფონდის თანხებს, რომლებიც უნდა მოხმარდეს საწარმოო მშენებლობას (ახალ მშენებლობას, გაფართოებას, რეკონსტრუქციას, ტექნიკურ კვლავაღჭურვას) და არასაწარმოო მშენებლობას (საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღების, ბაგების, პიონერბანაკების, პროფილაქტორიუმების, პანსიონატების, სამედიცინო-სანიტარიული ნაწილებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას);

— უფლება აქვთ გადასცენ საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრები საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის;

— უფლება აქვთ გამოიყენონ ამ სახსრების 10 პროცენტამდე დამხმარე მეურნეობის განსავითარებლად. აღნიშნული სახსრების ხარჯზე შეუძლიათ შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მექანიზმები, პირუტყვი, ფრინველი, სარგავი მასალა, აგრეთვე აწარმოონ საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო-სამუშაოები;

— გეგმით განსაზღვრული ოდენობის გადამეტებით მიმდინარე წელს მიღებული საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრები, აგრეთვე გასულ წელს გამოუყენებელი სახსრები შეიძლება დაიხარჯოს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის, იმ პირობით, თუ გამოინახება საამისოდ საჭირო მატერიალური რესურსები ადგილობრივი წყაროებიდან.

ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში საწარმოებს შეუძლიათ კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილის ხარჯზე განახორციელონ დამატებითი დანახარჯები ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით გათვალისწინებული ლიმიტების გადამეტებით.

12. კაპიტალური მშენებლობისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმების შემუშავებისას, აგრეთვე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებისას უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის სახელმწიფო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1984 წლის 8 მაისის წერილით „ახალი მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის ცნებების განსაზღვრის შესახებ“, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1985 წლის 25 ოქტომბრის წერილით „რეკონსტრუქციისათვის მიკუთვნებული და მოქმედ საწარმოთა გაფართოების პროექტების მიხედვით განხორციელებული სამუშაოებისა და დანახარჯების დაგეგმვისა და აღრიცხვის წესის შესახებ“.

კაპიტალური დაბანადებათა დაფინანსების წესი დადგენილია სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის 1985 წლის 18 ოქტომბრის № 340/773 წერილით „მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ფართო გავრცელების პირობებში საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) დაფინანსებისა და დაკრედიტების წესის შესახებ“.

საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე ტექნიკური კვლავაღჭურვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) წარუდგენენ ბანკების დაწესებულებებს დასაგეგმი წლის ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმის ამონაწერს და სამუშაოთა და დანახარჯების ცალკეული სახეობებისათვის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებს, ხოლო კრედიტის მიღებისას, გარდა ამისა, დასახულ ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებას.

13. იმ შემთხვევებში, როცა ტექნიკური კვლავაღჭურვის სამუშაოთა განხორციელება გათვალისწინებულია ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, სატიტულო სიები ამ სამუშაოებზე არ შედგება. ასეთ სამუშაოთა დაფინანსება ხორციელდება კაპიტალური მშენებლობის გეგმის მაჩვენებლების შესაბამისად შინასამშენებლო სატიტულო სიის საფუძველზე.

14. სატიტულო და შინასამშენებლო სატიტულო სიები ბანკის დაწესებულებებს არ წარედგინებათ იმ შემთხვევებში, როცა კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ხორციელდება მხოლოდ მოწყობილობის შეძენის დანახარჯები, რაც მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში არ შედის.

აღნიშნული მოწყობილობის შეძენის დაფინანსება ხდება კაპიტალური მშენებლობის გეგმაში (ფორმა № 7) ამ მიზნით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის და საწარმოთა ცალკე ანგარიშებზე არსებული სახსრების ფარგლებში.

15. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილის ხარჯზე განსახორციელებელი ტექნიკური კვლავაღჭურვის დამატებითი ხარჯების დაფინანსება ხდება ბანკებისათვის კაპიტალური მშენებლობის გეგმების (ფორმა № 7) წარდგენის გარეშე იმ თანხების ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლებში, რომელთაც აცნობებენ მათ საწარმოთა დირექტორები ცალკე ანგარიშებიდან.

16. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შეუძლია დაუწესოს მართვის ორგანოებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით დასაქმებულ მუშაკთა დამატებითი რიცხოვნობა და ინ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო ხელფასის ნორმატივები, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო (არაცენტრალიზებულ) კაპიტალურ დაბანდებათა დამტკიცებული გეგმის გადამეტებით საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე, რაც შემდგომ ეცნობება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

17. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაწესებული ლიმიტის ფარგლებში შეიმუშავებს თავისი საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციების ძალებით როგორც სახელმწიფო ცენტრალიზებულ, ისევე სახელმწიფო არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე კაპიტალური მშენებლობის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. საჭირო შემთხვევებში ამ მიზნით მიიწვევენ სხვა საპროექტო ორგანიზაციებს.

18. ახალ საწარმოთა მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შემუშავდეს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობის, შემუშავების, შეთანხმებისა და დამტკიცების წესის შესახებ ინსტრუქციის (სნ-202-81*) მოთხოვნების შესაბამისად.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, მართვის ორგანოებს შეუძლიათ საპროექტო-საკონსტრუქტორო, საპროექტო-ტექნოლოგიური ბიუროების (ორგანიზაციების) ძალებით ძირითადი საქმიანობის გეგმებში გათვალისწინებული ხელფასის ფონდის ფარგლებში შეიმუშაონ მასობრივი მოთხოვნილების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული 500 ათას მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (მშენებლობის მოედნებთან შენობა-ნაგებობათა ტიპობრივი პროექტების მისადაგების ჩათვლით) დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, აგრეთვე აღნიშნული ობიექტების კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაწესებული ლიმიტების გადამეტებით.

შემუშავებული პროექტები ექვემდებარება ექსპერტიზას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ობიექტების დაპროექტების დავალებებს ადგენენ პროექტირების შემკვეთნი საჭირო შემთხვევებში გენერალურ დამპროექტებელთა, სუბსაიჯარო სპეციალიზებულ საპროექტო ორგანიზაციათა და გენერალურ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციათა მიზიდვით და ამტკიცებენ დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და საზოგადოებრივი ცენტრების შემადგენლობაში, აგრეთვე საცხოვრებელი განაშენიანების შემადგენლობაში მოსათავსებელი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქვედანაყოფების დაპროექტების დავალებანი და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელთაც ასრულებენ კომპლექსში სხვა საპროექტო ორგანიზაციები, უთანხმდება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ხოლო ასეთი პროექტებისათვის ტექნოლოგიურ ნაწილს ასრულებენ მისი საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციები.

21. რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის პროექტის (სამუშაო პროექტის) შემადგენლობაში ძირითადი, დამხმარე და მომსახურების დანიშნულების ობიექტების ლოკალური ხარჯთაღრიცხვების შედგენისას ზედნადები ხარჯებითა და საგეგმო ღაგროვებით სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიმართ საჭირო შემთხვევებში* შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადიდებული კოეფიციენტები იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების 10 პროცენტამდე ოდენობით, რომლებიც სრულდება მოქმედი წარმოების (საამქროს, უბნის) პირობებში და ართულებს აღნიშნულ სამუშაოთა განხორციელებას.

ხსენებული კოეფიციენტები უნდა შეიმუშაოს საპროექტო ორგანიზაციამ და დაამტკიცოს შემკვეთმა გენერალურ საიჯარო ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

აღნიშნული კოეფიციენტები გამოიყენება აგრეთვე იმ ინდივიდუალური ერთეული ფასდებებით განსაზღვრული სამუშაოთა ღირებულების მიმართ, რომლებიც ითვალისწინებენ რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის დროს მათი წარმოების რეალურ პირობებსა და ხასიათს, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა დამატებითს დანახარჯებს.

---

* სსრ კავშირის სახმშენის 1983 წლის 15 აგვისტოს № 202 დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 160 დადგენილებით

ინსტრუქცია

ზემდგომ ორგანიზაციებში მოგების ანარიცხების ხაზით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ანგარიშსწორების წესის შესახებ

1. დაწესდეს, რომ საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიერ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული მოგება რჩება მათს განკარგულებაში, გარდა თანხებისა, რომლებიც უნდა გადაერიცხოთ ბიუჯეტს და ზემდგომ ორგანოებს სტაბილური ნორმატივების მიხედვით.

2. საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) მოგების ანარიცხების ნორმატივი წესდება დიფერენცირებულად, ადგილობრივი პირობებისა და მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით.

გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) დამტკიცებული ზემდგომ ორგანიზაციში მოგების ანარიცხების ნორმატივები არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

3. ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების ანარიცხების ნორმატივი წესდება მოგების პროცენტულად.

საფინანსო გეგმის გაანგარიშებაში განსაზღვრულ საერთო მოგებად ითვლება გაერთიანებათა (საწარმოთა) მოგება საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით.

გაერთიანებათა (საწარმოთა) საფინანსო გეგმაში მოგებისა და ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების ანარიცხების საერთო თანხა წესდება წლიურად, კვარტალობრივი დაყოფით.

გასანაწილებელი საგეგმო მოგების განსაზღვრისას გამოირიცხება დამხმარე სასოფლო მეურნეობათა მოგება, აგრეთვე მოგება, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად მიზნობრივი ხასიათი აქვს და გამოიყენება განსაკუთრებული წესით.

4. გაერთიანებები (საწარმოები), რომლებსაც გეგმის მიხედვით აქვთ დაწესებული ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების ანარიცხები, ამ გადასახდელებს გადარიცხავენ ყოველი თვის 5, 15 და 20 რიცხვში კვარტალისათვის დაწესებული გადასახდელის თანხის 1/9 ოდენობით, ხოლო ანარიცხების დიდი ოდენობის მქონე გადამხდელთათვის შეიძლება დაწესდეს გადახდის ვადა — ყოველი თვის 15 რიცხვი კვარტალური თანხის 1/3 ოდენობით.

5. ზემდგომ ორგანიზაციაში გადასარიცხი თანხების გამოანგარიშების სისწორის, დროულად გადახდისა და დაწესებული ანგარიშგების წარდგენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ უშუალოდ გაერთიანებებს (საწარმოებს).

6. გაერთიანებები (საწარმოები) მოვალენი არიან დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში წარუდგინონ სამინისტროს და საფინანსო ორგანოებს თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით კვარტალური და წლიური საბუღალტრო ანგარიშები და ბალანსები, აგრეთვე ზემდგომ ორგანიზაციაში ფაქტიური მოგების ანარიცხების გაანგარიშებანი ამ დადგენილების № 1, 2, 3 დანართების თანახმად, რომელთა საფუძველზეც წარმოებს ანარიცხების კვარტალური და წლიური გადაანგარიშება. ზემდგომ ორგანიზაციაში გადასახდელთა გამოანგარიშება ფაქტიური მოგების მიხედვით წარმოებს მზარდი შედეგით.

7. ფაქტიურ მოგებად ითვლება გაერთიანებათა (საწარმოთა) მიერ საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით მიღებული მოგება.

გასანაწილებელი ფაქტიური მოგების განსაზღვრისას გამოირიცხება:

— მმართველობის აპარატის შენახვისათვის უკანონო და გადიდებულ ასიგნებათა თანხები, რაც გადაირიცხა ბიუჯეტში;

— დამხმარე სასოფლო მეურნეობათა ფაქტიური მოგება, აგრეთვე მოგება, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიზნობრივი ხასიათი აქვს და გამოიყენება განსაკუთრებული წესით;

— კომუნისტურ შაბათობათა ჩატარების დღეებში მუშაობის შედეგად მიღებული მოგება;

— დადგენილი ფასების მომატებისა და ფასწარმოქმნის მოქმედი წესის დარღვევის შედეგად მიღებული დამატებითი ამონაგების თანხა, რომელიც დადგენილი წესით შეიტანება ბიუჯეტის შემოსავალში;

— ცალკეულ შემთხვევებში სტანდარტებისა და ტექნიკური პირობებისაგან გადახვევით პროდუქციის გამოშვების ხარჯზე მიღებული დამატებითი მოგება, რომელიც შეიტანება ბიუჯეტის შემოსავალში.

ამასთან ფასებისა და ტარიფების მომატების შედეგად მიღებული და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში შესატანი დამატებითი ამონაგების თანხა ამოირიცხება იმ საანგარიშო პერიოდის ფაქტიური მოგებიდან, როცა მიღებულია გადაწყვეტილება ამ თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვის შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდში ჰქონდა ადგილი მომატებას. ასეთივე წესით კორექტირდება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობებისაგან გადახვევით დამზადებული პროდუქციის რეალიზაციის მოგების თანხის ფაქტიური მოგება.

8. გაერთიანებებს (საწარმოებს), რომელთა შემადგენლობაში შედიან დაგეგმილ-ზარალიანი დამხმარე სასოფლო მეურნეობანი, საბალანსო მოგება არ უნდა დაუწესდეთ ამ მეურნეობათა საგეგმო, აგრეთვე ფაქტიური ზარალის თანხაზე გეგმის ფარგლებში. ამ შემთხვევებში საბალანსო მოგება დიდდება მხოლოდ ზეგეგმითი ზარალის თანხით.

9. ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების ანარიცხები განისაზღვრება ფაქტიურად მიღებული მოგების მიხედვით, რომელიც გამოანგარიშებულია ზემოაღნიშნული წესით, დამტკიცებული ნორმატივის შესაბამისად.

10. ზემდგომ ორგანიზაციაში მოგების ანარიცხების თანხები, რომლებიც დამატებით გამოიანგარიშეს თვით გაერთიანებებმა (საწარმოებმა), ფაქტიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მიღებული მოგებიდან გამომდინარე, გადაერიცხებათ ზემდგომ ორგანოებს შემდეგ ვადებში:

— კვარტალური ანგარიშსწორებით — 5 დღის ვადაში საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენისათვის დაწესებული დღიდან;

— წლიური ანგარიშსწორებით — 10 დღის ვადაში საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენისათვის დაწესებული დღიდან.

11. ეს ინსტრუქცია შემოღებულია სამოქმედოდ 1986 წლიდან.

---

12 1986 წლიდან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებზე (საწარმოებზე) მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობების გავრცელებასთან დაკავშირებით მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვების გადიდების, ნაკეთობათა ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების, ადგილობრივი რესურსებისა და წარმოების ნარჩენების უფრო სრულად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, შრომითი კოლექტივების ტექნიკური სრულყოფის, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით მათი დაინტერესების გაძლიერების, მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ფართოდ დანერგვის მიზნით და „მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის № 669 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაფართოვდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) უფლებები დაგეგმვასა და სამეურნეო საქმიანობაში და გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა მუშაობის შედეგებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დამტკიცდეს შემდეგი თანდართული ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტები მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მუშაობის საკითხებზე:

— დებულება მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ;

— დებულება მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ფინანსური რეზერვის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ;

— დებულება მეთორმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობაში მატერიალური წახალისების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ;

— დებულება მეთორმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობაში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ;

— მეთოდიკური მითითებანი მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, დაპროექტების, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესის შესახებ.

დაგეგმვის სრულყოფის დარგში

3. დაწესდეს რომ, მოყოლებული 1986 წლიდან, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) აგრეთვე მთლიანად სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიან და წლიურ გეგმებში მტკიცდება შემდეგი მაჩვენებლები, ლიმიტები და ეკონომიკური ნორმატივები:

ა) მაჩვენებლები:

— სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობა (წლიურ გეგმებში);

— პროდუქციის წარმოება ნატურალური გამოხატულებით (ძირითადი ნომენკლატურის მიხედვით), ახალი სახეობების ნაკეთობათა წარმოების დაკალების ჩათვლით;

— ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენებისაგან პროდუქციის წარმოების მოცულობა (წლიურ გეგმებში);

— სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონე;

— მოგება (წლიურ გეგმებში);

— ახალასამოქმედებელი საწარმოებისა და ობიექტების მუშაკთა, აგრეთვე არასამრეწველო პერსონალის ხელფასის ფონდი.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შეუძლია დაუწესოს საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) პროდუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის რეალიზაციის მოცულობისა და მოგების გადიდებული საგეგმო დავალებანი სამინისტროსათვის დამტკიცებული გეგმის 2 პროცენტამდე ფარგლებში;

ბ) ლიმიტები:

— მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობის ლიმიტი;

— სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამოქმედების ლიმიტი;

— უმნიშვნელოვანეს სახეობათა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტები (წლიურ გეგმებში — ფონდები);

გ) ეკონომიკური ნორმატივები:

— სასაქონლო პროდუქციის ზრდის ყოველ პროცენტში სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდის ზრდის ნორმატივი.

მთლიანად სამინისტროსათვის აღნიშნული ნორმატივი წესდება აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის ზრდისათვის;

— მხატვრული რეწვის საწარმოთა სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდის ნორმატივი სასაქონლო პროდუქციის მოცულობის პროცენტულად (ხუთწლიან გეგმაში);

— წარმოების განვითარების ფონდის ზრდის ნორმატივი (ხუთწლიან გეგმაში);

— მატერიალური წახალისების ფონდის ზრდის ნორმატივი (ხუთწლიან გეგმაში);

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ზრდის ნორმატივი (ხუთწლიან გეგმაში);

— მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდის შექმნის ნორმატივი (სამინისტროსათვის ხუთწლიან გეგმაში);

— სახელმწიფო ბიუჯეტში გაანგარიშებული მოგების ანარიცხების ნორმატივი (საწარმოო გაერთიანებებისათვის) საწარმოებისათვის (წლიურ გეგმებში).

ეკონომიკური ნორმატივები უნდა შემუშავდეს და ეცნობოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე მის საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში დროულად, ხუთწლიანი (წლიური) გეგმის შედგენის დაწყებამდე. ხუთწლიან გეგმაში დაწესებული ნორმატივები არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

ხელფასის საერთო ფონდი მთლიანად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსათვის და საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის განისაზღვრება ხუთწლედისა და შესაბამისი წლების მიხედვით გაანგარიშებით.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიხედვით წარმოების გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ პროდუქციის ნომენკლატურას, რომლის წარმოების დავალებანი სამინისტროს, საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიხედვით დასახულია ხუთწლიან და წლიურ გეგმებში, ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და აღნიშნული სამინისტრო მათი შემუშავების დაწყებამდე;

— პროდუქციის რეალიზაციის მოცულობას საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიხედვით განსაზღვრავენ ისინი, ნატურალური გამოხატულებით პროდუქციის წარმოების დავალებიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან და სხვა მომხმარებლებთან შეთანხმებული მისი ასორტიმენტის, აგრეთვე პროდუქციის მიწოდების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებათა გათვალისწინებით, და ამტკიცებს სამინისტრო;

— პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიხედვით წლიურ გეგმებში განისაზღვრება საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) გეგმების ჯამით და ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებისას სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებთან ერთად გამოყოს ცალკე არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა, რაც ხორციელდება წარმოების განვითარების ფონდის, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ხარჯზე.

დაწესდეს, რომ:

— წარმოების განვითარების ფონდისა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე ღონისძიებანი ხორციელდება, როგორც წესი, სამეურნეო წესით, ხოლო იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, — საიჯარო წესით ამისათვის საჭირო ლიმიტების გამოყოფით;

— ობიექტების მშენებლობა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე ხორციელდება ძირითადად საიჯარო წესით, ხოლო იქ, სადაც ეს შესაძლებელია, — სამეურნეო წესით.

6. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა განხორციელდეს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდების ფარგლებში, რომლებიც გამოიყოფა ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების, ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ეკონომიის დავალებათა გათვალისწინებით.

დაევალოს საქართველოს სსრ სახმომარაგებას მიიღოს საჭირო ზომები საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის მათთვის გამოყოფილი ფონდებისა და მიცემული განრიგების ზუსტი შესაბამისობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და მის საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს):

— ფართოდ გამოიყენონ დაზოგილი მასალების, ადგილობრივი და მეორეული ნედლეულის, წარმოების ნარჩენების ხარჯზე პროდუქციის გამოშვების გადიდების არსებული შესაძლებლობანი;

— საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) გამოსაყოფ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდების შემადგენლობაში აღნიშნონ ცალკე სტრიქონად იმ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო რესურსები, რომლებიც ხორციელდება არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა (წარმოების განვითარების ფონდის, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის) ხარჯზე სამეურნეო წესით.

7. სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხოვნობის ლიმიტები საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) დაუწესდეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

8. დაწესდეს, რომ:

— ხელფასის ფონდი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მოქმედი საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიხედვით განისაზღვრება, გამომდინარე საბაზო წელს ფონდის ოდენობიდან და მისი ზრდის ოდენობიდან, რაც გამოიანგარიშება ნორმატივების მიხედვით საბაზო წელთან შედარებით სასაქონლო პროდუქციის მოცულობის ზრდის ყოველ პროცენტში;

— ხალხური მხატვრული რეწვის ნაკეთობათა მიხედვით ხელფასის ფონდი გამოიანგარიშება პროდუქციის 1 მანეთზე ხელფასის ნორმატივების თანახმად;

— აღნიშნული ნორმატივები წესდება ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების შედგენის დაწყებამდე, წარმოების სპეციფიკის შესაბამისად დიფერენციაციით, ამასთან უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის ეკონომიკურად დასაბუთებული თანაფარდობის დაცვა და ხუთწლედის წლების მიხედვით ხელფასის ფონდის 1 მანეთზე პროდუქციის გამოშვების გადიდება;

— ხელფასის ფონდი ახალამოქმედებული საწარმოების, საამქროებისა და სხვა საწარმოო ობიექტების მიხედვით წესდება აბსოლუტური თანხით მუშაკთა საპროექტო რიცხოვნობის და დაწესებული სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების გათვალისწინებით;

— ხელფასის საერთო ფონდი საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) აგრეთვე მთლიანად სამინისტროს მიხედვით განისაზღვრება როგორც ნორმატივების თანახმად გამოანგარიშებული ხელფასის ფონდის, ახალამოქმედებული საწარმოებისა და საამქროების ხელფასის ფონდის და არასამრეწველო პერსონალის ხელფასის ფონდის ჯამი;

— საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) საქმიანობის შეფასებას ახორციელებენ ხელმძღვანელი ორგანიზაციები და ადგილობრივი ორგანოები პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის მუშაობისა და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას, დადებული ხელშეკრულებების (შეკვეთების) შესაბამისად ნომენკლატურის (ასორტიმენტის), ხარისხის მიხედვით და ვადებში მიწოდების და მოგების ვალდებულებებიდან გამომდინარე;

— იმ საწარმოთა საქმიანობის შეფასებისათვის, რომლებიც უშვებენ სათამაშოებს, ნაძვის ხის სამკაულებს, მხატვრულ ნაკეთობებსა და სუვენირებს, აგრეთვე იყენებენ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას, მაჩვენებლებს შეიმუშავებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით წარმოუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) წარმოებისა და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვაში პროდუქციის მიწოდების გრძელვადიან ხელშეკრულებათა როლის ამაღლების მიზნით:

— საქართველოს სსრ სახმომარაგებამ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ეკონომიკურად მიზანშეწონილი პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირურთიერთობის ყოველმხრივი გაფართოება;

— დაწესდეს, რომ მომხმარებელთა და მიმწოდებელთა წინასწარი მიმაგრების სქემებს მათ მიერ პროდუქციის ნომენკლატურისა და მიწოდების მოცულობის განსასაზღვრავად და შემდგომ გრძელვადიან სამეურნეო ხელშეკრულებათა დასადებად ხუთწლედისათვის ამტკიცებს საქართველოს სსრ სახმომარაგება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით არა უგვიანეს ერთი წლისა დასაგეგმი ხუთწლედის დაწყებამდე.

10. პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო კავშირურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ არ დაუშვას საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) დაწესებული პროდუქციის წარმოების გეგმებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდების შეცვლა ამ სამეურნეო კავშირურთიერთობის მოქმედების მთელ პერიოდში.

11. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) პროდუქციის წარმოების წლიური გეგმების, აგრეთვე მატერიალური ბალანსებისა და პროდუქციის განაწილების გეგმების შემუშავება და დამტკიცება და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდების დაგზავნა ხორციელდება ვადებში, რომლებიც გამორიცხავენ პროდუქციის საავანსო დაგანრიგების აუცილებლობას და უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ სახმომარაგების მიერ მისი მიწოდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

განრიგების (მიმაგრების გეგმების) გაცემას არა უგვიანეს ორი თვისა ადგილობრივი გეგმი წლის დაწყებამდე.

წარმოების ტექნიკური სრულყოფის დარგში

12. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) საწარმოო პოტენციალის გამოყენება, აგრეთვე გაფართოვდეს მათი უფლებები და შესაძლებლობანი საკუთარი სახსრების ხარჯზე ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის, მიენიჭოთ მათ სრული დამოუკიდებლობა წარმოების განვითარების ფონდისა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდის გამოყენებაში.

დაწესდეს, რომ საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მიერ დაგროვილი ზეშოალნიშნული ფონდების სახსრები არ ჩამოერთმევათ.

13. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ დაუწესოს ხუთწლიან გეგმაში საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) წარმოების განვითარების ფონდის შექმნის ნორმატივები, რომლებიც ითვალისწინებენ ძირითადი ფონდების ცვეთის დონეს და მათი მოდერნიზაციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის საჭირო სახსრების მოთხოვნილებას.

14. დაწესდეს, რომ წარმოების განვითარების ფონდი იქმნება საბაზო წლის გეგმით განსაზღვრული ამ ფონდის ოდენობიდან და საბაზო წელთან შედარებით მოგების ზრდის ყოველ პროცენტში ნორმატივის მიხედვით გამოანგარიშებული ფონდის ზრდის თანხიდან გამომდინარე. ამასთან საბაზო ფონდი არ შეიძლება იყოს იმ თანხაზე ნაკლები, რომელიც შეესაბამება წარმოების განვითარების ფონდში შესატანი საამორტიზაციო ანარიცხების საშუალო ოდენობას, რაც გათვალისწინებულია 1985 წლის გეგმით მთლიანად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიხედვით ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს შეუძლიათ დაუწესონ ცალკეულ საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) წარმოების განვითარების ფონდში დამატებითი ანარიცხების გადიდებული ნორმატივები ძირითადი საწარმოო ფონდების ცვეთის დონის გათვალისწინებით.

ნება დაერთოთ საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) გაადიდონ წარმოების განვითარების ფონდი იმ პირობით, თუ შეასრულებენ დამატებით დამტკიცებული გეგმის გადამეტებით, ნაკისრ მოგების ზრდის დავალებებს.

ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდისა და ფართო მოხმარების ფონდის სახსრები შეიძლება ნაწილობრივ ცენტრალიზებულ იქნეს სსრ კავშირის კანონმდებლობით ადრე დადგენილი წესის შესაბამისად.

ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში შედის აგრეთვე ფართო მოხმარების ფონდის სახსრები და იმ საწარმოო გაერთიანე-

ბათა (საწარმოთა) განკარგულებაში დადგენილი წესით დატოვებული მოგების, რომლებიც იყენებენ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ კაპიტალური მშენებლობის გეგმების პროექტების შემუშავებისას უზრუნველყონ, რომ პირველ რიგში შეიტანონ მათში მოქმედ საწარმოთა და წარმოებათა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები.

15. ნება დაერთოთ ბანკების დაწესებულებებს მისცენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმების ფარგლებში კრედიტები ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვის მაღალეფექტიან ღონისძიებათა განსახორციელებლად იმ პირობით, რომ ისინი ანაზღაურდეს 6 წლამდე ვადაში პირველი სესხის გაცემის დღიდან.

აღნიშნული კრედიტი დაიფაროს წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე, ხოლო მათი უკმარისობისას — საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) განკარგულებაში დატოვებული ზეგეგმითი მოგების ხარჯზე.

16. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) განახორციელონ ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევებში კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის დამატებითი დანახარჯები სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით გათვალისწინებული ლიმიტების გადამეტებით.

ამასთან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მოწყობილობის დადგმისა და მონტაჟისათვის საჭირო მოცულობით.

17. უფლება მიეცეს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას მისცეს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) კრედიტები 0,5 მილიონ მანეთამდე ოდენობით 6 წლამდე ვადით (სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის გადამეტებით) ახალი პროდუქციის გამოშვებისა და მისი ხარისხის ამაღლების, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოების ღონისძიებათა განსახორციელებლად.

18. უფლება მიეცეთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომლებიც მიზნად ისახავენ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მისი ასორტიმენტის განახლებას, ახალი ტექნიკისა და გადიდებული მოთხოვნილების სახალხო მოხმარების საქონლის შექმნას, ათვისებასა და წარმოებაში დანერგვას.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ გამოყოს ამ მიზნებისათვის ცალკეულ საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) განკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულებაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდის სამსა-
რების ნაწილი.

19. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სა-
მინისტროს ნება დართოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი
მრეწველობის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ად-
გილობრივი მრეწველობის სამმართველოს, საწარმოო გაერთიანებებს
(საწარმოებს) შეიმუშაონ საქვეუწყებო ორგანიზაციათა ძალებით ძირითადი
საქმიანობის გეგმებში გათვალისწინებული ხელფასის ფონდის ფარგლებში
საამქროთა და წარმოებათა რეკონსტრუქციის, ტექნიკური კვლავაღჭურვისა
და გაფართოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მიუსადაგონ
ადგილმდებარეობას ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების შენობა-ნაგე-
ბობათა მშენებლობის არართული ტიპობრივი პროექტები დაფინანსების არა-
ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლი-
მიტების გადამეტებით.

20. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარ-
მოო გაერთიანებებში (საწარმოებში) ახალ სახეობათა სახალხო მოხმარების
საქონლის წარმოებაში დანერგვის დაჩქარების მიზნით დაწესდეს, რომ აღნიშ-
ნული საქონლის ნიმუშ-ეტალონებისა და მათზე ნორმატიულ-ტექნიკური დო-
კუმენტაციის შეთანხმებასა და დამტკიცებას ახორციელებენ რესპუბლიკური
ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული
წესითა და ნაკეთობათა ნუსხის მიხედვით, მთავარ სამინისტროებთან შეუ-
თანხმებლად.

21. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ ახალ
სახეობათა პროდუქციის მასობრივი ათვისების პერიოდში საქვეუწყებო სა-
წარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მუშაობის მაჩვენებლების დროებით
გაუარესების შემთხვევაში აუნაზღაუროს მათ ხელფასის ფონდის, მატერიალუ-
რი წახალისების ფონდში და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და
საბინაო მშენებლობის ფონდში ანარიცხების შემცირება სამინისტროს შესაბა-
მისი ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯზე.

წარმოების ეფექტიანობის ზრდით შრომითი კოლექტივების დაინტერესების გაძლიერებისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების დარგში

22. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ უზ-
რუნველყოს თავის საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში)
მატერიალური წახალისების ფონდის ოდენობის მჭიდრო დამოკიდებულება
მუშაობის საბოლოო შედეგებსა და მის ეფექტიანობაზე, კერძოდ:

ა) შექმნას საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მატერიალური წახა-
ლისების ფონდები, გამომდინარე მათი საბაზო ოდენობიდან და საბაზო წელ-
თან შედარებით მოგების ზრდის ყოველ პროცენტში (პუნქტში) დაწესებული
ნორმატივების მიხედვით ანარიცხებიდან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წლის განმავლობაში დარიცხული მატერიალური წახალისებანი—ფონდის გაადიდოს (შეამციროს):

— პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის საგეგმო დავალებათა შესრულების კვალობაზე დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით, ამასთან მატერიალური წახალისების ფონდი გეგმის შეუსრულებლობის ყოველ პროცენტში (პუნქტში) შეამციროს 3 პროცენტით და გაადიდოს იგი 15 პროცენტით მთლიანად გეგმის შესრულებისას;

— ახალი მაღალეფექტიანი, სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი, და „ს"-ინდექსიანი პროდუქციის საბითუმო ფასების მიღებული დანამატების ან წარმოებიდან მოსახსნელი პროდუქციის საბითუმო ფასების დაკლების ოდენობის კვალობაზე;

— საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის გამოსაშვებად დასპეციალებულ საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) ხელფასის ფონდის 1 მანეთზე სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების კვალობაზე.

დაწესდეს, რომ:

— იმ დამატებითი მოგების ხარჯზე შექმნილ მატერიალური წახალისების ფონდს, რომელიც ფაქტიურად მიიღეს საწარმოო გაერთიანებებმა (საწარმოებმა) ზემოაღნიშნული დანამატების ხარჯზე, ისინი გამოიყენებენ შრომითი კოლექტივის მიერ განხილული და მოწონებული მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

— იმ შემთხვევაში, თუ საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, მატერიალური წახალისების ფონდის შესაბამისი ნაწილი რჩება რეზერვში და მომდევნო წელს გამოიყენება შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირებისათვის ან გადაირიცხება სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში.

23. გაფართოვდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) უფლებები შრომის ანაზღაურების სრულყოფისათვის ხელფასის ფონდის გამოყენებაში. ამასთან დაკავშირებით ნება დაერთოთ მათს ხელმძღვანელებს დაუწესონ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, რაც გამოანგარიშებულია დამტკიცებული მაჩვენებლებისა და ნორმატივების მიხედვით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სატარიფო განაკვეთების გადიდებული დანამატები განსაკუთრებით პასუხსაგებ სამუშაოზე დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს პროფესიული ოსტატობისათვის (III თანრიგის მუშებს — სატარიფო განაკვეთის 12 პროცენტამდე, IV თანრიგის მუშებს — 16 პროცენტამდე, V თანრიგის მუშებს 20—პროცენტამდე და VI თანრიგის მუშებს—24 პროცენტამდე), დანამატები მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს — თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით.

ამ დანამატების ოდენობა განისაზღვროს ახალი მაღალეფექტიანი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის, შრომატევადობის, მასალატევადობისა და ენერგიატევადობის შემცირების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების საქმეში თითოეული მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით. აღნიშნული დანამატები შემცირდეს ან გაუქმდეს მთლიანად მუშაობის მაჩვენებლების გაუარესებისას;

— დანამატები პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის მუშაკებს, რომლებიც პერსონალის სხვადასხვა კატეგორიას (ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მუშებს და ა .შ.) განეკუთვნებიან, ზემდგომი ორგანოების მიერ შეთავსებულ პროფესიათა ნუსხის დამტკიცების გარეშე;

— სარგოები განსაკუთრებით მნიშვნელოვან და პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს — თვეში 230. მანეთამდე ოდენობით.

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საწარმოო გაერთიანებებიდან (საწარმოებიდან) ამ გაერთიანებათა (საწარმოთა) ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა შემსრულებელ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების განკარგულებაში დროებით გაგზავნილ მუშაკებს შრომა უნაზღაურდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით განსაზღვრული წესით.

კონტროლი აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი დაეკისროთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს.

24. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრს დაუწესოს თანამდებობრივი სარგოების დანამატები სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) დირექტორებს შესაბამის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე.

დაწესდეს, რომ:

— იმ საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც მთლიანად ასრულებენ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიურ დავალებებს დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად ბრიგადებულ ვალდებულებათა გათვალისწინებით და უზრუნველყოფენ მოსახლეობაში გადიდებული მოთხოვნილების მქონე ნაკეთობათა გამოშვებას, მიეცემათ ერთდროული პრემიები მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე სამი თანამდებობრივი სარგოს ოდენობით პრემირების დამტკიცებული მაქსიმალური ოდენობის გადამეტებით;

— ახალი ტექნიკის შექმნისა და ათვისების, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის გეგმათა და დავალებათა შეუსრულებლობისას საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ხელმძღვანელ მუშაკებს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიების საერთო თანხა შეუმცირდებათ არანაკლებ 25 პროცენტით;

— წარმოების საშუალებათა დამზადებით დასპეციალებულ საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) პრემიები სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მიეცემათ, სხვა საგეგმო მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების მიუხედავად;

— ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირება ხორციელდება მუშაობის იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებზეც ისინი უშუალოდ ზემოქმედებენ.

— მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების მიხედვით მომუშავე საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის პრემიების ოდენობა (მათ შორის მაქსიმალური) განისაზღვრება დანამატების გათვალისწინებით, რაც მიეცემათ მუშაკებს პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის, მომსახურების ზონების გაფართოების ან სამუშაოთა მოცულობის გადიდებისათვის, არმყოფი მუშაკის მოვალეობათა შესრულებისათვის, მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის, მაღალი კვალიფიკაციისათვის, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის შემუშავებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე მომსახურებულ უბნებზე პერსონალის რიცხოვნობის შემცირების ხარჯზე, ღამით მუშაობისათვის.

25. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ აამაღლოს საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებში (საწარმოებში) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის როლი შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, შეუსაბამოს მისი ზრდა მუშაობის საბოლოო შედეგებს.

უფლება მიეცეთ აღნიშნულ საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) დამოუკიდებლად გადაწყვიტონ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის გამოყენების საკითხები, იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული ფონდის გამოყენების მიმართულებანი აუცილებლად განიხილონ და მოიწონონ შრომითმა კოლექტივებმა, ამასთან უზრუნველყონ ამ სახსრების გამოყენება, უწინარეს ყოვლისა, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალების, ბაგების, პიონერბანაკების, პროფილაქტორიუმების, პანსიონატების ასაშენებლად.

დაწესდეს, რომ საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი იქმნება, გამომდინარე საბაზო წელს მისი სიდიდიდან და საბაზო წელთან შედარებით მოგების ზრდის ყოველ პროცენტში (პუნქტში) დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით ანარიცხებიდან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ გეგმებში კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გამოყოფა საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დაფინანსების ცენტრალიზებული წყაროებიდან, რასაც ახორციელებენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე.

26. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სახალხო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად წარმოების ნარჩენების უფრო სრული გამოყენებით საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) დაინტერესების გაძლიერების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 იანვრის № 61 დადგენილების მე-3 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესდა, რომ, თუ საქონლის დასამზადებლად ზემოაღნიშნულ გაერთიანებებში (საწარმოებში) დახარჯული ნედლეულისა და ძირითადი მასალების საერთო ღირებულებაში ნარჩენების წილი (დამხმარე მასალების ჩაუთვლელად) შეადგენს 50 პროცენტზე ნაკლებს, მაშინ ასეთი საქონლის რეალიზაციით მიღებული მოგების ანარიცხები ფართო მოხმარების ფონდში ხორციელდება ამ დანახარჯებში ნარჩენების ღირებულების ხვედრითი წონის გათვალისწინებით.

27. დაწესდეს, რომ:

— საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) სახელმწიფო ბიუჯეტში შეაქვთ გადასახდელი საწარმოო ფონდებისათვის, ფიქსირებული (რენტის) გადასახდელები და ფაქტიურად გაანგარიშებული მოგების ანარიცხები წლიურ გეგმებში დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით;

— მოგების გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტში თითოეულ საწარმოო გაერთიანებას (საწარმოს) შეაქვს დამოუკიდებლად (დეცენტრალიზებულად).

28. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) შექმნან ფინანსური რეზერვი საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის 5 პროცენტამდე ოდენობით ზეგეგმითი მოგების და პროდუქციის ხარისხისა და ეფექტიანობისათვის საბითუმო ფასების წამახალისებელი დანამატების ნაწილის ხარჯზე, მათს განკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულებაში მიღებული გაუმჯობესებული ხარისხის სახალხო მოხმარების ახალი საქონლის ფასების დანამატების ნაწილის ჩათვლით.

29. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) ბანკების დაწესებულებები საგადასახდელო კრედიტებს მისცემენ 90 დღემდე ვადით.

ნება დაერთოთ ბანკების დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გააგრძელონ აღნიშნული კრედიტებით სარგებლობის ვადა 120 დღემდე. შეუჩერონ საგადასახდელო კრედიტების მიცემა საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს), რომლებიც არ იღებენ ზომებს კრედიტების დასაბრუნებლად დაწესებულ ვადაში, ან მისცენ ისინი ზემდგომი ორგანიზაციების გარანტიით. 60 დღეზე მეტი ხნით აღნიშნული კრედიტებით სარგებლობისათვის გადაახდევინონ გადიდებული პროცენტები.

უფლება მიეცეთ ბანკების დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დიფერენცირებული გახადონ (შეამცირონ ან გაადიდონ 20 პროცენტამდე) კრედიტისათვის პროცენტიანი განაკვეთები საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) მიერ ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შესრულების, საკუთარი საბრუნავი სახსრების რაციონალური გამოყენების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის შენარჩუნების (გადიდების) შესაბამისად.

30. დაწესდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს რეზერვში ანარიცხები საწარმოო გაერთიანებებისათვის (საწარმოებისათვის) დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევად მოგების 2 პროცენტამდე ოდენობით.

31. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ:

— გააქტიუროს მუშაობა შინასამეურნეო ანგარიშის გაღრმავებისათვის, რაც უზრუნველყოფს ყველა საწარმოო გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციის ორიენტაციას მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვისათვის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, სამინისტროს სისტემაში წარმოებულ პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას;

— სამი თვის ვადაში შეიმუშაოს სამინისტროს ახალი დებულების პროექტი ამ დადგენილების დებულებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით წარმოუდგინოს იგი განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

32. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის № 669 დადგენილებით საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოო გაერთიანებებზე (საწარმოებზე) სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოო გაერთიანებებთან (საწარმოებთან) ერთად გავრცელდა მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობები ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული დებულებების თანახმად.

33. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, ფოთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, მარნეულის, ტყვარჩელის ტერიტორიულ-დარგთაშორისმა გაერთიანებებმა აღმოუჩინონ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება ამ დადგენილებით გათვალისწინებული ყველა პირობისა და დებულების კომპლექსურ განხორციელებაში.

34. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმასა და რესპუბლიკის 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

35. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) და ორგანიზაციების მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებზე გადასვლის ორგანიზაციისა და აღნიშნულ პირობებში მათი მუშაობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 20 მარტი, № 161

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 161 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით მეთორმეტე ხუთწლედში მატერიალური წახალისების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1985 წლის 15 ნოემბერს დამტკიცებული მრეწველობაში მეთორმეტე ხუთწლედში მატერიალური წახალისების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ ტიპობრივი დებულების, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დასამტკიცებლად რეკომენდებული სანიმუშო დებულების საფუძველზე და განსაზღვრავს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში*, ავტონომიური რესპუბლიკების ადილობრივი მრეწველობს ისამინისტროებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოში**, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში *** მატერიალური წახალისების ფონდის შექმნისა და გამოყენების წესს.

I. მატერიალური წახალისების საგეგმო ფონდის შექმნის წესი

1. სამინისტროს, მართვის ორგანოთა და საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდი ხუთწლიან და წლიურ გეგმებში იქმნება საბაზო წელთან შედარებით ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში ამ ფონდის ზრდის ნორმატივების მიხედვით.

2. მატერიალური წახალისების ფონდის შესაქმნელად ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლად მიიღება მოგება (გაანგარიშებული მოგება).

ნაკლებრენტაბელური და დაგეგმილ-ზარალიანი საწარმოებისათვის ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლად მიიღება სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონე.

3. მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივები სამინისტროსათვის, მართვის ორგანოებისათვის, საწარმოებისათვის განისაზღვრება, როგორც წესი, შემდეგი ოდენობით:

— მატერიალური წახალისების ფონდის ზრდის (შემცირების) 0,8 პროცენტი საბაზო წლის გეგმასთან შედარებით მოგების ზრდის (შემცირების)

---

* შემდგომში — სამინისტრო.

** შემდგომში — მართვის ორგანოები.

*** შემდგომში — საწარმოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ პროცენტში. თუ მოგება დიდდება (მცირდება) 10-დან 15 პროცენტამდე, აღნიშნული ნორმატივი მცირდება 30 პროცენტით; თუ მოგება დიდდება (მცირდება) 15 პროცენტზე მეტად, ნორმატივი მცირდება 50 პროცენტით;

— საბაზო წლის გეგმის მატერიალური წახალისების ფონდის ზრდის (შემცირების) 5 პროცენტი საბაზო წლის გეგმასთან შედარებით სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონის შემცირების (გადიდების) ყოველ პროცენტში.

4. სამინისტროსათვის მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივების ოდენობას აწესებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით.

მართვის ორგანოებისა და საწარმოებისათვის მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივების ოდენობას აწესებს სამინისტრო პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით.

სამინისტროს, მართვის ორგანოებს პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან (საბჭოებთან) შეთანხმებით შეუძლიათ საჭირო შემთხვევებში დიფერენცირებული გახადონ ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად მართვის ორგანოებისათვის (საწარმოებისათვის) დაწესებული ნორმატივის ოდენობა მთლიანად სამინისტროსათვის, მართვის ორგანოსათვის დამტკიცებული ნორმატივის ფარგლებში.

სამინისტროს, მართვის ორგანოებს პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან (საბჭოებთან) შეთანხმებით შეუძლიათ დაუწესონ მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის გადიდებული ნორმატივები საწარმოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის საფუძველზე ფონდუკუგების ამაღლებას, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებას მთლიანად სამინისტროს, მართვის ორგანოს მიხედვით დამტკიცებული ნორმატივის ფარგლებში, აგრეთვე დამატებით გაუდიდონ მატერიალური წახალისების ფონდი მართვის ორგანოებს, საწარმოებს, რომლებმაც ჩინებულ შედეგებს მიაღწიეს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებებში, ზემდგომი ორგანიზაციის რეზერვის (ცენტრალიზებული ფონდის) ხარჯზე.

5. მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივები დაეგზავნებათ საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში სამინისტროებს, მართვის ორგანოებსა და საწარმოებს დროულად, ხუთწლიანი გეგმის შედგენის დაწყებამდე, და საჭირო შემთხვევებში შეიძლება დაზუსტდეს ამ ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას, ხუთწლიან გეგმაში დამტკიცებული ნორმატივები არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

6. თუ სამინისტრო, მართვის ორგანოები და საწარმოები ხუთწლიან გეგმებში ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლებს მიიღებენ ხუთწლიანი გეგმით მორიგი წლისათვის გათვალისწინებულ დონეზე ან გადამეტებით (მაჩვენებლების მიხედვით სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონე — ნაკლები), მატერიალური წახალისების ფონდის თანხა განისაზღვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ნორმატივების მიხედვით.

თუ წლიურ გეგმებში სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონის მიხედვით დავალებები გადიდდება, აგრეთვე ხუთწლიანი გეგმის მორიგი წლისათვის გათვალისწინებული მოგების ზრდა შემცირდება, სამინისტროს, მართვის ორგანოებისა და საწარმოების მატერიალური წახალისების ფონდი წლიურ გეგმებში განისაზღვრება ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ნორმატივების მიხედვით, შემცირებული არანაკლებ 30 პროცენტით.

მატერიალური წახალისების ფონდის ზრდის ნორმატივების შემცირების კონკრეტულ ოდენობას აწესებს ზემდგომი ორგანიზაცია პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან (საბჭოებთან) შეთანხმებით.

7. მატერიალური წახალისების ფონდის აბსოლუტური სიდიდე მორიგი წლის გეგმაში განისაზღვრება შემდეგნაირად: საბაზო წლის გეგმის მიხედვით ამ ფონდის თანხას (მატერიალური წახალისების ფონდის თანხის გარდა, რომელიც ხმარდება ხელფასის 1 მანეთზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სტიმულირებას) მიემატება საბაზო წლის დონესთან შედარებით გეგმაში გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გადამეტების (შემცირების) ყოველ პროცენტში (პუნქტში) ამ დებულების მე-6 პუნქტის შესაბამისად ნორმატივის მიხედვით გამოანგარიშებული ზრდის (შემცირების) თანხა.

8. მორიგი წლისათვის მატერიალური წახალისების ფონდის საგეგმო სიდიდის განსაზღვრის საბაზო წლად ითვლება დაგეგმილის წინა წელი.

9. მატერიალური წახალისების ფონდის ზრდის (შემცირების) თანხა გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ამ დებულების მე-6 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ნორმატივი მრავლდება საბაზო წლის გეგმის მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდის სიდიდეზე (მატერიალური წახალისების ფონდის თანხის გარდა, რომელიც ხმარდება ხელფასის 1 მანეთზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სტიმულირებას) და საბაზო წლის გეგმასთან შედარებით მორიგი წლის გეგმაში გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის შემცირების (გადამეტების) პროცენტზე.

ამასთან საბაზო წელთან შედარებით დაგეგმილ წელს ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის შემცირების (გადამეტების) პროცენტი განისაზღვრება შესადარი ფასებით და პირობებით.

10. იმ შემთხვევებში, როცა მორიგი წლის გეგმაში გათვალისწინებულია სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონის გადიდება საბაზო წელთან შედარებით, მატერიალური წახალისების ფონდი მორიგი წლის გეგმაში განისაზღვრება შემდეგნაირად: საბაზო წლის გეგმის მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდის თანხას გამოაკლდება თანხა, რომელიც გამოანგარიშებულია ამ დებულების მე-6 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ნორმატივის გამრავლებით საბაზო წლის გეგმის მატერიალური წახალისების ფონდის სიდიდეზე და წინა წელთან შედარებით მორიგი წლის გეგმაში სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონის გადიდების პროცენტზე.

მართვის ორგანოების, საწარმოების საბაზო წლის გეგმის მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდის თანხა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს ან შემცირდეს ნაკლები ოდენობით, ვიდრე გათვალისწინებულია ამ პუნქტით, თუ დაგეგმილ წელს დასახულია მოგების ზრდა (ზარალის შემცირება) საბაზო წელთან შედარებით. აღნიშნული წესი დაცულია იმ შემთხვევებშიც, როცა დაგეგმილ წელს გათვალისწინებულია სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონის გადიდება ან მოგების შემცირება (თუ ეს მაჩვენებელი ფონდწარმომქმნელი მაჩვენებელია) წინა წელთან შედარებით, მაგრამ ამ მაჩვენებლების მიხედვით სრულდება ხუთწლიანი გეგმის დავალებანი. აღნიშნული შემცირების თანხა ნაზღაურდება რეზერვიდან (ცენტრალიზებული ფონდიდან) სამინისტროს, მართვის ორგანოს მატერიალური წახალისების ფონდის მიხედვით.

11. ამ დებულების 1-10 პუნქტების შესაბამისად გამოანგარიშებული მატერიალური წახალისების ფონდი დამატებით დიდდება გეგმაში თანხით, რომელიც ხმარდება საწარმოო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებით დასპეციალებულ საწარმოთა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების სტიმულირებას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ხელფასის ფონდის 1 მანეთზე ამ საქონლის წარმოებისა და ხარისხის ამაღლების დაწესებულ დავალებათა შესრულების სტიმულირების შესახებ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1985 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებული დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. საწარმოებს, რომლებიც ახალ სიმძლავრეებს ითვისებენ, გამოეყოფათ ამით დასაქმებულ მუშაკთა წახალისებისათვის გათვალისწინებული მატერიალური წახალისების დამატებითი ფონდი.

ფონდის აღნიშნული თანხები გამოიყოფა გეგმაში ცალკე სტრიქონად.

დამატებითი ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიურ გეგმაში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 1984 წლის 10 მაისის № 95 დადგენილებითა და მისი დამატებებით გათვალისწინებული ათვისების ხანგრძლივობისა და დონის ნორმების თანახმად.

ძირითადი წარმოების ახალ სიმძლავრეთა ათვისების ნორმატიული ვადის გასვლის შემდეგ ამ სიმძლავრეთა ათვისებით დასაქმებულ მუშაკთა სტიმულირებისათვის მატერიალური წახალისების დამატებითი ფონდი არ გამოიყოფა.

13. სამინისტრო, მართვის ორგანოები დაწესებული ნორმატივებისა და მორიგი წლის გეგმაში ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების შესაბამისად გაანგარიშებული მატერიალური წახალისების ფონდის თანხების ფარგლებში ითვალისწინებენ ანარიცხების საგეგმო თანხებს მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვში (ცენტრალიზებულ ფონდში), რომელიც იქმნება საწარმოთა მოგების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური წახალისების ფონდის თანხები და მატერიალური-მატერიალ-ების ფონდის რეზერვი (ცენტრალიზებული ფონდი) გათვალისწინებულია სამინისტროს, მართვის ორგანოებისა და საწარმოების შემოსავალ-გასავლის ბალანსებში (საფინანსო გეგმებში).

სამინისტროს მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვის თანხა მართვის ორგანოების ცენტრალიზებულ ფონდებთან ერთად არ შეიძლება აღემატებოდეს მთლიანად სამინისტროს მატერიალური წახალისების ფონდის თანხის 15 პროცენტს.

მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვის (ცენტრალიზებული ფონდის) სახსრები განისაზღვრება გეგმაში და გამოიყენება სამინისტროთა (უწყებათა) და სრულიად საკავშირო (რესპუბლიკურ) სამრეწველო გაერთიანებათა წახალისების ფონდების რეზერვების (ცენტრალიზებული ფონდების) შექმნისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ 1981 წლის 10 აპრილს დამტკიცებული (ოქმი № 372-ბ) დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

14. მატერიალური წახალისების ფონდს ითვალისწინებენ საფინანსო გეგმაში სამინისტრო, მართვის ორგანოები და საწარმოები კვარტალების მიხედვით მოგების მოცულობის კვარტალობრივი განაწილების პროპორციულად. ამასთან მხედველობაში მიიღება საშუალო ხელფასის ზრდის ტემპსა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს შორის ეკონომიკურად დასაბუთებული თანაფარდობის დაცვის აუცილებლობა.

15. წლის განმავლობაში ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის — მოგების საგეგმო დავალებათა დადგენილი წესით გადიდებისას (შემცირებისას) ამავე დროს დიდდება (მცირდება) მატერიალური წახალისების ფონდის თანხა, რომელიც გათვალისწინებულია საფინანსო გეგმაში დაწესებული ნორმატივების მიხედვით.

16. საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები გადაეცემა დადგენილი წესით საწარმოო ერთეულების განკარგულებაში, ასევე შეიძლება გადაეცეს წარმოებათა და საამქროთა განკარგულებაში. აღნიშნული სახსრების წარმოებათა და საამქროთა განკარგულებაში გადაცემის წესს განსაზღვრავენ ამ საწარმოთა ხელმძღვანელები პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით. ამასთან გადასაცემი თანხების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ამ წარმოებათა და საამქროთა მუშაობის შედეგებს.

17. დაგეგმილ-ზარალიან და ნაკლებრენტაბელურ საწარმოებში მატერიალური წახალისების ფონდი გათვალისწინებულია მთლიანად სამინისტროს, მართვის ორგანოს წლიურ გეგმაში დაწესებული ამ ფონდის თანხების ფარგლებში.

აღნიშნულ საწარმოებში წახალისების ფონდების განსაზღვრის წესს ადგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი და საკავშირო პროფსაბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. წლის განმავლობაში მატერიალური წახალისების ფონდში მოგების გადარიცხვის წესი

18. საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდში მოგების გადარიცხვა ხდება ყოველკვარტალურად. წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი) გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების გეგმის (მოგების გეგმის) შესრულებისას ანარიცხები წარმოებს წლიური საფინანსო გეგმით შესაბამისი პერიოდისათვის განსაზღვრული ოდენობით.

დაგეგმილ-მოგებიან საწარმოებში, რომელთა გეგმაში ცალკეული კვარტალებისათვის იგეგმება ზარალი, ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში ხდება დაგეგმილ-მოგებიან კვარტალებში მოგების დაგეგმილი წლიური თანხიდან გამომდინარე.

19. წლის განმავლობაში (წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით) ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობისას ხდება დამატებითი ანარიცხები ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული სრული ნორმატივის მიხედვით. დამატებითი ანარიცხები ხდება ამ საწარმოთა განკარგულებაში დატოვებული ფაქტიური მოგების ხარჯზე, მისი განაწილებისათვის დადგენილი წესით.

წლის განმავლობაში (წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით) ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გეგმის შეუსრულებლობისას მატერიალური წახალისების ფონდი მცირდება ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ნორმატივების მიხედვით, რაც გადიდებულია არანაკლებ 30 პროცენტით.

20. მატერიალური წახალისების ფონდში დამატებითი ანარიცხები (ანარიცხების შემცირება) ხდება ნორმატივების მიხედვით მიმდინარე წელს მუშაობის დაწყებიდან შესაბამისი პერიოდის გეგმით მატერიალური წახალისების ფონდის თანხის პროცენტულად.

21. საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების თანხის განსაზღვრისათვის ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის გეგმის შესრულების შეფასებისას წარმოებული (რეალიზებული) პროდუქციის ფაქტიური მოცულობიდან და მოგებიდან, რომლიდანაც ხდება ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში, გამოირიცხება დადგენილი წესით შესაბამისად გეგმაში გაუთვალისწინებელი წარმოებული (რეალიზებული) პროდუქციის მოცულობა და მოგება, აგრეთვე მოგება, რომელიც გამოიყენება და ჩაირიცხება ბიუჯეტში განსაკუთრებული წესით.

22. საწარმოებში, მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების აბსოლუტური ოდენობა დიდდება (მცირდება) პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების შესაბამისად, დადებულ ხელშეკრულებათა და შესასრულებლად მიღებულ შეკვეთა-განრიგების თანახმად მიწოდების ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით.

ხელშეკრულებათა მთლიანად შესრულებისას მატერიალური წახალისების ფონდი, გათვალისწინებული შესაბამისი კვარტალისათვის, რომელშიც უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფილია მიწოდების ვალდებულებათა შესრულება და წინა ფენომენის უკმარმიწოდების შევსება, დიდდება 15 პროცენტით.

იმ შემთხვევაში, თუ გეგმა ვადამდე შესრულდა რომელიმე კვარტალში მომხმარებლის თანხმობით და ამასთან დაკავშირებით არ შესრულდა მიწოდების გეგმა მომდევნო კვარტალში (წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით მიწოდების გეგმის შესრულების პირობით), მატერიალური წახალისების ფონდის აღნიშნული გადიდება შენარჩუნებულია.

თუ საწარმოებს არ შეუსრულებიათ მიწოდების ვალდებულებანი დადებულ ხელშეკრულებათა და შესასრულებლად მიღებული შეკვეთა-განრიგების შესაბამისად, საფინანსო გეგმაში სათანადო კვარტალისათვის გათვალისწინებული მატერიალური წახალისების ფონდი მცირდება 3 პროცენტით შეუსრულებლობის ყოველ პროცენტში.

ამასთან მატერიალური წახალისების ფონდის განთავისუფლებული სახსრები რჩება რეზერვში და გამოიყენება ამ საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდის 15 პროცენტით გასადიდებლად მომდევნო პერიოდებში ამ მაჩვენებლის მიხედვით კვარტალური გეგმის პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებისას.

ზემოაღნიშნული რეზერვის უკმარისობისას ამ მიზანს მოხმარდება საწარმოთა თავისუფალი გაანგარიშებული მოგება, ხოლო მისი უკმარისობისას — მატერიალური წახალისების ფონდის ზემოაღნიშნული გადიდება ხდება ბიუჯეტში მოგების ანარიცხების შემცირების ხარჯზე, ხოლო საჭიროების მიხედვით — საწარმოო ფონდების გადასახდელთა შემცირების ხარჯზე.

თანხა, რომლითაც შემცირდა ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით მატერიალური წახალისების საგეგმო ფონდი, შემდგომში არ აღდგება.

წესი, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური წახალისების ფონდის გადიდებას (შემცირებას) პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებისას (შეუსრულებლობისას), არ ვრცელდება მხატვრული რეწვის ნაკეთობათა, სათამაშოების, ნაძვის ხის სამკაულებისა და სუვენირების დამამზადებელ საწარმოებზე, სპეციალიზებულ საწარმოებზე, რომლებიც იყენებენ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას, აგრეთვე საცდელ-ექსპერიმენტულ საწარმოებზე.

23. წლიური გეგმების შესრულების მსვლელობაში საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდში წარმოებს დამატებითი ანარიცხები:

ა) გაუმჯობესებული ხარისხის (ინდექსი „ს") სახალხო მოხმარების ახალი საქონლის საცალო ფასების წამახალისებელი დანამატების ხარჯზე ფაქტიურად მიღებული მოგებისაგან;

ბ) ხარისხის უმაღლესი კატეგორიის სახალხო მოხმარების საქონლის (სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი საქონლის, თუ სახალხო მოხმარების საქონელი ძირითადი პროდუქციაა) ხვედრითი წონისათვის.

წარმოების საერთო მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის სახალხო მოხმარების საქონლის (სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი საქონლის) ხვედრითი წონის ყოველ პუნქტში (პროცენტში) ხდება ანარიცხები წლის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბამისი პერიოდის გეგმის მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდის ერთ პროცენტამდე ოდენობით.

ამასთან მატერიალური წახალისების ფონდის საერთო გადიდება არ უნდა აღემატებოდეს წლის შესაბამისი პერიოდისათვის (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი) გათვალისწინებული ფონდის საგეგმო ოდენობის 25 პროცენტს.

ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში იქმნება ფაქტიური მოგების ხარჯზე, რომელიც რჩება საწარმოთა განკარგულებაში მისი განაწილებისათვის დადგენილი წესით.

საწარმოებში აღნიშნული მოგების უკმარისობისას ამ მიზნებს შეიძლება მოხმარდეს სამინისტროს, ძართვის ორგანოს მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვის (ცენტრალიზებული ფონდის) სახსრების ნაწილი.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების სტიმულირების გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება გაუმჯობესებული ხარისხის სახალხო მოხმარების ახალ საქონელზე, რომლის ფასებისათვის დადგენილი წესით გათვალისწინებულია წამახალისებელი დანამატები;

გ) თავისი პარამეტრებით საუკეთესო სამამულო და სახღვარგარეთული ნიმუშების შესაბამისი ახალი მაღალეფექტიანი პროდუქციის და სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის საბითუმო ფასების წამახალისებელი დანამატების ხარჯზე ფაქტიურად მიღებული მოგებისაგან.

სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის საბითუმო ფასების წამახალისებელი დანამატების ხარჯზე საწარმოთა მიერ ფაქტიურად მიღებული დამატებითი მოგებით შექმნილ მატერიალური წახალისების ფონდს ისინი იყენებენ შრომითი კოლექტივის მიერ განხილული და მოწონებული მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

დ) წლის შესაბამის პერიოდში (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი) მატერიალური წახალისების საგეგმო ფონდის 3 პროცენტამდე ოდენობით ნორმატივის მიხედვით საბავშვო ასორტიმენტის საქონლის წარმოების მოცულობის ზრდისათვის წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით გამოანგარიშებული საბავშვო ასორტიმენტის საქონლის წარმოების მოცულობის ზრდის ყოველ პროცენტში, წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანგარიშის მიხედვით ამ მაჩვენებლის დონის მიმართ.

ამ ნორმატივის კონკრეტულ ოდენობას აწესებს ზემდგომი ორგანიზაცია დიფერენცირებულად, პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობაში საბავშვო ასორტიმენტის საქონლის ხვედრითი წონის შესაბამისად.

საბავშვო ასორტიმენტის საქონლის წარმოების გადიდებისათვის დამატებითი ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში ხდება საწარმოთა განკარგულებაში დატოვებული ფაქტიურად გაანგარიშებული მოგების ხარჯზე მისი განაწილებისათვის დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნული მოგების უკმარისობისას ამ მიზნებს შეიძლება მონაწილეობდეს სამინისტროს, მართვის ორგანოთა მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვის (ცენტრალიზებული ფონდის) სახსრების ნაწილი.

მატერიალური წახალისების ფონდი საწარმოებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ შედარებით დაბალი რენტაბელობის სახალხო მოხმარების საქონლის, აგრეთვე ისეთი იაფი საქონლის გამოშვებას, რომელიც სხვა სახეობათა ნაწარმთან შედარებით იძლევა სარეალიზაციო პროდუქციის ნაკლებ მოცულობას, მაგრამ მოთხოვნილებით სარგებლობს მოსახლეობაში, მათ მიერ მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისას შეიძლება აგრეთვე გადიდდეს მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვის (ცენტრალიზებული ფონდის) **სახსრების ხარჯზე.**

24. მატერიალური წახალისების ფონდი მცირდება მიწოდებულ პროდუქციაში შემკვეთის მიერ აღმოჩენილი დეფექტების გამოსასწორებლად გაწეული დანახარჯების და დაბალი ხარისხისათვის სანქციების თანხით.

ამასთან დაბალი ხარისხის გამო საწარმოებისათვის პროდუქციის (მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის) დაბრუნების შემთხვევაში შესაბამისი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში მცირდება 5 პროცენტამდე პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობაში დაბრუნებული უხარისხო პროდუქციის ყოველ პროცენტში. მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების შემცირების კონკრეტულ ოდენობას აწესებენ სამინისტრო, მართვის ორგანო წარმოების სპეციფიკისა და დასამზადებელი პროდუქციის ნომენკლატურის გათვალისწინებით.

დეფექტების გამოსასწორებლად გაწეული დანახარჯებისა და დაბალი ხარისხისათვის გადახდილი სანქციების სიდიდით ამ ფონდის შემცირების საერთო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს მოცემული კვარტალის გეგმით მიმწოდებელ საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდის ოდენობის 20 პროცენტს.

25. საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდი მცირდება პროდუქციის ატესტაციის დროს ხარისხის პირველი კატეგორიისათვის მიკუთვნებული საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის საბითუმო ფასების დაკლების თანხით (70 პროცენტამდე), მაგრამ არა უმეტეს ამ ფონდის საგეგმო სიდიდის 20 პროცენტისა, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი კვარტალის საფინანსო გეგმაში.

26. მატერიალური წახალისების ფონდში წლის დამლევს გადაირიცხება ხელფასის საგეგმო ფონდთან ან დაწესებულ ნორმატივთან შედარებით მიღებული ხელფასის ფონდის გამოუყენებელი ეკონომიის ხარჯზე წარმოქმნილი სახსრები, იმ პირობით, თუ შესრულდა რეალიზაციის გეგმა და დაცულია ნორმატიული თანაფარდობა საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის. აღნიშნული სახსრები გადაირიცხება ფაქტიური მოგების ხარჯზე მისი განაწილებისათვის დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური წახალისების საბაზო ფონდში ხელფასის ფონდის — უკანასკ-
მიის ხარჯზე მატერიალური წახალისების ფონდში გადასარიცხი სახსრები ამ
ფონდის ოდენობის განსაზღვრისას არ შეიტანება მორიგი წლის გეგმაში.

27. თუ საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, მატერიალური წახალისების ფონდის შესაბამისი ნაწილი რჩება რეზერვში დადგენილი წესით და გამოიყენება მომდევნო წელს შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირებისათვის ან გადაირიცხება სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში.

28. ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების მიხედვით გეგმის შეუსრულებლობისას საწარმოთა მატერიალური წახალისების ფონდი დადგენილი წესით იქმნება შემცირებული ოდენობით. ამასთან მატერიალური წახალისების ფონდის მინიმალური თანხა არ შეიძლება იყოს იმ კვარტალში ზემოაღნიშნული ფონდის საგეგმო სიდიდის 40 პროცენტზე ნაკლები, რომელშიც არ შესრულებულა გეგმა. აღნიშნული მინიმალური ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში ხდება მათს განკარგულებაში დატოვებული ფაქტიური მოგების ხარჯზე მისი განაწილებისათვის დადგენილი წესით.

მატერიალური წახალისების ფონდის საერთო თანხა (ცალკეულ კვარტალებში მინიმალური ანარიცხების ჩათვლით) წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი) ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების მიხედვით გეგმის შეუსრულებლობისას არ შეიძლება აღემატებოდეს ამ პერიოდის გეგმით გათვალისწინებული აღნიშნული ფონდის თანხას. ამ შემთხვევაში დარიცხული მატერიალური წახალისების ფონდის თანხა გამოიყენება საწარმოო ერთეულთა (საამქროთა) კოლექტივების მიმდინარე პრემირებისათვის, რომლებმაც შეასრულეს გეგმა.

29. ფაქტიურად წლის განმავლობაში საწარმოების მიერ დარიცხული მატერიალური წახალისების ფონდის თანხა, მართვის ორგანოების ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხებისა და სამინისტროს მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვის ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანად სამინისტროსათვის გეგმის შესრულების მაჩვენებლების მიხედვით გამოანგარიშებულ ამ ფონდის თანხას.

იმ შემთხვევებში, როცა ფაქტიურად წლის განმავლობაში საწარმოების მიერ დარიცხული ამ ფონდის თანხა, მიმდინარე წლის რეზერვისა და ცენტრალიზებული ფონდების გამოუყენებელი ნაწილის ჩათვლით, აღემატება მთლიანად სამინისტროს მიხედვით გამოანგარიშებულ ამ ფონდის თანხას, სამინისტროს შეაქვს შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში გადამეტების თანხა ფონდის რეზერვის ხარჯზე, ხოლო მისი უკმარისობისას — მომდევნო წლის ფონდის რეზერვის ხარჯზე.

თუ მატერიალური წახალისების ფონდში მართვის ორგანოების მიერ შეტანილი ანარიცხების თანხა, მათთვის დაწესებული მაჩვენებლებიდან და ამ ფონდში ანარიცხების ნორმატივებიდან გამომდინარე, აღემატება საქვეუწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებო საწარმოების მიერ მატერიალური წახალისების ფონდში შეტანილი ანარიცხების თანხას, მართვის ორგანოების ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხების ჩათვლით, მაშინ ცენტრალიზებულ ფონდებში დამატებითი ჩარიცხვა ხდება სამინისტროს ამ ფონდის რეზერვის ხარჯზე.

თუ მთლიანად მართვის ორგანოების მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების თანხა უფრო ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე ამ ფონდში საქვეუწყებო საწარმოების მიერ ჩარიცხული თანხა, მართვის ორგანოების ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხების ჩათვლით, მაშინ ამ თანხით მცირდება ანარიცხები აღნიშნულ ცენტრალიზებულ ფონდებში. შემცირების მიღებული თანხა გადაირიცხება სამინისტროს რეზერვში.

მთლიანად სამინისტროს მიხედვით წლის განმავლობაში მატერიალური წახალისების ფონდში გამოანგარიშებულ თანხასთან შედარებით საწარმოების მიერ ამ ფონდში ჩარიცხული თანხის გადამეტების საერთო თანხა ბიუჯეტში შეიძლება ჩაირიცხოს სამინისტროს მატერიალური წახალისების ფონდის ან სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის რეზერვების ნაშთების ხაზზე. ესე იგი იმის მიუხედავად, თუ რომელ ფონდშია გადამეტება.

წლის დამდეგს მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვების ნაშთების უკმარისობისას ბიუჯეტში შენატანების უზრუნველყოფა ხდება მიმდინარე წლის აღნიშნულ რეზერვში ანარიცხების ხარჯზე. ამ შემთხვევაში სამინისტროს შემოსავალ-გასავლის გაანგარიშებით ბალანსში შეიტანება შესწორებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების შემცირებას და მოგების ანარიცხების გადიდებას.

ამ შემთხვევაში სამინისტროს მოგების დამატებითი გადასახდელები ბიუჯეტში შეაქვს ცენტრალიზებული წესით.

III. მატერიალური წახალისების ფონდის გამოყენების წესი

30. მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები იხარჯება ნუსხის მიხედვით. მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯვის ნუსხის პროექტი გამოიტანება საწარმოს შრომითი კოლექტივის განსახილველად და მისი მოწონების შემდეგ მტკიცდება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით და თან ერთვის კოლექტიურ ხელშეკრულებას. აღნიშნული ნუსხის შესრულების შესახებ ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი აცნობებენ მუშა-მოსამსახურეებს კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადებში.

მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯვის ნუსხის შედგენისას გათვალისწინებულია მისი გამოყენება იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დგას საწარმოთა კოლექტივების წინაშე წარმოების ეფექტიანობის, გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების, წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯვის ნუსხის შედგენისას, გასულ-წლის ფონდის ნაშთების ჩათვლით, რეკომენდებულია ამ ფონდის სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ნაკეთობათა ხარისხის ამაღლებას, პროდუქციის გამოშვებას თანამედროვე ტექნიკურ დონეზე.

მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები რეკომენდებულია გამოყენებულ იქნეს შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

მატერიალური წახალისების ფონდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუშაკთა წასახალისებლად, მათ შორის იმ მუშაკებისა, რომლებიც არ შედიან საწარმოთა სიობრივ შემადგენლობაში, სადირექტივო ორგანოების სპეციალურ გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

საწარმოებს ნება ეძლევათ გადასცენ მომიჯნავე საწარმოებს შრომითი კოლექტივების დამატებითი სტიმულირებისათვის იმ სახსრების 5 პროცენტამდე, რომლებიც მიღებულია „ს"-ინდექსიანი გაუმჯობესებული ხარისხის ახალი საქონლის გამოშვებისათვის (გათვალისწინებულია მუშაკთა პრემირებისათვის).

მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების ნაწილი შეიძლება გადაეცეს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდს საბინაო-მშენებლობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გამოსაყენებლად.

საწარმოებს შეუძლიათ დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში რეზერვი მატერიალური წახალისების ფონდის 10 პროცენტამდე ოდენობით. აღნიშნული რეზერვი გამოიყენება სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო მუშაობის მაჩვენებლების დროებით გაუარესების და მიმდინარე წლის გეგმის შესრულების მსვლელობაში წარმოქმნილ სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევებში.

გადაწყვეტილებას აღნიშნული სახსრების გადაცემის შესახებ იღებს საწარმოს ხელმძღვანელი პროფკავშირის კომიტეტთან ერთად.

მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები გამოიყენება ხელმძღვანელთა მიერ პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით შემუშავებული და დამტკიცებული დებულებების შესაბამისად.

მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების გამოუყენებელი ნაშთები არ ჩამოერთმევათ და გამოიყენება მომდევნო წელს საერთო წესით, მისი ხარჯვის დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 161 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობაში მეთორმეტე ხუთწლედში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1985 წლის 15 ნოემბერს დამტკიცებული მრეწველობაში მეთორმეტე ხუთწლედში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ ტიპობრივი დებულების, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დასამტკიცებულად რეკომენდებული სანიმუშო დებულების საფუძველზე და განსაზღვრავს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში *, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოში **, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში *** სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და გამოყენების წესს.

I. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის საგეგმო ოდენობის განსაზღვრის წესი

1. საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი იქმნება საბაზო წელთან შედარებით ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების ზრდის ყოველ პროცენტში ამ ფონდის ზრდის ნორმატივების მიხედვით. ასეთივე წესით განისაზღვრება მთლიანად სამინისტროს, მართვის ორგანოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

2. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შესაქმნელად ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლად გამოიყენება მოგება.

---

* შემდგომში — სამინისტრო.

** შემდგომში — მართვის ორგანოები.

*** შემდგომში — საწარმოები.

ნაკლებრენტაბელური და დაგეგმილ-ზარალიანი საწარმოებისათვის ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლად მიიღება სასაქონლო პროდუქციის 1 მანეთზე დანახარჯების ზღვრული დონე.

3. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნის ნორმატივი წესდება საბაზო წლის გეგმასთან შედარებით: მოგების ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ზრდის (შემცირების) 2 პროცენტის ოდენობით.

ნაკლებრენტაბელური და დაგეგმილ-ზარალიანი საწარმოებისათვის ნორმატივი წესდება საბაზო წლის გეგმასთან შედარებით დანახარჯების ზღვრული დონის შემცირების (ზრდის) ყოველ პროცენტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ზრდის (შემცირების) 5 პროცენტის ოდენობით.

4. სამინისტროსათვის სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნის ნორმატივების ოდენობას აწესებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით.

მართვის ორგანოებისათვის სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნის ნორმატივების ოდენობას აწესებს სამინისტრო პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით.

5. სამინისტროს, მართვის ორგანოებს პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან (საბჭოებთან) შეთანხმებით შეუძლიათ დაუწესონ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნის გადიდებული ნორმატივები საწარმოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის საფუძველზე ფონდუკუგების ამაღლებას, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებას მთლიანად სამინისტროს, მართვის ორგანოს მიხედვით დამტკიცებული ნორმატივების ფარგლებში, აგრეთვე დამატებით გაუდიდონ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი საწარმოებს, რომლებმაც ჩინებულ შედეგებს მიაღწიეს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებებში, ზემდგომი ორგანიზაციის რეზერვის (ცენტრალიზებული ფონდის) ხარჯზე.

6. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნის ნორმატივები დაეგზავნებათ საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში სამინისტროებს, მართვის ორგანოებსა და საწარმოებს დროულად, ხუთწლიანი გეგმის შედგენის დაწყებამდე. და საჭირო შემთხვევებში შეიძლება დაზუსტდეს ამ ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას. ხუთწლიან გეგმაში დაწესებული ნორმატივები არ შეიცვლება და ხელახლა არ დამტკიცდება.

7. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი მორიგი წლის გეგმაში განისაზღვრება საბაზო წლის გეგმით ამ ფონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის თანხის და საბაზო წლის გეგმასთან შედარებით გეგმაში გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის ზრდის (შემცირების) ყოველ პროცენტში ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად ნორმატივის მიხედვით გამოანგარიშებული მისი ზრდის თანხის მიღების გზით. საბაზო წლად ითვლება დაგეგმილის წინა წელი.

8. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ზრდის (შემცირების) თანხა გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ნორმატივი მრავლდება საბაზო წლის გეგმის მიხედვით სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სიდიდეზე და საბაზო წელთან შედარებით გეგმაში გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის ზრდის (შემცირების) პროცენტზე.

9. სამინისტროს, მართვის ორგანოებს ხუთწლიან გეგმაში გამოეყოფათ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის დამატებითი ფონდი საწარმოებისათვის, რომლებიც ითვისებენ მსხვილ საწარმოო სიმძლავრეებს, აგრეთვე ახალასამოქმედებელი საწარმოებისათვის საშუალოდარგობრივი მაჩვენებლების მიხედვით საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების ნორმატიული ვადის ფარგლებში.

10. თუ სამინისტრო, მართვის ორგანოები და საწარმოები წლიურ გეგმებში ფონდწარმომქმნელ მაჩვენებლებს იღებენ ხუთწლიანი გეგმით მორიგი წლისათვის გათვალისწინებულ დონეზე ან გადამეტებით, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის თანხა განისაზღვრება ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ნორმატივების მიხედვით.

თუ წლიურ გეგმებში მოგების ზრდის ან სხვა ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის მიხედვით დავალება უფრო ნაკლებია, ვიდრე გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით მორიგი წლისათვის, სამინისტროს, მართვის ორგანოთა და საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი წლიურ გეგმებში განისაზღვრება ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ნორმატივების მიხედვით და არანაკლებ 30 პროცენტით შემცირებული.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ზრდის ნორმატივების შემცირების კონკრეტულ ოდენობას საწარმოებისათვის აწესებს ზემდგომი ორგანიზაცია პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტთან (საბჭოსთან) შეთანხმებით.

11. ახალი მაღალეფექტიანი ტექნიკის მასობრივი ათვისების პერიოდში საწარმოს მუშაობის მაჩვენებლების დროებით გაუარესების შემთხვევაში სამინისტროს, მართვის ორგანოებს შეუძლიათ აუნაზღაურონ მათ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შემცირება მართვის ორგანოთა ცენტრალიზებული ფონდისა და სამინისტროს რეზერვის ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის რეზერვი საქვეუწყებო მართვის ორგანოთა ცენტრალიზებულ ფონდებთან ერთად, როგორც წესი, არ შეიძლება აღემატებოდეს მთლიანად სამინისტროს მიხედვით აღნიშნული ფონდის 15 პროცენტს.

რეზერვისა და ცენტრალიზებული ფონდების ოდენობას აწესებს სამინისტრო პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტთან შეთანხმებით.

II. წლის განმავლობაში საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში მოგების გადარიცხვის წესი

12. საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში მოგების გადარიცხვა ხდება ყოველკვარტალურად. წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი), გათვალისწინებული ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შესრულებისას ანარიცხები წარმოებს წლიური საფინანსო გეგმით შესაბამისი პერიოდისათვის განსაზღვრული ოდენობით.

13. საწარმოთა მიერ გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას მოგების დამატებითი ანარიცხები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში წარმოებს წლის განმავლობაში, დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით. გეგმის შეუსრულებლობისას ანარიცხები შემცირდება დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით, რომელიც გადიდებულია არანაკლებ 30 პროცენტით.

დამატებითი ანარიცხები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში ხდება საწარმოს განკარგულებაში დატოვებული გაანგარიშებული მოგების ხარჯზე და ფარგლებში, რომელიც გამოთვლილია მისი განაწილებისათვის დადგენილი წესით.

დაგეგმილ-ზარალიან და ნაკლებრენტაბელურ საწარმოებში დამატებითი ანარიცხები ფონდში ხდება შესაბამისი პერიოდისათვის გათვალისწინებული ზარალის საგეგმო თანხების შემცირების ფარგლებში.

ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შეუსრულებლობისას სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის შემცირებული ოდენობით შექმნილი ფონდი არ შეიძლება იყოს იმ კვარტალში ამ ფონდის საგეგმო სიდიდის 40 პროცენტზე ნაკლები, რომელშიც არ შესრულებულა გეგმა მათს განკარგულებაში დატოვებული გაანგარიშებული ფაქტიური მოგების ფარგლებში, რაც გამოთვლილია მისი განაწილებისათვის დადგენილი წესით.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის საერთო თანხა (ცალკეულ კვარტალებში მინიმალური ანარიცხების ჩათვლით) წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით (კვარტალი, ნახევარწელი, ცხრა თვე, წელი) ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შეუსრულებლობისას არ შეიძლება აღემატებოდეს გეგმის ამ პერიოდისათვის გათვალისწინებულ ამ ფონდის თანხას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში ანარიცხების თანხის განსაზღვრისათვის ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შესრულების შეფასებისას წარმოებული პროდუქციის ფაქტიური მოცულობიდან და მოგებიდან გამოირიცხება წარმოებული პროდუქციის მოცულობა და მოგება, რომლებიც არ გაუთვალისწინებიათ დაგეგმვისას, აგრეთვე მოგება, რომელიც გამოიყენება და ჩაირიცხება ბიუჯეტში განსაკუთრებული წესით.

14. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში წლის განმავლობაში შემოდის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის დახამატების სახსრები და საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად ან საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემული სესხების დაბრუნების დაფარვისათვის მიღებული სახსრები.

15. საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების ფაქტიურად წლის განმავლობაში დარიცხული თანხა, მართვის ორგანოთა ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხების თანხისა და სამინისტროს აღნიშნული ფონდის რეზერვის ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანად სამინისტროს ხაზით ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების მიხედვით გამოანგარიშებულ ამ ფონდების თანხას.

იმ შემთხვევაში, როცა სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და საბინაო მშენებლობის ფონდის ფაქტიურად წლის განმავლობაში დარიცხული თანხა, სამინისტროს აღნიშნული ფონდის რეზერვისა და მართვის ორგანოთა მიმდინარე წლის ცენტრალიზებული ფონდების გამოუყენებელი ნაწილების ჩათვლით, აღემატება მთლიანად სამინისტროს ხაზით გამოანგარიშებულ ამ ფონდის თანხას, სამინისტროს შეაქვს შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში გადამეტების თანხა აღნიშნული ფონდის რეზერვის ხარჯზე, ხოლო მისი უკმარისობისას — მომდევნო წლის ფონდის რეზერვის ხარჯზე.

თუ მთლიანად მართვის ორგანოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში ანარიცხების თანხა აღემატება საქვეუწყებო საწარმოთა აღნიშნულ ფონდში ანარიცხების თანხას, ცენტრალიზებულ ფონდში ანარიცხების ჩათვლით, მაშინ ცენტრალიზებულ ფონდში დამატებითი ჩარიცხვა ხდება სამინისტროს ამ ფონდის რეზერვის ხარჯზე.

თუ მთლიანად მართვის ორგანოს მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში ანარიცხების თანხა უფრო ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე ამ ფონდში საქვეუწყებო საწარმოების მიერ ჩარიცხული თანხა, მართვის ორგანოს ცენტრალიზებულ ფონდში ანარიცხების ჩათვლით, მაშინ ამ სხვაობით მცირდება ანარიცხები მართვის ორგანოს ცენტრალიზებულ ფონდში. შემცირების აღნიშნული თანხა გადაირიცხება სამინისტროს ამ ფონდის რეზერვში.

წლის დამდეგს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის რეზერვის ნაშთების უკმარისობისას ბიუჯეტში შენატანების უზრუნველყოფა ხდება ამ რეზერვში მიმდინარე ანარიცხების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯზე. ამ შემთხვევაში სამინისტროს შემოსავალ-გასავლის გაანგარიშების ბალანსში შეიტანება შესწორებანი, რომლებიც ითვალისწინებენ აღნიშნულ ფონდში ანარიცხების შემცირებას და მოგების ანარიცხების გადიდებას.

ამ შემთხვევებში სამინისტროს მოგების დამატებითი გადასახდელები ბიუჯეტში შეაქვს დაგეგმილი ოდენობით ცენტრალიზებული წესით.

III. საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების გამოყენების წესი

16. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები გამოიყენება ნუსხის მიხედვით. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯვის ნუსხის პროექტი გამოიტანება საწარმოს შრომითი კოლექტივის განსახილველად და მისი მოწონების შემდეგ მტკიცდება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით და თან ერთვის კოლექტიურ ხელშეკრულებას. აღნიშნული ნუსხის შესრულების შესახებ ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი აცნობებენ მუშა-მოსამსახურეებს კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

17. ნუსხის შედგენისას სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები, გასული წლის ფონდის ნაშთების ჩათვლით, რეკომენდებულია მოხმარდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს შრომითი კოლექტივების პირველი რიგის სოციალური ამოცანების გადაწყვეტის გათვალისწინებით:

ა) საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, პროფილაქტორიუმების, საწარმოებში სასადილოებისა და ბუფეტების, კლუბების, კულტურის სახლების, პიონერბანაკების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და სანატორიუმების, ტურისტული და ქალაქგარეთ დასასვენებელი ბაზების, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, შრომის ვეტერანთა სახლ-ინტერნატების, სპორტული ნაგებობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და გამაჯანსაღებელი დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობას (წილობრივ მონაწილეობას მშენებლობაში), გაფართოებასა და კაპიტალურ რემონტს; აღნიშნული ობიექტებისათვის ინვენტარის, მოწყობილობის, სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების (მაგალითად, სამედიცინო მანქანების, მოძრავი კინოდანადგარების) შეძენას და ა. შ.

ამასთან საწარმოთა შრომითს კოლექტივებს რეკომენდაცია ეძლევათ განუწყვეტლივ გაადიდონ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების წილი, რომელიც ხმარდება საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ნაკლებობისას სსრ კავშირის მშენბანკი და სსრ კავშირის სახბანკი საწარმოებს აძლევენ გრძელვადიან კრედიტს საცხოვრებელი სახ-

ლებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტის ფარგლებში ორი წლის ვადით. გრძელვადიანი კრედიტი შეიძლება მიეცეთ აგრეთვე მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის შესაბამისი წლის კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემის ოქმით გათვალისწინებული წილის 50 პროცენტის ფარგლებში.

კრედიტი შეიძლება მიეცეთ იმ შემთხვევებში, როცა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში შემოსული სახსრები, რაც დაგეგმილ წელს ხმარდება არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, შეადგენს მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არანაკლებ 50 პროცენტს, ან საწარმოებს აქვთ თავიანთ ანგარიშებზე ეს სახსრები.

საწარმოები წარუდგენენ სამინისტროს ან მართვის ორგანოებს მონაცემებს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის შესახებ (მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის) და წინადადებებს აღნიშნული ფონდის სახსრებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე ღონისძიებათა განხორციელები სათვის საჯარო სამუშაოებისა და მატერიალური რესურსების მოცულობის შესახებ.

სამინისტრო სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების და ბანკების კრედიტების ხარჯზე დაფინანსებულ კაპიტალურ დაბანდებებს აღრიცხავს სრული მოცულობით როგორც არაცენტრალიზებულს და წარუდგენს მათ ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების პროექტებთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გეგმების პროექტების მომზადებისას გასათვალისწინებლად.

საბინაო მშენებლობის ვადების შემცირების მიზნით საწარმოებს შეუძლიათ გააერთიანონ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების სახსრები, აგრეთვე საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ასიგნებანი.

საცხოვრებელი სახლებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის სამუშაოები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე ხორციელდება როგორც საჯარო, ისევე სამეურნეო წესით.

სამინისტრო უზრუნველყოფს კაპიტალური მშენებლობის გეგმებში იმ არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების პირველ რიგში შეტანას, რომელთა მშენებლობა ხორციელდება სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე.

მიწის ნაკვეთების გამოყოფას და საქვეუწყებო ორგანიზაციების სამუშაოთა გეგმებში საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლებისა და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების დაპროექტებისა და მშენებლობის დავალებათა შეტანას, რაც საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე ხორციელდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ბალანსის რიგში.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შემუშავებისას სამინისტრო პირველ რიგში უზრუნველყოფს, წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა შესრულებასთან ერთად, სრული მოცულობით მოთხოვნილებას სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების და ბანკების კრედიტების ხარჯზე არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამუშაოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე.

მოყოლებული 1987 წლიდან, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების და ბანკების კრედიტების ხარჯზე სამეურნეო წესით შესასრულებელ სამუშაოებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფენ უშუალოდ სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოები საწარმოთა შეკვეთების მიხედვით, საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

საწარმოთა საკუთარი სახსრებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე სამეურნეო წესით შესასრულებელ სამუშაოთა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 აპრილის № 387 დადგენილების 21-ე პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე აშენებულ სახლებში ყველა საცხოვრებელი სადგომი მიეცემათ ამ საწარმოთა მუშაკებს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით დამტკიცებული სიის მიხედვით, რაც შემდგომ ეცნობება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს.

საწარმოთა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ წილობრივი მონაწილეობის წესით აშენებულ სახლებში ეს საწარმოები გამოუყოფენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებს საცხოვრებელი ფართობის 6 პროცენტამდე საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით ასაღები სახლებიდან მოქალაქეთა გადასაყვანად და 2 პროცენტამდე — უშუალოდ საბინაო ფონდის მომსახურებითა და ექსპლუატაციით დასაქმებული მუშაკებისათვის სამსახურებრივი ფართობის მისაცემად.

წილობრივი მონაწილეობის წესით აშენებულ სახლებში საცხოვრებელ ფართობს აღნიშნულ მშენებლობაში მონაწილე საწარმოებს აძლევენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომები და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ერთიანი შემკვეთი სამეურნეო ორგანიზაციები იმ წლის განმავლობაში, რომელშიც გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის საწარმოთა ბალანსზე არსებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისათვის მედიკამენტების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, სანატორიუმების, ტურისტული ბაზების და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაწესებული მარშრუტებით ექსკურსიებისა და მოგზაურობის საგზურების შეძენას (მარშრუტის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ მგზავრობის ღირებულების აუნაზღაურებლად), პროფკავშირთა ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებების მიერ დასვენების დღეებში ადგილობრივი მარშრუტებით მოწყობილ ექსკურსიებსა და მოგზაურობას.

ამასთან სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, პანსიონატების, ტურისტული ბაზების, ექსკურსიებისა და მარშრუტებით მოგზაურობის საგზურები მუშაკებს მიეცემათ მუშაკთათვის საგზურების მიცემის მოქმედი წესისა და პირობების მიხედვით სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების ხარჯზე, ხოლო დასვენების დღეებში ადგილობრივი მარშრუტებით ექსკურსიისა და მოგზაურობის საგზურები — საგზურების მიცემის მოქმედი წესისა და პირობების მიხედვით პროფკავშირული ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, ე. ი. ექსკურსიისა და მოგზაურობის ღირებულების 30 პროცენტს აანაზღაურებენ მუშაკები და მათი ოჯახების წევრები.

დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, სანატორიუმების, ტურისტული ბაზების, ექსკურსიებისა და მარშრუტებით მოგზაურობის, აგრეთვე დასვენების დღეებში ექსკურსიებისა და მარშრუტების საგზურები, რომელთაც სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე იძენენ, მიეცემათ, უწინარეს ყოვლისა, წარმოების მოწინავეებს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, შრომის ვეტერანებსა და ინვალიდებს, რომლებიც წინათ მუშაობდნენ საწარმოში, ხოლო ამჟამად იმყოფებიან პენსიაზე და არ შედიან მოცემული საწარმოს სიობრივ შემადგენლობაში, შეიძლება სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე გამოეყოთ საგზურები დასასვენებლად და სამკურნალოდ.

იმ შემთხვევებში, როცა საწარმოებს არა აქვთ პიონერბანაკები, როგორც გამონაკლისი, სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და პროფკავშირული ბიუჯეტის სახსრების უკმარისობისას, მათ შეუძლიათ შეიძინონ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე პიონერბანაკების საგზურები სხვა საწარმო-ორგანიზაციებისაგან თავიანთ მუშაკთა შვილებისათვის. მშობლების მიერ ზემოაღნიშნული საგზურებისათვის შეტანილი გადასახდელი გადაირიცხება სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში;

გ) საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად მიცემული სსრ კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის კრედიტების დაფარვას და ამ სესხით სარგებლობისათვის პროცენტების გადახდას, აგრეთვე დამხმარე სასოფლო მეურნეობათა განვითარებისათვის საწარმოს მიერ მიღებული კრედიტების დაფარვას (25 პროცენტამდე);

დ) კულტურულ-საგანმანათლებლო და ფიზკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას, ამ მიზნით სასწავლო და თვალსაჩინო საშუალებების, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთათვის თეატრალური კოსტიუმების (მათი ქირის ანაზღაურებას), სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენას, მშრომელთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განსახორციელებლად სადგომებისა და სპორტულ ნაგებობათა იჯარას; თვალსაჩინო აგიტაციისა და საგიტაციო-მხატვრული გაფორმების საშუალებათა შეძენას, აგრეთვე სადღესასწაულო დღეებისათვის შენობების მორთვას, დემონსტრანტთა კოლონების გაფორმებას (დაწესებული ნორმების ფარგლებში);

ე) სასადილოებში (ბუფეტებში) საწარმოების მუშაკთა, უწინარეს ყოვლისა, ღამის ცვლში მომუშავეთა კვების ღირებულების გაიაფებას; პროფილაქტიუმებში სამკურნალოდ მოთავსებულ მუშაკთა და საწარმოთა საბავშვო ბაღებში, ბაგებში, პიონერულ და გამაჯანსაღებელ ბანაკებში მყოფ ბავშვთა კვების გაძლიერებას.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე კვების ღირებულების გაიაფება ხორციელდება აღნიშნული ფონდის სახსრების გადარიცხვის გზით კვების ღირებულების ნაწილის ასანაზღაურებლად საწარმოს მომსახურე სასადილოების ანგარიშის წარდგენის შემდეგ. გაიაფებული საკვები საწარმოს მუშაკებს უნდა მიეცეთ წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით დამტკიცებული სიის მიხედვით.

საწარმოთა ხელმძღვანელებს პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლიათ უფასოდ გამოუყონ საზოგადოებრივი კვების III კატეგორიის საწარმოებს, რომლებიც მათს მუშაკებს ემსახურებიან, საჭირო ტრანსპორტი ან აუნაზღაურონ პროდუქტებისა და მზა კერძების გადაზიდვის ფაქტიური ხარჯები, აგრეთვე აუნაზღაურონ საზოგადოებრივი კვების აღნიშნულ საწარმოებს ღამის ცვლაში მუშა-მოსამსახურეთა მომსახურებასთან დაკავშირებული და სამუშაო ადგილებზე კერძების მიტანისა და დარიგების ხარჯები, იმ ვარაუდით, რომ ეს ხარჯები მიეკუთვნოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრებს;

ვ) კოლექტიური ბაღების გზებისა და წყალსადენის მოწყობის, ელექტრიფიკაციისა და კეთილმოწყობის სხვა სამუშაოებს ამ სამუშაოთა განხორციელების ხარჯთაღრიცხვის 25 პროცენტამდე ფარგლებში;

ზ) კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საკუთარი სახსრების პირვანდელი შესატანისათვის უსასყიდლო მატერიალური დახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარების გაწევას, აგრეთვე კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიცემული კრედიტის ნაწილობრივ დაფარვას;

თ) ახალგაზრდა ოჯახებისათვის უპროცენტო სესხის მიცემას საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად ან საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად;

ი) შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების ღონისძიებებით გათვალისწინებულ სხვა მიზნებს.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის გამოყენების კონკრეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს საწარმოს ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან ერთად.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო, გამაჯანსაღებელი დანიშნულების ობიექტებისა და პიონერბანაკების სამეურნეო მოვლა-შენახვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც წესი, საწარმოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის 9-10 პროცენტი.

18. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების წლის დამლევისათვის გამოუყენებელი ნაშთები გადადის მომდევნო წელს, არ ჩამოერთმევათ და იხარჯება შემდგომ პერიოდებში შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებით იმ მიზნებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დებულებით. სოციალურ-კულტურული ღონიძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში ზეგეგმითი ანარიცხები, აგრეთვე გასულ წელს ამ ფონდის გამოუყენებელი სახსრები საწარმოებს შეუძლიათ მოახმარონ საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა და დანახარჯების გადაჭარბებით შესრულების დაფინანსებას, აგრეთვე ახლად დასაწყები ობიექტების მშენებლობას, იმ პირობით, თუ აქვთ სახსრები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობის დამთავრებას ნორმატიულ ვადებში.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები შეიძლება დააგროვონ საწარმოებმა შემდგომ წლებში მშენებლობის განსახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 161 დადგენილებით

მეთოდიკური მითითებანი

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, დაპროექტების, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესის შესახებ

1. ეს მეთოდიკური მითითებანი შემუშავებულია „მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის № 669 დადგენილების და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ 1985 წლის 26 დეკემბრის № სა-627/49-499 წერილით დასამტკიცებლად რეკომენდებულ მეთოდიკურ მითითებათა შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო დადგენილი წესით შეტყობინებული მომავალი ხუთწლედის საკონტროლო ციფრების ფარგლებში შეიმუშავებს და დაუგზავნის ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს, სამმართველოებს, სამრეწველო გაერთიანებებს *, საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) ** სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებს ხუთწლედისათვის წლების მიხედვით დაყოფით ცალ-ცალკე საწარმოო და არასაწარმოო მშენებლობისათვის, წარმოების განვითარების ფონდში, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში ანარიცხების სტაბილურ-ხუთწლედისათვის — ნორმატივებს, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდის, ფართო მოხმარების ფონდის სახსრებისა და საწარმოთა მოგების მოცულობას, რაც რჩება დადგენილი წესით იმ საწარმოთა განკარგულებაში, რომლებიც იყენებენ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას. ***

ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი გამოიყოფა, როგორც წესი, ახალი საწარმოების ამოქმედებასთან და მოქმედის გაფართოებასთან დაკავშირებით რიცხოვნობის ზრდის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ცალკეული საწარმოებისათვის დახმარების გასაწევად.

---

*) შემდგომში ეწოდება „მართვის ორგანო“.

**) შემდგომში ეწოდება „საწარმო“.

***) შემდგომში ეწოდება „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მართვის ორგანოები (საწარმოები) კაპიტალურ დაბანდებათა ... ბის საფუძველზე შეიმუშავებენ და წარუდგენენ სამინისტროს ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დაწესებული ფორმების მიხედვით და ვადებში.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო შეიმუშავებს კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მის მიერ დაწესებული ფორმების მიხედვით და ვადებში.

5. სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში გათვალისწინებულია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები იმ სამუშაოთა შესასრულებლად, რომლებიც ხორციელდება სამეურნეო წესით და საკუთარი საიჯარო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

6. მართვის ორგანოები და საწარმოები, მათთვის ხუთწლედისათვის დაწესებული პროდუქციის წარმოების (მომსახურების გაწევის) დავალებებიდან გამომდინარე, განიხილავენ და განსაზღვრავენ აღნიშნულ დავალებათა შესრულების შესაძლებლობას, უწინარეს ყოვლისა, არსებულ სიმძლავრეთა ეფექტიანი გამოყენებით (ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით, რომლებიც არ მოითხოვენ, როგორც წესი, კაპიტალურ დაბანდებებს, სამუშაო ადგილების ატესტაციით, მთლიანად საწარმოს მუშაობის ცვლიანობის და ძირითადი მოწყობილობის მუშაობის წლიური ფონდის დროის გადიდებით, წარმოებისა და შრომის მართვისა და ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვით, კადრების პროფესიული მომზადების ამაღლებით და სხვ), ამასთან უზრუნველყოფენ საწარმოს მიერ მუშაობის საპროექტო მაჩვენებლების დონის მიღწევას ნორმატიულ ვადებში.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა უკმარისობისას განისაზღვრება წარმოების გადიდების, პროდუქციის ხარისხის დასახული პარამეტრების მიღწევის და საწარმოს მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების შესაძლებლობა ცალკეულ წარმოებათა, საამქროთა, უბანთა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის განხორციელების ხარჯზე. ამასთან, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება ამ ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების სახსრების ხარჯზე, ხოლო მათი ნაკლებობისას — ბანკის კრედიტების გამოყენებით.

საჭირო შემთხვევებში სამინისტროს შეუძლია გაითვალისწინოს მართვის ცალკეული ორგანოებისათვის (საწარმოებისათვის) ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გამოყოფა.

საწარმოთა მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან გაფართოების გეგმიანი წესით განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხებს სამინისტრო წყვეტს საწარმოო სიმძლავრეთა არსებობისა და გამოყენების შემუშავებული საგეგმო ბალანსების, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ან გაანგარიშების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმიანობისა ექტების შემუშავებისას მართვის ორგანოები (საწარმოები) წარადგენენ თავიანთ წინადადებებს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების, აგრეთვე სამინისტროსათვის მიცემული ბანკის კრედიტების ხარჯზე ზემოაღნიშნული მშენებლობის განხორციელების შესახებ.

იმ შემთხვევებში, როცა განაშენიანების პირობების გამო საბინაო ფონდის აღება არ შეიძლება კომპენსირებულ იქნეს ლიკვიდირებული სახლების მობინადრეთა ჩასასახლებლად გამოყოფილი ფართობის 6 პროცენტით, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა, საწარმოებს შეუძლიათ წარუდგინონ მართვის ორგანოებს, ხოლო ამ ორგანოებმა — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადებანი აღნიშნული მიზნებისათვის · ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების შესახებ.

საწარმოს, მართვის ორგანოს მიერ შემუშავებული მონაცემები არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გამოყოფით), ამ სახსრების ხარჯზე ძირითადი ფონდების ამოქმედების, საწარმოო სიმძლავრეთა ზრდის, არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების ამოქმედების და სხვა მაჩვენებლების შესახებ წარედგინება სამინისტროს ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის პროექტის შემუშავებისა და წარდგენისათვის გათვალისწინებული წესით.

ამავე დროს, დაწესებული მაჩვენებლებისა და ფორმების მიხედვით, წარედგინება საწარმოების ხელმძღვანელთა მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმები საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებითა და გაანგარიშებითურთ, რაც ადასტურებს დასახულ ღონისძიებათა ეკონომიკურ ეფექტიანობას.

7. სამინისტრო სრული მოცულობით ითვალისწინებს მართვის ორგანოებისა და საწარმოების მიერ წარდგენილ წინადადებებს არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შესახებ, ხოლო მათი დაფინანსების წყაროების ნაკლებობისას — ბანკის კრედიტების თანხის შესახებ, და ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის პროექტთან ერთად წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

მართვის ორგანოებისა და საწარმოების წინადადებათა საფუძველზე და იმ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მიხედვით საკონტროლო ციფრებით დაწესებულ დავალებათა გათვალისწინებით, რომლებიც უნდა მოხმარდეს მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ კვლავაღჭურვასა და რეკონსტრუქციას, სამინისტრო შეიმუშავებს მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის კრებსითი ხუთწლიანი გეგმის პროექტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ მეთოდიკურ მითითებათა შესაბამისად.

8. მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და არასაწარმოო და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის სამუშაოები არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ხორციელდება როგორც საჯარო, ისევე სამეურნეო წესით.

იმ საწარმოების მიხედვით, სადაც მიზანშეწონილია აღნიშნულ სამუშაოთა შესრულება საჯარო წესით, სამშენებლო სამინისტროები და შემკვეთები უზრუნველყოფენ, რომ ეს სამუშაოები, აგრეთვე არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამუშაოები, რაც სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე ხორციელდება, პირველ რიგში იქნეს შეტანილი კაპიტალური მშენებლობისა და საჯარო სამუშაოთა გეგმების პროექტებში.

9. ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებით საწარმოო და არასაწარმოო მშენებლობის საჯარო სამუშაოთა ლიმიტებს გამოყოფს სამინისტრო.

10. კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმების პროექტებს სამინისტრო, მართვის ორგანოები და საწარმოები შეიმუშავებენ იმ დავალებათა საფუძველზე, რომლებიც დაწესებულია ხუთწლიანი გეგმით დასაგეგმი წლისათვის.

11. წლიური გეგმების პროექტებში საწარმოო მშენებლობისათვის არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობანი შეიძლება დაზუსტდეს ხუთწლიან გეგმაში განსაზღვრულთან შედარებით უფრო პროგრესულ და ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, აგრეთვე დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების იმ სახსრების ოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც შეიქმნა და წარიმართა კაპიტალური მშენებლობისათვის დასაგეგმ წელს.

12. ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემადგენლობაში მართვის ორგანოები და საწარმოები შეიმუშავებენ და წარუდგენენ სამინისტროს დასაგეგმი ხუთწლეულის ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის გეგმებს დავალებების წლების მიხედვით დაყოფით, რომელთა საფუძველზეც შემუშავდება წლიური გეგმები. აღნიშნულ ხუთწლიან და წლიურ გეგმებს საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებითა და დასაბუთებითურთ საწარმოები შეიმუშავებენ ამ გეგმების შემუშავების შესახებ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ მეთოდიკურ მითითებათა შესაბამისად.

ამასთან უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის მშენბანკის, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1984 წლის 8 მაისის წერილით „ახალი მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური კვლავაღჭურვის ცნებების განსაზღვრის შესახებ“, კაპიტალურ დაბანდებათა კვლავწარმოებითი სტრუქტურის ცალკეული მიმართულებებისათვის მიკუთვნებული სამუშაოებისა და დანახარჯების შემადგენლობის შესახებ მეთოდიკური მითითებებით, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახმშენის, სსრკავშირის მშენბანკის, სსრ კავშირის [illegible]ური სტატისტიკური სამმართველო 1985 წლის 25 ოქტომბრის წერილით „რეკონსტრუქციისათვის განკუთვნილი და მოქმედ საწარმოთა გაფართოების პროექტების მიხედვით განხორციელებული სამუშაოებისა და დანახარჯების დაგეგმვისა და აღრიცხვის წესის შესახებ“.

13. ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმებში შეტანილ უნდა იქნეს, უწინარეს ყოვლისა, ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების ტექნოლოგიის ძირეულ გაუმჯობესებას, მოძველებული ძირითადი ფონდების შეცვლის ტემპის დაჩქარებას და სამუშაოთა განხორციელებას შემჭიდროებულ ვადებში.

მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვის ღონისძიებათა კომპლექსმა უნდა უზრუნველყოს: პროდუქციის გამოშვების გადიდება და მისი ხარისხის ამაღლება, მოქმედ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესება და მათი ზრდა შრომის ნაყოფიერების გადიდების, სამუშაო ადგილების შემცირების, პროდუქციის მასალატევადობისა და თვითღირებულების შემცირების უზრუნველყოფით, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომია, წარმოების ან მისი ცალკეული საამქროების, უბნების, აგრეგატების, დანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ამაღლება მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოძველებული და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობის მოდერნიზაციისა და ახალი, უფრო მწარმოებლური მოწყობილობით შეცვლის საფუძველზე, აგრეთვე საერთო-საქარხნო მეურნეობისა და დამხმარე სამსახურების სრულყოფა, საწარმოს ცალკეულ ქვედანაყოფთა შორის დისპროპორციების აღმოფხვრა ძირითად და დამხმარე წარმოებებში „ვიწრო“ ადგილების ლიკვიდაციის საფუძველზე, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოება.

ამასთან ტექნიკური კვლავაღჭურვის სახით დაშვებული არ უნდა იქნეს მოწყობილობის უბრალო შეცვლა;

14. საწარმოს ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმები შედგება შემდეგი განაყოფებისაგან:

კრებსითი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ტექნიკური კვლავაღჭურვის საბოლოო მიზნებსა და შედეგებს;

ტექნიკური კვლავაღჭურვის ღონისძიებანი;

მოთხოვნილება კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო და საჯარო სამუშაოთა ლიმიტებზე და ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის საჭირო მოწყობილობის რესურსებზე.

15. საწარმოს ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმებს ამტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი.

იმ შემთხვევებში, როცა ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 2,5 მილიონ მანეთსა და მეტს, საწარმოები წარუდგენენ სამინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ამ გეგმებს, ხოლო სამინისტრო განიხილავს და შეაფასებს მათ ეფექტიანობას, განხორციელების დროულობასა და დასახულ ვადებში შესაძლებლობას, აგრეთვე მათში გათვალისწინებულ დავალებათა შესაბამისობას დარგის (ქვედარგის, წარმოების) განვითარების საერთო მიმართულებასთან და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებებს.

16. ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის კრებსითი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც სამინისტროს შეაქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის წარსადგენ კაპიტალური მშენებლობის გეგმის პროექტში, მუშავდება დაწესებული მაჩვენებლებისა და ფორმების მიხედვით.

17. ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში საწარმოებს შეუძლიათ კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილის ხარჯზე გასწიონ ძირითადი ფონდების ტექნიკური კვლავაღჭურვის დამატებითი დანახარჯები სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით გათვალისწინებული ლიმიტების გადაჭარბებით. ამასთან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მოწყობილობის დადგმისა და მონტაჟისათვის საჭირო მოცულობით.

18. მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მუშავდება მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვის დამტკიცებულ ხუთწლიანი და წლიური გეგმების, აგრეთვე ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და გაანგარიშების შესაბამისად.

19. საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტების გამოყოფას მართვის ორგანოებისა და საწარმოებისათვის, რომლებშიც გათვალისწინებულია საწარმოო ობიექტების ტექნიკური კვლავაღჭურვა და რეკონსტრუქცია და არა საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების სახსრების ხარჯზე, ხოლო მათი ნაკლებობისას — ბანკების კრედიტების ხარჯზე, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციათა გეგმებში ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შეტანას უზრუნველყოფს სამინისტრო პირველ რიგში და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა საერთო ლიმიტების ფარგლებში.

20. ტექნიკური კვლავაღჭურვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს, სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად, შეიმუშავებენ საწარმოები დამოუკიდებლად და დაამტკიცებენ მათი ხელმძღვანელები.

21. მართვის ორგანოებს (საწარმოებს) სამინისტროს ნებართვით შეუძლიათ შეიმუშაონ საქვეუწყებო საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროთა (ორგანიზაციათა) ძალებით ძირითადი საქმიანობის გეგმებით გათვალისწინებული ხელფასის ფონდის ფარგლებში საამქროთა, უბანთა, წარმოებათა რეკონსტრუქციის, ტექნიკური კვლავაღჭურვისა და გაფართოების საპროექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და განახორციელონ ადგილობრივ მრეწველობის საწარმოების შენობა-ნაგებობათა არართული ტიპობრივი პროექტების მისადაგება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ლიმიტების გადამეტებით.

22. ტექნიკურად კვლავაღსაჭური, სარეკონსტრუქციო და გასაფართოებელი ობიექტების დაპროექტების დავალებებს ადგენენ პროექტების შემკვეთნი საჭირო შემთხვევებში გენერალურ დამპროექტებელთა, სუბსაიჯარო სპეციალიზებულ საპროექტო ორგანიზაციათა და გენერალურ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციათა მიზიდვით.

მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვალაღჭურვის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების პროექტების ხარისხის შერჩევით შემოწმებას ატარებენ სამინისტროს პროექტების ექსპერტიზისა და ხარჯთაღრიცხვების განყოფილებანი.

23. მართვის ორგანოთა, საწარმოთა ხელმძღვანელებს უფლება აქვთ შრომითი კოლექტივების თანხმობით წარმოების განვითარების ფონდის სახსრები გამოიყენონ:

ახალი ტექნიკის გამოშვების მომზადებისა და პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესთა დანერგვის დანახარჯებისათვის;

ძირითად და დამხმარე წარმოებებში „ვიწრო“ ადგილების აღმოფხვრის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა განსახორციელებლად;

10 პროცენტამდე — დამხმარე სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად. აღნიშნული სახსრების ხარჯზე შეიძლება შეძენილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მექანიზმები, პირუტყვი, ფრინველი, სათესლე ფონდი, აგრეთვე განხორციელდეს საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

მორიგი საგეგმო პერიოდის გეგმის პროექტის შემუშავებისას მართვის ორგანოთა ხელმძღვანელებს შეუძლიათ საჭიროების კვალობაზე გადაანაწილონ წარმოების განვითარების ფონდის და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდის სახსრები, რაც გამოყოფილია მათს განკარგულებაში, აღნიშნულ ფონდებს შორის.

24. წარმოების განვითარების ფონდს საწარმოები ქმნიან სტაბილური ნორმატივების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია ხუთწლედისათვის ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების დონისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესაბამისად. წარმოების განვითარების ფონდის სახსრებს საწარმოები დამოუკიდებლად იყენებენ.

25. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი იქმნება სტაბილური ნორმატივების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია მოგების ზრდის მიღწეული მაჩვენებლების შესაბამისად.

ამ ფონდის სახსრები მეთორმეტე ხუთწლედში საჭირო წანამძღვრების შექმნის კვალობაზე მოქმედი საწარმოებისათვის უნდა გახდეს საცხოვრებელი სახლების, საბავშვო დაწესებულებების, პროფილაქტორიუმების, პიონერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანაკებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის დაფინანსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო.

ამ მიზნით საწარმოები:

— დამოუკიდებლად წყვეტენ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯვის საკითხებს, ამასთან ეხედველობაში აქვთ, რომ აღნიშნული ფონდის გამოყენების საკითხი უნდა განიხილონ და მოიწონონ შრომითმა კოლექტივებმა;

— უფლება აქვთ გადასცენ ფონდის სახსრები არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის იმ წესით, რომელიც დადგენილია ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისათვის;

— შეუძლიათ საჭირო შემთხვევებში, მართვის ორგანოების თანხმობით, მიიღონ წილობრივი მონაწილეობა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობაში დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების სახსრების (წარმოების განვითარების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების) და ბანკების კრედიტების **ხარჯზე.**

26. საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების ზემოაღნიშნული ფონდების შექმნისა და გამოყენების წესი დადგენილია მრეწველობაში მეთორმეტე ხუთწლედში წარმოების განვითარების ფონდის შექმნისა და გამოყენების დებულებით და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის ტიპობრივი დებულებით.

27. კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წესი დადგენილია სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის 1985 წლის 18 ოქტომბრის № 340/773 წერილით „მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელების პირობებში საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) დაფინანსებისა და დაკრედიტების წესის შესახებ“.

წარმოების განვითარების ფონდის სახსრებისა და სხვა არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე ტექნიკური კვლავაღჭურვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად საწარმოები წარუდგენენ ბანკების დაწესებულებებს დასაგეგმი წლის ტექნიკური კვლავაღჭურვის გეგმის ამონაწერს და ცალკეულ სახეობათა სამუშაოებისა და დანახარჯების დამტკიცებულ ნუსხებს, ხოლო კრედიტის მიღებისას — აგრეთვე დასახულ ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებას.

28. წარმოების განვითარების ფონდის სახსრების დაგროვება შეუძლიათ საწარმოებს მომდევნო საგეგმო პერიოდებში საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად. აღნიშნული სახსრები ინახება და გამოიყენება ბანკების დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებას. წარმოების განვითარების ფონდის დროებით თავისუფალ სახსრებს გამოიყენებენ ბანკები წარმოების ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის საჭირო კრედიტების გასაცემი რესურსების სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა წარმოების განვითარების ფონდის სახსრების გამოყენებისათვის ბანკი უხდის მათ წლიურის 0,5 პროცენტს.

29. დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების სახსრების უკმარისობისას საწარმოებს შეუძლიათ გამოიყენონ ბანკების გრძელვადიანი კრედიტები, რომლებიც მიეცემათ:

ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული დაგეგმილი დანახარჯებისათვის, იმ პირობით, რომ კაპიტალური დაბანდებანი ანაზღაურდეს საშუალო-დარგობრივი ნორმატივების ფარგლებში. ბანკების კრედიტების დაფარვა ხორციელდება წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე ან საწარმოს განკარგულებაში დატოვებული მოგების ხარჯზე;

ტექნიკური კვლავაღჭურვის მაღალეფექტიან ღონისძიებათა განსახორციელებლად (რომლებზეც მოთხოვნილება წარმოიშობა გეგმის შესრულების მსვლელობაში) სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის გადამეტებით, იმ პირობით, რომ დანახარჯები ანაზღაურდეს (დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით) ხუთ წლამდე ვადაში.

30. დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების სახსრები, რომლებიც მიმდინარე წელს დაირიცხა არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმით განსაზღვრული ოდენობის გადამეტებით, დაწესებული ნორმატივებიდან გამომდინარე, აგრეთვე გამოუყენებელია გასულ წელს, შეიძლება დაიხარჯოს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვის, რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის, საცხოვრებელი სახლებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების ასაშენებლად, იმ პირობით, თუ გამოინახება ამისათვის საჭირო მატერიალური რესურსები ადგილობრივი წყაროებიდან.

სამინისტროს უფლება აქვს დაუწესოს მართვის ორგანოებს (საწარმოებს) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა დამატებითი რიცხოვნობა და იმ სამუშაოთა შესრულებისათვის ხელფასის ნორმატივები, რომლებიც ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე სახელმწიფო არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დამტკიცებული გეგმის გადამეტებით, რაც შემდგომ ეცნობება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

31. სამინისტროს შეუძლია ნაწილობრივ ცენტრალიზებული გახადოს ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდისა და ფართო მოხმარების ფონდის სახსრები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

32. კაპიტალური მშენებლობის გეგმის პროექტის შემუშავებისას სამინისტრო ითვალისწინებს დარგისათვის გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში საწარმოთა მოთხოვნილების პირველ რიგში და სრულად უზრუნველყოფას მათი ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციისათვის და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის საჭირო მასალებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყობილობაზე საწარმოთა საკუთარი სახსრებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე, და მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვრება გაფართოებისა და ახალი მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა და ამ მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნილების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

33. დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე სამეურნეო წესით შესასრულებელ სამუშაოთა უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით (სახელობითი და იმპორტული მოწყობილობის გარდა) ხორციელდება უშუალოდ სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების მიერ საწარმოთა შეკვეთების მიხედვით, საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

34. საწარმოთა საკუთარი სახსრებისა და ბანკების კრედიტების ხარჯზე საიჯარო წესით განსახორციელებელ სამუშაოთა უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 აპრილის № 387 დადგენილების 21-ე პუნქტით განსაზღვრული წესით.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 161 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია შესაბამისად სანიმუშო დებულებისა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ, რომელიც რეკომენდებულია დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ.

დებულება განსაზღვრავს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს იმ საწარმოო გაერთიანებათა, (საწარმოთა) * მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის გამოყენების წესს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში.

ეს წესი დგინდება იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საწარმოთა დაინტერესება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით და მათი პასუხისმგებლობა სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა დროულად და მთლიანად შესრულებისათვის.

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო ან მისი დავალებით ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმასთან და საფინანსო გეგმასთან ერთად წლის დაწყებამდე შეიმუშავებენ და ამტკიცებენ საწარმოებისათვის გაანგარიშებითი მოგების ბიუჯეტში გადარიცხვის ნორმატივებს.

2. საერთო საგეგმო საბალანსო მოგებად ითვლება საწარმოს ყოველგვარი საქმიანობის საბალანსო მოგება.

საფინანსო გეგმაში (შემოსავალ-გასავლის ბალანსში) საბალანსო მოგების და ბიუჯეტში მოგების გადასახდელთა საერთო თანხა გადასახდელთა სახეობების მიხედვით წესდება წლიურად, კვარტალების მიხედვით განაწილებით.

გასანაწილებელი საგეგმო საბალანსო მოგების განსაზღვრისას გამოირიცხება მოგება, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად მკაცრად მიზნობრივი ხასიათი აქვს და გამოიყენება განსაკუთრებული წესით, მათ შორის:

*) შემდგომში საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) ეწოდებათ „საწარმოები". სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა სამრეწველო საწარმოები, რომლებსაც აქვთ სამრეწველო საქმიანობის ბალანსი, მოგების განაწილებას ახორციელებენ ამ დებულების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) წარმოების ნარჩენებისა და ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ნაკეთობათა რეალიზაციით მიღებული მოგება, რომელიც შეიტანება დადგენილი წესით ფართო მოხმარების ფონდში.

ბ) არასტანდარტული ტყავის, საქურქე და ბუმბულ-ბეწვეულის ნედლეულისაგან დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციისაგან მიღებული მოგების ნაწილი, რომელიც რჩება საწარმოს განკარგულებაში;

გ) საწარმოს განკარგულებაში სხვა მიზნებისათვის დატოვებული მოგება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით დაწესებული ოდენობით.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსზე არსებული დამხმარე სასოფლო მეურნეობების მოგება ნაწილდება ამ საწარმოებისათვის დადგენილი წესით.

დამხმარე მეურნეობათა საწარმოო დანიშნულების დანახარჯებისათვის კრედიტის დაფარვის პერიოდში მთელი მოგება, რაც მიღებულია მათი საქმიანობისაგან, ხმარდება, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნული კრედიტის დაფარვას.

3. ამ დებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოანგარიშებული საბალანსო მოგებიდან საგეგმო გაანგარიშებითი მოგების განსაზღვრისას გამოირიცხება:

ა) საწარმოო ძირითადი ფონდებისა და ნორმირებადი საბრუნავი სახსრების გადასახდელი (საწარმოო ფონდების გადასახდელი), რომელიც გამოანგარიშებულია საწარმოო ფონდების გადასახდელის ბიუჯეტში გადახდევინების წესის შესახებ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინსტრუქციით დადგენილი წესით;

ბ) პროცენტები ბანკის კრედიტისათვის.

4. ზემოაღნიშნული წესით განსაზღვრული საგეგმო გაანგარიშებითი მოგება ხმარდება ანარიცხებს სახელმწიფო ბიუჯეტში დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით.

5. საწარმოთა განკარგულებაში დატოვებული საგეგმო გაანგარიშებითი მოგება განისაზღვრება როგორც საგეგმო საბალანსო მოგების (ამ დებულების მე-2 პუნქტი), და ამ დებულების მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული საგეგმო გადასახდელების სხვაობა და ხმარდება:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 25 სექტემბრის № 839 დადგენილების შესაბამისად ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდის ფორმირებას;

ბ) მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და წარმოების განვითარების ფონდის შექმნას მათი გამოანგარიშების დაწესებული მეთოდიკის შესაბამისად;

გ) სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას (იმ ნაწილში, რომელსაც ვერ ფარავს საამორტიზაციო ანარიცხები და დაფინანსების სხვა წყაროები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ბანკის კრედიტების დაფარვას;

ე) საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის ზრდას;

ვ) ანარიცხებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიან ფონდში, რომელიც იქმნება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში;

ზ) ანარიცხებს ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვისათვის წახალისების ფონდებში (თვითღირებულების შემცირების ხარჯზე შექმნილ ნაწილში);

თ) საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციის ზარალის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და პიონერბანაკების სამეურნეო მოვლა-შენახვის ხარჯების დაფარვას;

ი) ანარიცხებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ფინანსური დახმარების გაწევის რეზერვში;

კ) ზემდგომი ორგანიზაციის ანარიცხებს მოგების გადანაწილების წესით;

ლ) სხვა საგეგმო დანახარჯებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასებზე საბითუმო ფასების გადამეტებას.

6. საწარმოებში, რომლებიც იყენებენ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას, რომელთა რიცხვი მომუშავეთა საერთო რაოდენობის 30 პროცენტსა და მეტს შეადგენს, საგეგმო გაანგარიშებითი მოგება ხმარდება:

ა) ანარიცხებს სახელმწიფო ბიუჯეტში დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 14 სექტემბრის № 674 დადგენილებით განსაზღვრული მიზნებისათვის და ოდენობით საწარმოთა განკარგულებაში დატოვებული მოგების ანარიცხებს;

— 50 პროცენტის ოდენობით, თუ მოხუცებულობის გამო პენსიონერები და ინვალიდები მომუშავეთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ;

— 35 პროცენტის ოდენობით, თუ მოხუცებულობის გამო პენსიონერები და ინვალიდები მომუშავეთა საერთო რაოდენობის 30-დან 50-მდე პროცენტს შეადგენენ.

მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად გათვალისწინებულ საწარმოთა განკარგულებაში დატოვებული მოგება ხმარდება:

— ახალი საწარმოების, საამქროებისა და უბნების მშენებლობას, მოქმედის რეკონსტრუქციასა და გაფართოებას გეგმით დაწესებული სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით;

— კადრების მომზადებასა და გადამზადებას;

— ახალი საწარმოების მშენებლობისათვის, მოქმედის რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის მიღებული სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის კრედიტების დაფარვას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, საბინაო აღნიშნული მოგების 15 პროცენტამდე ოდენობით;

— მატერიალური წახალისების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და წარმოების განვითარების ფონდის შექმნას;

გ) ამ დებულების მე-5 პუნქტის „გ", „ე"-„ლ" ქვეპუნქტებში აღნიშნული ხარჯების დაფინანსებას *.

7. დასაგეგმ წელს ბიუჯეტში გაანგარიშებითი მოგების ანარიცხების ნორმატივი განისაზღვრება როგორც გაანგარიშებითი მოგების საგეგმო თანხისა და ამ დებულების მე-5 პუნქტის „ა"-„ლ" ქვეპუნქტებში და მე-6 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საკუთარი საჭიროებისათვის განკუთვნილი ანარიცხებისა და დანახარჯების სხვაობის თანაფარდობა საგეგმო გაანგარიშებითი მოგების თანხასთან.

8. ფაქტიურ მოგებად ითვლება საწარმოთა ყოველგვარი საქმიანობის მოგება საანგარიშო ბალანსის მიხედვით .

გასანაწილებელი ფაქტიური მოგების განსაზღვრისას გამოირიცხება:

ა) ამ დებულების მე-2 პუნქტში აღნიშნული მოგება, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებული წესით;

ბ) დამატებითი მოგება (საბითუმო ფასის დანამატების თანხა), რომელიც მიღებულია საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ახალი მაღალეფექტიანი პროდუქციისა და იმ პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, რომელსაც მიეკუთვნა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი და რომელზეც დაწესებულია დანამატი მოწყობილობის კომპლექტური მიწოდებისათვის;

გ) დამატებითი ამონაგების თანხა, რომელიც მიღებულია დაწესებული ფასების გადიდებისა და ფასწარმოქმნის დადგენილი წესის დარღვევის შედეგად, და რომელიც საწარმოს დადგენილი წესით შეაქვს ბიუჯეტის შემოსავალში;

დ) დამატებითი მოგება, რომელსაც ცალკეულ შემთხვევებში იღებს საწარმო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობებისაგან გადახვევით პროდუქციის გამოშვების ხარჯზე, და რომელიც შეაქვს ბიუჯეტის შემოსავალში ეკონომიკური სანქციის სახით;

ე) დამატებითი მოგების თანხა, რომელიც მიღებულია ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად და ხმარდება საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსებას ან ამ მიზნით მიღებული კრედიტის დაფარვას;

ვ) სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო და საცალო ფასთა სხვაობის ასანაზღაურებლად ზეგეგმითი ხარჯების თანხა;

---

*) საწარმოებს, რომლებიც იყენებენ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას, რომელთა რიცხვი შეადგენს მომუშავეთა საერთო რაოდენობის 30 პროცენტსა და მეტს, და რომლებიც ამასთან დაკავშირებით იყენებენ მათს განკარგულებაში დატოვებული მოგების ნაწილს, ანარიცხები ადგილობრივი მრეწველობის **განვითარების ფონდში** არ შეაქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) მოგება, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებული წესით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებათა თანახმად.

თუ საწარმო არ შეასრულებს პირობებს, რომლებიც უფლებას აძლევს დაიტოვოს თავის განკარგულებაში მოგება (ამ დებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად), ეს მოგება ნაწილდება საერთოდ დადგენილი წესის შესაბამისად.

9. ფაქტიური გაანგარიშებითი მოგების განსაზღვრისას ფაქტიური საბალანსო მოგებიდან (ამ დებულების მე-8 პუნქტი) გამოირიცხება საწარმოო ფონდების გადასახდელის და ბანკის კრედიტისათვის პროცენტების ფაქტიური თანხები.

ამასთან ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დამტკიცებული გეგმის შეუსრულებლობის შედეგად მიღებული საწარმოო ფონდების გადასახდელის ეკონომია არ აღირიცხება ფაქტიური გაანგარიშებითი მოგების განსაზღვრისას და შეტანილ უნდა იქნეს ბიუჯეტში.

ფაქტიური მოგებიდან გამოირიცხება აგრეთვე:

ა) სრულიად საკავშირო, რესპუბლიკური (მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების), სამხარეო და საოლქო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით გასაცემი **პრემიების თანხა;**

ბ) დამატებით ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში ხელფასის ფონდის 1 მანეთზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის (საწარმოებში, სადაც აღნიშნული საქონელი წარმოების საერთო მოცულობის 50 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს).

10. მოგების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისას (განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგების გარდა) საწარმოს ფაქტიური გაანგარიშებითი მოგება ხმარდება ანარიცხებს სახელმწიფო ბიუჯეტში დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით.

საწარმოს განკარგულებაში დატოვებული გაანგარიშებითი მოგება ხმარდება:

— ფაქტიურ ანარიცხებსა და დანახარჯებს საკუთარი საჭიროებისათვის, რაც გათვალისწინებულია ამ დებულების მე-5 პუნქტით („ა"-„ლ" ქვეპუნქტები) და მე-6 პუნქტით („ბ" და „გ" ქვეპუნქტები);

— გეგმით გაუთვალისწინებელ დანახარჯებს, კერძოდ:

ა) დამატებით ანარიცხებს მატერიალური წახალისების ფონდში დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის მთლიანად შესრულებისას. აღნიშნული ანარიცხები წარმოებს მას შემდეგ, რაც ამ მიზნებს მოხმარდება მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები, რომლებიც რეზერვშია დატოვებული წინა პერიოდებში პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

ამ წყაროების უკმარისობისას დამატებითი ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში წარმოებს ბიუჯეტში მოგების ანარიცხების შემცირების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — საწარმოო ფონდების გადასახდელის შემცირების ხარჯზე;

ბ) საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შევსებას და ამ მიზნით მიღებული კრედიტების დაფარვას დამატებითი მოგების მიღების დაწესებული დავალების გადამეტებით, აგრეთვე საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის გადიდებისათვის გაცემული კრედიტების დაფარვას;

გ) წლის დამლევს მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხებს დაწესებულ ნორმატივთან შედარებით ხელფასის ფონდის გამოუყენებელი ეკონომიის ფარგლებში (რეალიზაციის გეგმის შესრულების და საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის ნორმატიული თანაფარდობის დაცვის პირობით);

დ) საწარმოს ფინანსური რეზერვის შექმნას.

ამ პუნქტში აღნიშნული დანახარჯები და ანარიცხები წარმოებს საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფაქტიური მოგების ხარჯზე და ფარგლებში.

11. საწარმოებში, რომლებსაც გეგმით არა აქვთ დამტკიცებული გაანგარიშებითი მოგების ბიუჯეტში ანარიცხების ნორმატივები, საფინანსო გეგმით გათვალისწინებული დანახარჯებისა და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის მთლიანად შესრულებისას მატერიალური წახალისების ფონდში დამატებითი ანარიცხებისათვის მისი წარმართვის შემდეგ დარჩენილი ფაქტიური გაანგარიშებითი მოგება ნაწილდება თანაბრად ბიუჯეტსა და საწარმოს შორის.

ასეთივე წესით ნაწილდება ზარალის შემცირების ეკონომია დაგეგმილ-ზარალიან საწარმოებში, რომლებმაც მიიღეს ზარალი გეგმაზე ნაკლები ოდენობით.

12. საბალანსო მოგების გეგმის შეუსრულებლობისას (განსაკუთრებული წესით გამოყენებული მოგების გარდა) ამ დებულების მე-8 პუნქტის შესაბამისად გამოანგარიშებული ფაქტიური გაანგარიშებითი მოგება ხმარდება ანარიცხებს ბიუჯეტში დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით.

საწარმოს განკარგულებაში დატოვებული გაანგარიშებითი მოგება ხმარდება ამ დებულების მე-5 პუნქტის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებში ან შესაბამისად მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ დანახარჯებსა და ანარიცხებს.

13. გარდა მოგების გადასახდელებისა, ბიუჯეტში წარიმართება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ახალი მაღალეფექტიანი პროდუქციისა და სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად საწარმოს მიერ მიღებული დამატებითი მოგების ნაწილი, აგრეთვე მოწყობილობის კომპლექსური მიწოდებისათვის დანამატის ნაწილი, რაც განისაზღვრება დადგენილი წესით.

14. იმ შემთხვევებში, როცა ატესტაციის დროს ხარისხის პირველი კატეგორიისათვის მიკუთვნებული, აგრეთვე წარმოებიდან მოსახსნელი გამოსაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები პროდუქციის საბითუმო ფასებზე დაწესებულია ფასდაკლება, რომლის თანხა ირიცხება ბიუჯეტში, მოგების გადასახდელთა ოდენობის გაანგარიშებისას **საჭიროა:**

— საწარმოებს, რომლებსაც დამტკიცებული აქვთ გაანგარიშებითი მოგების ბიუჯეტში ანარიცხების ნორმატივი, გაუდიდდეთ გაანგარიშებითი მოგების სიდიდე ფასდაკლების თანხით;

— საწარმოებს, რომლებსაც დამტკიცებული არა აქვთ გაანგარიშებითი მოგების ანარიცხების ნორმატივი, ფასდაკლების თანხით გაუდიდდეთ ბიუჯეტსა და საწარმოს შორის გასანაწილებელი მოგება (ამ დებულების მე-11 პუნქტი).

გარდა ამისა, აღნიშნული წესით ბიუჯეტში გადასახდელთა განსაზღვრისათვის მოგება დიდდება წარმოებიდან მოხსნილი სახალხო მოხმარების საქონლის საკომისიო საწყისებზე რეალიზაციით მიღებული დანაკარგების (ზარალის) თანხით.

15. მოგების გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტში საწარმოებს შეაქვთ დამოუკიდებლად (დეცენტრალიზებულად) სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.

16. გაანგარიშებითი მოგების ანარიცხების საგეგმო ნორმატივის გაანგარიშების და საწარმოთა ფაქტიური მოგების განაწილების წესი მოყვანილია ამ დებულების № 1, 2 და 3 დანართებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჯურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ დებულების დანართი № 1

წ ე ს ი

სახელმწიფო ბიუჯეტში გაანგარიშებითი მოგების ანარიცხების ნორმატივის გაანგარიშებისა

(ათასი მანეთი)

1. საბალანსო მოგება წლიური გეგმის მიხედვით	1200
მათ შორის:	
ა) მოგება, რომელიც წარიმართება დადგენილი წესით ფართო მოხმარების ფონდში (პუნქტი 2)*	100
ბ) მოგება, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებული წესით (პუნქტი 2)	15
2. საბალანსო მოგება წლიური გეგმის მიხედვით (გარდა მოგებისა, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებული წესით, — პუნქტი 2)	1085
3. პირველი რიგის გადასახდელები (პუნქტი 3)	200
მათ შორის:	
ა) ფონდების გადასახდელი	100
ბ) პროცენტები ბანკის კრედიტისათვის	100
4. გაანგარიშებითი მოგება (სტრიქ. 2-სტრიქ. 3)	885
5. საწარმოს საკუთარი დანახარჯები და ანარიცხები (მე-5 პუნქტის „ა“, „ლ“ ქვეპუნქტები ან მე-6 პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტები)	708
6. მოგების ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტში . . .	177(885 - 708)
7. სახელმწიფო ბიუჯეტში გაანგარიშებითი მოგების ანარიცხების ნორმატივი (პუნქტი 7), პროცენტობით	$20\left(\frac{177}{885}\times 100\right)$

*) ფრჩხილებში აღნიშნულია ამ დებულების შესაბამისი პუნქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ დებულების დანართი № 2

წ ე ს ი

მოგების განაწილებისა

(ათასი მანეთი)

	მოგების გეგმა	მოგების გეგმის ფაქტიური შესრულება		
		I	II	III
1. საბალანსო მოგების საერთო თანხა (გარდა მოგებისა, რომელსაც მიზნობრივი მიმართულება აქვს)	1085	1085	1185	1000
2. პირველი რიგის გადასახდელები	200	190	210	180
მათ შორის:				
ა) ფონდების გადასახდელი . . .	100	90	80	70
ბ) პროცენტები ბანკის კრედიტისათვის	100	100	130	110
3. გაანგარიშებითი მოგება (სტრიქ. 1- სტრიქ. 2)	885	895	975	820
4. გაანგარიშებითი მოგებიდან გამოირიცხება:				
ა) საწარმოო ფონდების გადასახდელის ეკონომია	—	10*	20*	—**
ბ) პრემიები სრულიად საკავშირო, რესპუბლიკური (მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების), სამხარეო და საოლქო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით . . .	—	—	5	—

*) საწარმოებში, რომლებსაც არ შეუსრულებიათ ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების გეგმა, საწარმოო ფონდების გადასახდელის ეკონომია არ ადიდებს ფაქტიურ გაანგარიშებით მოგებას, აღნიშნული ფაქტორის ხარჯზე მიღებული ფონდების გადასახდელის ეკონომია გადაირიცხება ბიუჯეტში.

**) საწარმოო ფონდების გადასახდელის ეკონომია მიღებულია ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების ვადების დაურღვევლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

	მოგების გეგმა	მოგების გეგმის ფაქტიური შესრულება		
		I	II	III
გ) დამატებითი ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში ხელფასის ფონდის 1 მანეთზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის საწარმოებში, სადაც აღნიშნული საქონელი შეადგენს წარმოების საერთო მოცულობის 50 პროცენტზე ნაკლებს	—	—	15	—
5. გაანგარიშებითი მოგება, რომლიდანაც ხდება ანარიცხები ბიუჯეტში (სტრიქ. 3 — სტრიქ. 4) . . .	885	885	935	820
6. სახელმწიფო ბიუჯეტში ანარიცხების ნორმატივი (პროცენტობით) . .	20	20	20	20
7. ბიუჯეტში გაანგარიშებითი მოგების ანარიცხების თანხა სტრიქ. 5 *, სტრიქ. 6 : 100)	177	177	187	164
8. გარდა ამისა, საწარმოო ფონდების გადასახდელის ეკონომია . . .	—	10	20	—
9. სულ გადასახდელები ბიუჯეტში (სტრიქ. 7 — სტრიქ. 8) . . .	177	187	207	164
10. რჩება საწარმოს განკარგულებაში (სტრიქ. 5 — სტრიქ. 7)	708	708	748	656

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის გაძღოლის ანალიზებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდის შესახებ დებულების დანართი № 3

წ ე ს ი

ბიუჯეტში ანარიცხების თანხის გაანგარიშებისა ხარისხის პირველი კატეგორიის პროდუქციის, აგრეთვე წარმოებიდან მოსახსნელი პროდუქციის საბითუმო ფასების დაკლების თანხების ბიუჯეტში ჩარიცხვისას

(ათასი მანეთი)

საწარმოებში, რომლებსაც გეგმით დაწესებული აქვთ გაანგარიშებითი მოგების ბიუჯეტში ანარიცხების ნორმატივები

1. ფაქტიური გაანგარიშებითი მოგების საერთო თანხა (პუნქტი 9)	885
2. ატესტაციის დროს პირველი კატეგორიისათვის მიკუთვნებული, აგრეთვე წარმოებიდან მოსახსნელი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის საბითუმო ფასების დაკლების თანხა, რომელიც ჩაირიცხა ბიუჯეტში საანგარიშო პერიოდში	50
3. გაანგარიშებითი მოგების ბიუჯეტში ანარიცხების ნორმატივი (პროცენტობით)	20
4. ფაქტიური გაანგარიშებითი მოგების საერთო თანხა, რომელიც მიიღება დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით ბიუჯეტში ანარიცხების ოდენობის განსაზღვრისათვის . . .	(885+50)
5. გაანგარიშებითი მოგების ბიუჯეტში ანარიცხების თანხა .	$187\frac{935X20}{100}$
6. საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფაქტიური გაანგარიშებითი მოგების თანხა	698(885—187)

საწარმოებში, რომლებსაც გეგმით არა აქვთ დაწესებული გაანგარიშებითი მოგების ბიუჯეტში ანარიცხების ნორმატივები

1. ბიუჯეტსა და საწარმოს შორის გასანაწილებელი მოგება (პუნქტი 11)	100
2. ატესტაციის დროს პირველი კატეგორიისათვის მიკუთვნებული, აგრეთვე წარმოებიდან მოსახსნელი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის საბითუმო ფასების დაკლების თანხა, რომელიც ჩაირიცხა ბიუჯეტში საანგარიშო პერიოდში	40
3. მოგება, რომელიც მიიღება ბიუჯეტში შესატანი თანხების განსაზღვრისათვის	140(100+40)
4. ბიუჯეტში შესატანი მოგების თანხა	70
5. საწარმოს განკარგულებაში დატოვებული მოგების თანხა	30(100—70)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 20 მარტის № 161 დადგ-
ნილებით

დებულება

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ფინანსური რეზერვის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ

ეს დებულება შემუშავებულია შესაბამისად სანიმუშო დებულებისა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მომუშავე მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) ფინანსური რეზერვის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ, რომელიც რეკომენდებულია დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ (1985 წლის 26 დეკემბრის № სა-628 /49-500 წერილი).

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს)*, რომლებიც ახორციელებენ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების პირობებში**, შეუძლიათ შექმნან ფინანსური რეზერვი დროებით ფინანსურ სიძნელეთა აღმოფხვრის და მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

2. საწარმოთა ფინანსური რეზერვი იქმნება შემდეგი წყაროების ხარჯზე:

ა) საწარმოთა განკარგულებაში დატოვებული თავისუფალი ფაქტიური მოგება, რომელიც გამოანგარიშებულია მისი განაწილების დადგენილი წესით;

ბ) საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების მაღალხარისხოვანი პროდუქციისა და სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის საბითუმო ფასების წამახალისებელი დანამატების ნაწილი, აგრეთვე მოწყობილობის კომპლექტური მიწოდებისათვის დანამატის ნაწილი, ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში მათი წარმართვის შესაბამისი შემცირებით;

გ) გაუმჯობესებული ხარისხის სახალხო მოხმარების ახალი საქონლით საბითუმო და საცალო ფასების დროებითი დანამატების ნაწილი, რაც რჩება საწარმოთა განკარგულებაში პრემირებისათვის;

დ) სახელშეკრულებო ფასებში სახალხო მოხმარების საქონლის პირველი საცდელი პარტიების და განსაკუთრებით მოდური ნაწარმის რეალიზაციის შე-

*) შემდგომში საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) ეწოდებათ „საწარმოები“.

**) სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 14 ივლისის № 659 დადგენილების და მის განსავითარებლად გამოცემული შემდგომი დადგენილებების, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის № 669 დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგად დამატებითი ფულადი დაგროვების ნაწილი, რაც რჩება საწარმოთა განკარგულებაში პრემირებისათვის;

ე) წლის განმავლობაში რეზერვში დატოვებული თანხები, რომლითაც შემცირდა მატერიალური წახალისების ფონდი პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა გათვალისწინებით.

3. საწარმოს ფინანსური რეზერვის საერთო თანხა, საგეგმო პერიოდის დამდეგისათვის ამ რეზერვის გარდამავალი ნაშთების ჩათვლით (ამ დებულების მე-2 პუნქტის „ე“ ლიტერით გათვალისწინებული სახსრების გარდა), არ უნდა აღემატებოდეს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის 5 პროცენტს.

4. ფინანსური რეზერვი, როგორც საწარმოთა ფულადი სახსრების ფონდი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფინანსური გეგმით გათვალისწინებული, ისევე გაუთვალისწინებელი დამატებითი დანახარჯებისათვის, რაც წარმოიშობა გეგმის შესრულების მსვლელობაში, დაწესებული ნორმატივების მიხედვით ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნასთან, შრომის ანაზღაურებასთან და კაპიტალურ დაბანდებებთან დაკავშირებული დანახარჯების გარდა.

კერძოდ, აღნიშნულ დამატებითს დანახარჯებს განეკუთვნება: საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსება და ამ მიზნით გაცემული ბანკის სესხების დაფარვა; საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის გადიდებისათვის გაცემული ბანკების კრედიტების დაფარვა; საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციის ზარალისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და პიონერბანაკების სამეურნეო მოვლა-შენახვის ხარჯების დაფარვა, როცა საწარმოს განკარგულებაში დატოვებული ფაქტიური მოგება არასაკმარისია აღნიშნული დანახარჯების დასაფინანსებლად; საგეგმო დანახარჯების დაფარვა მოგების გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, რაც იმან გამოიწვია, რომ შემცირდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმები ადრე შეკვეთილ ასორტიმენტზე სავაჭრო ორგანიზაციების უარის გამო, და ა. შ.

ფინანსური რეზერვის სახსრები ხმარდება აგრეთვე მატერიალური წახალისების ფონდში ანარიცხების გადიდებას პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმის 100 პროცენტით შესრულებისას, მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით (წინა პერიოდებში რეზერვში დატოვებული თანხების ფარგლებში).

5. ფინანსური რეზერვის დარიცხვას ახდენს საწარმოო კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით.

6. ფინანსური რეზერვის გამოუყენებელი სახსრები რჩება საწარმოთა განკარგულებაში და მათი ჩამორთმევა არ შეუძლია ზემდგომ ორგანიზაციას.

7. ფინანსურ რეზერვში საწარმოს ანარიცხების თანხები საბუღალტრო ანგარიშში აისახება 81 ანგარიშის „მოგების გამოყენება“ ან 46 ანგარიშის „რეალიზაცია“ დებეტით 88 ანგარიშის „სპეციალური დანიშნულების ფონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

.დები“ (სუბანგარიში „ფინანსური რეზერვი“) კორესპონდენციაში ფინანსური რეზერვის შექმნის წყაროს შესაბამისად.

საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შესავსებად წარმართული ფინანსური რეზერვის სახსრები საბუღალტრო აღრიცხვაში აისახება 88 ანგარიშის დებეტით და 85 ანგარიშის „საწესდებო ფონდი“ კრედიტით.

საწარმოს განკარგულებაში დატოვებული თავისუფალი ფაქტიური მოვების, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების მაღალხარისხოვანი პროდუქციის საბითუმო ფასების წამახალისებელი დანამატების და სახალხო მოხმარების საქონლის პირველი საცდელი პარტიების და განსაკუთრებით მოდური ნაწარმის რეალიზაციის შედეგად დამატებითი ფულადი დაგროვების ნაწილის ხარჯზე ფინანსურ რეზერვში ანარიცხები შეიტანება წლიური ანგარიშის № 2 ფორმის „ბალანსის დანართი“ და № 2-კვ ფორმის „საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) ძირითადი საქმიანობის კვარტალური ბალანსის დანართი“ ცალკე სტრიქონად.

გაუმჯობესებული ხარისხის სახალხო მოხმარების ახალი საქონლის ფასების დროებითი დანამატების ნაწილის ხარჯზე ფინანსურ რეზერვში ანარიცხების მონაცემებს უჩვენებენ წლიური ანგარიშის № 2 ფორმის „პროდუქციის რეალიზაცია“ და კვარტალური ანგარიშგების № 2-კვ ფორმის ცალკე სტრიქონად.

ფინანსური რეზერვის სახსრების მოძრაობა აისახება წლიური ანგარიშის № 10 ფორმის „სპეციალური ფონდებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახსრების მოძრაობა“ ცალკე სტრიქონად.

8. საწარმოს ფინანსური რეზერვის სახსრები ინახება განსაკუთრებულ ანგარიშზე სსრ კავშირის სახბანკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 საქართველოს სს რესპუბლიკაში საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის სამეურნეო აუცილებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის დამასაბუთებელ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახმშენის მიერ წარმოდგენილი თანდართული მითითებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის სამეურნეო აუცილებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის დამასაბუთებელ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ, რომლებიც შემუშავებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმშენის 1985 წლის 15 მაისის № 116/68 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 მარტი, № 166

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 24 მარტის № 166 დადგენილებით

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

საქართველოს სს რესპუბლიკაში საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის სამეურნეო აუცილებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის დამასაბუთებელ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ

1. ეს მითითებანი შემუშავებულია „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი სრულყოფისა და მშენებლობაში ექსპერტიზისა და საავტორო ზედამხედველობის როლის ამაღლების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 28 იანვრის № 96 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 28 ივნისის № 433 დადგენილებების, აგრეთვე „საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის სამეურნეო აუცილებლობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის დამასაბუთებელ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ მითითებათა დამტკიცების თაობაზე" სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმშენის 1985 წლის 16 მაისის № 116/78 დადგენილების შესაბამისად.

მითითებანი განსაზღვრავენ იმ საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციის, ტექნიკური კვლავაღჭურვის *) ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შედგენილობას, მათი შემუშავებისა და დამტკიცების წესს, რომლებისთვისაც არ მუშავდება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებანი.

2. იმ საწარმოთა და ნაგებობათა ნუსხებს, რომლებისთვისაც უნდა შემუშავდეს ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებანი, ამტკიცებენ:

— თუ აღნიშნული ობიექტების მშენებლობის ღირებულებაა 4 მილიონი მანეთი და მეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, და წარედგინება დამფინანსებელ ბანკს, ხოლო ასლი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

— თუ აღნიშნული ობიექტების მშენებლობის ღირებულებაა 2 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი;

— თუ აღნიშნული ობიექტების მშენებლობის ღირებულებაა 2 მილიონ მანეთამდე — სამინისტროები, უწყებები. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

3. 4 მილიონ მანეთზე ნაკლები ღირებულების საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შე-

---

*) შემდგომში ეწოდება „მშენებლობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშავებისა და დამტკიცებისას უნდა იხელმძღვანელონ ძირითადად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმშენის 1985 წლის 24 აპრილის № 95/60 დადგენილებით დამტკიცებული მითითებებით მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ (მე-4 პუნქტის უკანასკნელი აბზაცის ,მე-11 პუნქტის მე-2 აბზაცის და მე-17, მე-20 და 21-ე პუნქტების გარდა), აგრეთვე შემდეგი დებულებებით:

— ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა შედგენილობა და შინაარსი შეიძლება შეამცირონ სამინისტროებმა და უწყებებმა ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა შედგენილობისა და შინაარსის შესაბამისად საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების სპეციფიკის და მათ გამო არსებული საწყისი მონაცემების (მათ შორის ანალოგიური ობიექტების მონაცემების) სისრულის კვალობაზე;

— დამტკიცებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებაში გათვალისწინებული მშენებლობის გაანგარიშებული ღირებულება (საჭიროების შემთხვევაში საიჯარო ორგანიზაციასთან შეთანხმებული) მხედველობაში მიიღება კაპიტალური მშენებლობის გეგმების შედგენისას და არ უნდა იქნეს გადამეტებული შემდგომში საწარმოს, შენობისა და ნაგებობის დაპროექტებისა და მშენებლობის დროს;

— საწარმოს, შენობის, ნაგებობის მშენებლობისათვის მოედნის (ტრასის) შერჩევა და შეთანხმება იმ შემთხვევაში, როცა მისი სპეციფიკური პირობები (ჰიდროგეოლოგიური, ტოპოგრაფიული, სეისმური და სხვ.) საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მშენებლობის გაანგარიშებული ღირებულების ზუსტი განსაზღვრისათვის, ხდება იმავე წესით, როგორც ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემუშავებისას. დანარჩენ შემთხვევებში მოედანი (ტრასა) შეირჩევა საჭიროების კვალობაზე საინჟინრო კვლევაძიების მინიმალური მოცულობის განხორციელების შედეგად მოცემული საწარმოს, შენობის, ნაგებობის მშენებლობისათვის მისი გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით, ხოლო მოედნის (ტრასის) შერჩევა და შეთანხმება ხდება პროექტის (სამუშაო პროექტის შემუშავებისას) საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენილობის, შემუშავების, შეთანხმებისა და დამტკიცების წესის შესახებ სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად;

— ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების შემუშავება იწყება მშენებლობის დაწყებამდე 2-4 წლით ადრე საწარმოს, შენობის, ნაგებობის დაპროექტებისა და მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმალური ვადების შესაბამისად.

4. საწარმოს, შენობის, ნაგებობის მშენებლობის შემუშავებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებას განიხილავენ (ექსპერტიზის ჩატარებით):

— თუ მშენებლობის ღირებულებაა 4 მილიონი მანეთი და მეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო (საქართველოს სსრ სახმშენის მიერ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ექსპერტიზის ჩატარებით);

— თუ მშენებლობის ღირებულებაა 2 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სახმშენი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად;

— თუ მშენებლობის ღირებულებაა 2 მილიონ მანეთამდე — სამინისტროები, უწყებები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

5. საწარმოს, შენობის, ნაგებობის მშენებლობის შემუშავებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებას ამტკიცებენ:

— თუ მშენებლობის ღირებულებაა 4 მილიონი მანეთი და მეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო (საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგენით);

— თუ მშენებლობის ღირებულებაა 2 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად);

— თუ მშენებლობის ღირებულებაა 2 მილიონ მანეთამდე — სამინისტროები, უწყებები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ცალკეულ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის შემუშავებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებებს განიხილავს (საქართველოს სსრ სახმშენის მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ექსპერტიზის ჩატარებით) და ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო (საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგენით) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 საქართველოს სს რესპუბლიკაში 4 მილიონ მანეთზე ნაკლები გაანგარიშებული ღირებულების საწარმოებისა და ნაგებობების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა დამტკიცების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახმშენის მიერ წარმოდგენილი თანდართული მითითებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში 4 მილიონ მანეთზე ნაკლები გაანგარიშებული ღირებულების საწარმოებისა და ნაგებობების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა წესის შესახებ, რომლებიც შემუშავებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმშენის 1985 წლის 24 აპრილის № 95/60 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 მარტი, № 167

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 24 მარტის № 167 დადგენილებით

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

საქართველოს სს რესპუბლიკაში 4 მილიონ მანეთზე ნაკლები გაანგარიშებული ღირებულების საწარმოებისა და ნაგებობების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა დამტკიცების წესის შესახებ

1. ეს მითითებანი შემუშავებულია „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 აპრილის № 387 დადგენილების, „საპროექტო-საძიებო-საძიებო-საძიებო-ალიცხვო საქმის შემდგომი სრულყოფისა და მშენებლობაში ექსპერტიზისა და საავტორო ზედამხედველობის როლის ამაღლების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 28 იანვრის № 96 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 28 ივნისის № 433 დადგენილებების, აგრეთვე „დიდი და რთული საწარმოებისა და ნაგებობების (ხოლო საჭიროების კვალობაზე აგრეთვე სხვა ობიექტების) მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ მითითებათა დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმშენის 1985 წლის 24 აპრილის № 95/60 დადგენილების შესაბამისად.

2. შემუშავებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს განიხილავენ:

— თუ მშენებლობის გაანგარიშებული ღირებულებაა 2 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სახმშენი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად;

— თუ მშენებლობის გაანგარიშებული ღირებულებაა 2 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

3. გადაწყვეტილებებს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა დამტკიცების შესახებ **მიიღებენ:**

— თუ მშენებლობის გაანგარიშებული ღირებულებაა 2 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად;

— თუ მშენებლობის გაანგარიშებული ღირებულებაა 2 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

ს ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 მარტი, № 168

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 24 მარტის № 168 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. მუშათა, მოსამსახურეთა, აგრეთვე სხვა მოქალაქეთა რიცხვიდან ახალგაზრდა ოჯახების ბინადრობისათვის მუშაობის პერიოდში შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთო საცხოვრებლები, რომლებიც იქმნება საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან.

საერთო საცხოვრებლებისათვის გამოიყენება ამ მიზნით სპეციალურად აშენებული ან გადაკეთებული საცხოვრებელი სახლები.

2. საერთო საცხოვრებლებისათვის ახლად აშენებულ ან ამ მიზნით გადაკეთებულ საცხოვრებელ სახლებში ჩასახლება ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების შესაბამისად. აღმასკომი აძლევს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ორდერს საერთო საცხოვრებელში ჩასახლების უფლებაზე, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც აღინიშნება საერთო და საცხოვრებელი ფართობის ოდენობა და ოთახების რიცხვი, № 1 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით.

3. საერთო საცხოვრებლებს იქ მობინადრე მოქალაქეთა ცხოვრების, მეცადინეობისა და დასვენებისათვის საჭირო ავეჯით, საოჯახო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საგნებით აკომპლექტებენ ის საწარმოები, დაწესებულებანი, ორგანიზაციები, რომელთაც საერთო საცხოვრებლები ექვემდებარებიან. ავეჯი, ლოგინ-ქვეშაგები და სხვა ინვენტარი საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ პირებს ეძლევათ ხელწერილით.

საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ პირებს კომენდანტთან ან მისი ფუნქციის შემსრულებელ მუშაკთან შეთანხმებით შეუძლიათ გამოიყენონ აგრეთვე თავიანთი პირადი ინვენტარი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საგნები.

ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლის მოწყობა-აღჭურვა და მოვლა-შენახვა უნდა შეესაბამებოდეს საერთო საცხოვრებლების მოწყობა-აღჭურვისა და მოვლა-შენახვის სანიტარიულ წესებს.

4. საცხოვრებელი სადგომები ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლებში უნდა იყოს ოთახის ტიპისა, როცა თითოეულ მობინადრე ოჯახს ეძლევა ცალკე ოთახი ყოველგვარი ან ნაწილობრივი მოწყობილობით. ოთახის ტიპის საერთო საცხოვრებლები არ შეიძლება აირიოს სხვა ტიპის საერთო საცხოვრებლებში.

ოთახის ტიპის საერთო საცხოვრებლად შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებელი სახლი ერთოთახიანი დაგეგმარებით.

თუ საერთო საცხოვრებელში მცხოვრების ოჯახი სამზე მეტი სულისაგან შედგება, მას შეიძლება მიეცეს ოროთახიანი საცხოვრებელი სადგომი.

5. საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართობი ეძლევათ ახალგაზრდა ოჯახებს მუშაობის დროისათვის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის, პროფკავშირის კომიტეტისა და კომკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, საერთო საცხოვრებლებისათვის დაწესებული ნორმების დაცვით.

ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლებში ერთ მცხოვრებზე საცხოვრებელი ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 8 კვადრატულ მეტრს.

მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაცია ახალგაზრდა ოჯახს აძლევს ორდერს საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართობის დასაკავებლად № 2 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია აწარმოებს საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართობის დასაკავებლად ახალგაზრდა ოჯახებისათვის მიცემული ორდერების აღრიცხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ახალდაქორწინებულებს, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ 30 წლამდე ასაკში, პირველ რიგში ეძლევათ ცალკე ოთახები საერთო საცხოვრებლებში, რომლებიც აშენებულია სპეციალური ტიპობრივი პროექტების მიხედვით მცირეოჯახიანთა და ახალდაქორწინებულთათვის, ხოლო მათი არარსებობისას — ცალკე ოთახები ჩვეულებრივ საერთო საცხოვრებლებში.

7. ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით საერთო საცხოვრებლიდან წასულ პირებს კვლავ უნდა მიეცეთ საცხოვრებელი ფართობი საერთო საცხოვრებელში იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ დაუბრუნდებიან იმავე საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას.

ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვეული პირის ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლება სამხედრო სამსახურის გავლის მთელი პერიოდისათვის.

8. ახალგაზრდა ოჯახების ჩასახლება საერთო საცხოვრებელში და მათი ჩაწერა დადგენილი წესით ხდება ადმინისტრაციის ძიერ გაცემული ორდერის საფუძველზე.

9. ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლის შინაგანაწესი რეგულირდება იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ძიერ პროფკავშირის კომიტეტთან და კომკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცებული წესებით, რომელსაც ექვემდებარება საერთო საცხოვრებელი.

10. საერთო საცხოვრებელში წესრიგის, სისუფთავის დასაცავად და კულტურულ-მასობრივი მუშაობის განსახორციელებლად იქ მცხოვრებ მოქალაქეთა შემადგენლობით ირჩევენ საერთო საცხოვრებლის საბჭოს ,რომელიც მოქმედებს საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 5 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით საერთო საცხოვრებლის საბჭოს შესახებ.

საბჭოს ირჩევენ მობინადრეთა საერთო კრებაზე ერთი წლის ვადით და იგი მუშაობს იმ საწარმოს, დაწესებულების, ოგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ექვემდებარება საერთო საცხოვრებელი.

საერთო საცხოვრებლის საბჭოს კავშირი აქვს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციათან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ყველა საკითხზე, რომლებიც საერთო საცხოვრებელში მცხოვრები ახალგაზრდა ოჯახების ინტერესებს შეეხება.

ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლებში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის განსახორციელებლად უნდა შეიქმნას ლენინის ოთახები, წითელი კუთხეები, ოთახები საწრეო მუშაობისათვის, ჯგუფები და გაერთიანებები ინტერესების მიხედვით, სიფხიზლის კლუბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლებში უნდა მოქმედებდეს ბიბლიოთეკა.

II. ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთა უფლება-მოვალეობანი

11. საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ ახალგაზრდა ოჯახებს უფლება აქვთ:

— ისარგებლონ საერთო საცხოვრებლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სადგომებით, მოწყობილობით, ინვენტარით და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით;

— მოითხოვონ საერთო საცხოვრებლის მოწყობილობის, ავეჯის, ლოგინ-ქვეშაგებისა და სხვა ინვენტარის დროულად გამოცვლა, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა;

— აირჩიონ საერთო საცხოვრებლის საბჭო და არჩეულ იქნენ მის შემადგენლობაში, მონაწილეობა მიიღონ საერთო საცხოვრებელში ყოფა-ცხოვრების, კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის ორგანიზაციის საკითხთა განხილვაში და შეიტანონ თავიანთი წინადადებანი.

12. საერთო საცხოვრებელში მცხოვრები ახალგაზრდა ოჯახები მოვალენი არიან:

— მკაცრად დაიცვან საერთო საცხოვრებლის შინაგანაწესი;

— მზრუნველობით მოეპყრან საერთო საცხოვრებლის კონსტრუქციულ ელემენტებს, ინვენტარს, უზრუნველყონ მისი სადგომების, სანიტარიულ-ტექნიკური და სხვა მოწყობილობის მოვლა;

— დაიცვან სისუფთავე და წესრიგი საწოლ ოთახებში, სადარბაზოებში, ლიფტის კაბინებში, კიბის უჯრედებზე და საერთო საცხოვრებლის საერთო სარგებლობის სხვა ადგილებში, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიაზე;

— ეკონომიურად დახარჯონ თბოენერგია და ელექტროენერგია, წყალი, გაზი, ამასთან არ დაუშვან მათი გაყონვა-გადინება და უყაირათო ხარჯვა;

— დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების წესები ელექტრო, გაზისა და სხვა ხელსაწყოების, აგრეთვე რადიო და სატელევიზიო აპარატების გამოყენებისას;

— ჩააბაროს საერთო საცხოვრებლის შემნახველ საკანში პირადი ნივთები, რომელთაც ყოველდღიურად არ ხმარობენ;

— დროულად შეიტანონ საერთო საცხოვრებელში ცხოვრების გადასახდელი დაწესებული ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საერთო საცხოვრებლიდან წასულმა ოჯახებმა უნდა გადასცეს კომენდანტს ან მისი ფუნქციის შემსრულებელ მუშაკს ავეჯი, ლოგინ-ქვეშაგები და სხვა ინვენტარი.

საერთო საცხოვრებლიდან წასული ოჯახი, რომელსაც არ გადაუცია ავეჯი, ლოგინ-ქვეშაგები ან დაუშვა მათი გაფუჭება, მოვალეა დადგენილი წესით აანაზღაუროს საერთო საცხოვრებლისათვის მიყენებული ზარალი.

14. ოჯახიანთა საერთო საცხოვრებელში მოსული გარეშე პირები მოვალენი არიან დაიცვან იქ დადგენილი წესი.

15. საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთ ეკრძალებათ:

— თვითნებურად გადასახლდნენ ერთი ოთახიდან მეორეში;

— შემინონ და ჩახერვონ საოჯახო მოხმარების საგნების აივნები, სახანძრო გასასვლელები, საერთო დერეფნები, კიბის უჯრედები და სათადარიგო გასასვლელები, გამოკიდონ ტანსაცმელი, თეთრეული, ხალიჩები;

— შეინახონ სადგომებში, კიბის უჯრედებზე, აივნებზე ადვილაალებადი ნივთიერებანი, აფეთქებასაფრთხიანი მასალები და ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებანი;

— ჩაყარონ ნაგავსატართა სარქველებში დიდგაბარიტიანი საგნები, ჩააცხან სითხეები, თხევადი საკვების ნარჩენები, ჩააგდონ ჩაუქრობელი ნამწვი, ასანთი და სხვა საგნები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ნაგავსატარის გაჭედვა ან ნაგვის წვა;

— ჩართონ გადიდებული ხმით საერთო საცხოვრებელში და მის ტერიტორიაზე 23 საათიდან დილის 7 საათამდე სატელევიზიო და რადიოაპარატურა, ხმამაღლა დაუკრან მუსიკალური ინსტრუმენტები, აგრეთვე ხმამაღლა იმღერონ და გამოიწვიონ სხვა ხმაური, რაც არღვევს მოქალაქეთა სიმშვიდესა და მყუდროებას.

16. საერთო საცხოვრებელში მცხოვრები ახალგაზრდა ოჯახები მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ:

— საერთო საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანებასა და მწვანე ნარგავების დაცვაში;

— სპორტული მოედნების მოწყობაში, რემონტსა და ჯეროვნად მოვლა-პატრონობაში;

— საერთო საცხოვრებლის, საწოლი ოთახების სანიმუშო მოვლა-პატრონობისა და ყოფა-ცხოვრების მაღალი კულტურისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში;

— საერთო საცხოვრებლის სადარბაზოებში და მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად დაწესებულ რეგულარულ მორიგეობაში.

17. საერთო საცხოვრებლებში მცხოვრები მოქალაქეები მოვალენი არიან ტანსაცმელი, ხალიჩები, ფეხსაწმენდები, ლოგინ-ქვეშაგები გაწმინდონ მხოლოდ სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ მოედნებზე.

18. ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლებში ცალკე საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობა ხორციელდება საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესების შესაბამისად, საერთო ხოვრებელი სადგომის ქირავნობის შესახებ წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

III. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და საერთო საცხოვრებლის კომენდანტის მოვალეობანი

19. იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, რომელსაც ექვემდებარება საერთო საცხოვრებელი, პასუხისმგებელია საერთო საცხოვრებლის სწორი ექსპლუატაციისა და სანიტარიული მდგომარეობისათვის, იქ დადგენილი წესის დაცვისათვის, მობინადრეთა ყოფა-ცხოვრებისა და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის.

20. საჭიროების კვალობაზე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს პროფკავშირის კომიტეტთან, კომკავშირის კომიტეტთან და საერთო საცხოვრებლის საბჭოსთან შეთანხმებით გადაასახლოს საერთო საცხოვრებელში მცხოვრები პირები (ოჯახის წევრებითურთ) იგივე ან სხვა საერთო საცხოვრებლის სხვა საცხოვრებელ სადგომებში.

თუ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები უარს ამბობს სხვა საცხოვრებელ სადგომში გადასახლებაზე, დავა წყდება სასამართლო წესით.

21. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა:

— აღჭურვოს და მოუაროს საერთო-საცხოვრებელს დადგენილი სანიტარიული წესების, საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების შესაბამისად;

— დააკომპლექტოს საერთო საცხოვრებელი ავეჯით, ლოგინ-ქვეშაგებითა და სხვა ინვენტარით დაწესებული საგეგმო ნორმების მიხედვით;

— უზრუნველყოს საერთო საცხოვრებლის მოვლა-პატრონობისა და იქ კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის განხორციელების ხარჯების დროულად დაფინანსება;

— დროულად ჩაატაროს საერთო საცხოვრებლის შენობის, მისი საინჟინრო მოწყობილობის, საცხოვრებელი სადგომებისა და საერთო სარგებლობის ადგილების ინვენტარის საჭირო კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, აძასთან საცხოვრებელი სადგომების, დერეფნების, კიბის უჯრედების კედლებისა და ჭერის შეთეთრება, კარ-ფანჯრების, ჩაშენებული კარადების, კიბის უჯრედების მოაჯირების შეღებვა მოახდინოს სამ წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო სამზარეულოების, პირსაბანებისა და სხვა დამხმარე სათავსების კედლებისა და ჭერის შეთეთრება, მათი კარ-ფანჯრების შეღებვა — წელიწადში ერთხელ მაინც.

ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლისათვის გათვალისწინებული სადგომების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი ტარდება იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახსრების ხარჯზე, რომელსაც ექვემდებარება საერთო საცხოვრებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობინადრეთა მიზეზით დაზიანებული საცხოვრებელი სადგომების ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების (ჩამსხვრეული მინა, გატეხილი კარ-ფანჯრები და სხვ.) რემონტი ტარდება დამნაშავეთა ხარჯზე;

— უზრუნველყოს, რომ საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ ახალგაზრდა ოჯახებს მიეცეთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სადგომები და გაეწიოთ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება დაწესებული ნორმების მიხედვით;

— დააკომპლექტოს საერთო საცხოვრებელი მომსახურე პერსონალით დამტკიცებული საშტატო განრიგის თანახმად;

— განახორციელოს საერთო საცხოვრებელში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი, დროულად მიიღოს ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

22. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან და კომკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით ნიშნავს საერთო საცხოვრებლის კომენდატს.

იმ შემთხვევაში, თუ საშტატო განრიგით კომენდანტი გათვალისწინებული არ არის, მისი ფუნქციები ეკისრება დადგენილი წესით საწარმოს, დაწესებულების ორგანიზაციის ერთ-ერთ მუშაკს .

23. საერთო საცხოვრებლის კომენდანტი მოვალეა:

— მოახდინოს საერთო საცხოვრებელში ჩასახლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩასასახლებელ ოჯახს ექნება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ პროფკავშირის კომიტეტთან და კომკავშირის კომიტეტთან ერთად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაციის მიერ გაცემული ორდერი, აგრეთვე ჩაწერისათვის საჭირო დოკუმენტები;

— უზრუნველყოს სისუფთავე საერთო საცხოვრებელში და მის ტერიტორიაზე, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და გაზით, ელექტროსაყოფაცხოვრებო და გასათბობი ხელსაწყოებით სარგებლობის წესების დაცვა;

— მისცეს მობინადრეებს საჭირო ინვენტარი (საწოლი, ლოგინ-ქვეშაგები, ავეჯი);

— უზრუნველყოს ლოგინ-ქვეშაგების დროულად გამოცვლა (ათ დღეში ერთხელ მაინც), გარეცხვა და დეზინფექცია;

— უზრუნველყოს საერთო საცხოვრებლის მოწყობილობისა და ინვენტარის, აგრეთვე იქ მცხოვრები ოჯახების პირადი ქონების დაცვა-შენახვა;

— დროულად წარუდგინოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას წინადადებანი საერთო საცხოვრებლებში მცხოვრები ახალგაზრდა ოჯახების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

IV. გამოსახლება საერთო საცხოვრებლიდან

24. ახალგაზრდა ოჯახი, რომლის წევრები მუშაობენ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, რომელმაც მისცა მათ ფართობი საერთო სა-

ბოვრებელში მუშაობასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად იმ შემთხვევაში, თუ ცოლი და ქმარი ერთდროულად დაითხოვეს არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილისამებრ ან შრომის დისციპლინის დარღვევის ანდა დანაშაულის ჩადენისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად პროკურორის სანქციით გამოსახლებას ექვემდებარებიან პირები, რომელთაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი სადგომები საერთო საცხოვრებლში.

25. სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლიდან არ შეიძლება გამოსახლებულ იქნენ:

— ომის ინვალიდთა და იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან სხვა ინვალიდთა ოჯახები, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დასაცავად ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა სამხედრო სამსახურში ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად;

— სსრ კავშირის დასაცავად ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები;

— სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები;

— სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითი და უფროსთა შემადგენლობის იმ პირთა რიცხვიდან ინვალიდთა ოჯახები, რომლებიც დაინვალიდდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

— იმ პირთა ოჯახები, რომლებმაც არანაკლებ 10 წელი იმუშავეს საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, საიდანაც მიეცათ მათ საცხოვრებელი ფართობი საერთო საცხოვრებელში;

— საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციასთან ანდა მუშაკთა რაოდენობის ან შტატის შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნილ პირთა ოჯახები;

— იმ გარდაცვლილი მუშაკის ოჯახები, რომელსაც მიეცა საცხოვრებელი ფართობი საერთო საცხოვრებელში;

— შრომის I და II ჯგუფის ინვალიდთა, სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა რიცხვიდან I და II ჯგუფის ინვალიდთა ოჯახები;

— მარტოხელა პირები მათთან ერთად მცხოვრები არასრულწლოვანი შვილებითურთ.

V. საერთო საცხოვრებლის სადგომებით სარგებლობისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელი

26. ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლებში მცხოვრები ოჯახები იხდიან სადგომებით სარგებლობისათვის, აგრეთვე კომუნალური მომსახურებისათვის საერთო საფუძველზე იმ ტარიფების მიხედვით, რომლებიც დაწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის [illegible] საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობისათვის.

თუ ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებელთა სადგომებში ცენტრალური გათბობა არაა, საცხოვრებელ სადგომებს ათბობენ თვით მობინადრენი საკუთარ ხარჯზე შეძენილი სათბობით.

27. თუ ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებელში რამდენიმე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაკები ცხოვრობენ, მობინადრენი იხდიან დადგენილი წესით დამტკიცებული ტარიფების მიხედვით, ხოლო ლოგინ-ქვეშაგებისა და ინვენტარის ექსპლუატაციის, რემონტის, შეძენის ხარჯებს საერთო საცხოვრებლის მფლობელს უნაზღაურებს დაკავებული ფართობის პროპორციულად ყველა ის საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელთა მუშაკებიც იქ ცხოვრობენ.

28. თუ საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ ოჯახებს მიეცემათ სარგებლობაში მტვერსასრუტები, სარეცხი მანქანები ან საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საგნები, მათი სარგებლობისათვის ისინი დამატებით იხდიან იმ ტარიფების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია შესაბამისი მომსახურებისათვის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

29. საერთო საცხოვრებლის სადგომით სარგებლობისათვის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის საერთო საცხოვრებელში მცხოვრებნი იხდიან ყოველთვიურად ნაცხოვრები თვის არა უგვიანეს ათი რიცხვისა.

10 რიცხვის შემდეგ ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადახდეთ საურავი ვადაგადაცილებული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 24 მარტის № 168 დადგენილებით დამტკიცებული ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლების დებულების დანართი № 1

(წინა მხარე)

_____ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი

ო რ დ ე რ ი № _____

საერთო საცხოვრებელზე

გაცემულია 19____ წლის „____“ _____

_____

(ორგანიზაციის დასახელება)

საერთო საცხოვრებელში ჩასასახლებლად მისამართით: _____

(რაიონი, ქალაქი,

_____ სახლი № _____ საერთო ფართობი _____ კვადრატული დაბა)

მეტრი _____ ოთახის შემადგენლობით, საერთო საცხოვრებელი ფართობი

_____ კვადრატული მეტრი.

ორდერის გაცემის საფუძველი: _____ სახალხო დეპუტატთა საბ-

ჭოს აღმასკომის 19____ წლის „_____“ _____ გადაწყვეტილება.

(უკანა მხარე)

საერთო საცხოვრებელს, რომელიც ნებადართულია გადაეცეს საექსპლუატაციოდ, აქვს:

ა) ოთახის ტიპის _____ სადგომი _____ კვადრატული

(სიტყვებით)

მეტრი საცხოვრებელი ფართობით. ოთახების ნომრები _____

_____

ბ) საწოლის ტიპის _____ სადგომი _____ კვადრატული

(სიტყვებით)

მეტრი საცხოვრებელი ფართობით.

ადგილების რაოდენობა _____, ოთახების ნომრები _____

(სიტყვებით)

_____

სახალხო დეპუტატთა საბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარე

(ხელმოწერა)

(ბეჭედი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 მარტის № 168 დადგენილებით დამტკიცებული ახალგაზრდა ოჯახების საერთო საცხოვრებლების დებულების დანართი № 2

(წინა მხარე)

(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება)

ᲝᲠᲓᲔᲠᲘ № ——— ᲡᲔᲠᲘᲐ № ———

(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება)

კუთვნილ საერთო საცხოვრებელში ჩასახლების უფლებაზე

ქალაქი (ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი) ———

მოქ. ———

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ეძლევა ადგილი (ოთახი) № ——— საერთო საცხოვრებელში, ——— ქ.,

სახლი № ———, ოთახი № ———, საერთო ფართობი ——— კვადრატული მეტრი, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი ——— კვადრატული მეტრი, აქვს ———

(აღინიშნოს კეთილმოწყობის სახეობანი)

სართული ———

(უკანა მხარე)

———ოჯახი, რომლის წევრები ეწერებიან მოცემულ ოთახში, შედგება ——— სულისაგან:

(გვარი, სახელი, მამის სახელი, ნათესაური ურთიერთობა, დაბადების წელი)

ორდერი გაცემულია ———

(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება)

——— ადმინისტრაციის, პროფკავშირის კომიტეტისა და კომკავშირის კომიტეტის 19——— წლის „———“ ——— № ——— ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

——— ხელმძღვანელი

(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის)

(ბეჭედი) მიმღების ხელმოწერა

19——— წლის „———“ ———

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 საქართველოს სსრ კანონთა წიგნის V კარის — „კანონმდებლობა მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ“ — მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის V კარის — „კანონმდებლობა მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ“ — მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 15 მაისის № 95 დადგენილება „სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის თანამშრომელთათვის ბოროტმოქმედებით მოპოვებული ქონების აღმოჩენისათვის ჯილდოს დაწესების შესახებ“ (საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1923 წ. № 1, მუხ. 39);

— საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 6 აგვისტოს № 30 დადგენილება „იმ აქტების დამტკიცების წესის შესახებ, რაც უკვე ქმნილია უმცროს სახალხო ნოტარიუსთან, ხოლო არ დამტკიცებულა სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სამოქმედოდ შემოღების დღემდე“ (საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1924 წ. № 3-4, მუხ. 18);

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 13 ოქტომბრის № 233 დადგენილება „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს განკარგულებაში საუწყებო მილიციის შესანახად სპეციალური სახსრების შექმნის შესახებ“ (საქართველოს კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1931 წ. № 22, მუხ. 233);

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 19 აპრილის № 177 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ზომამცირე გემების რეგისტრაციის, აღრიცხვის, ტექნიკური შემოწმებისა და ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 მარტი, № 174

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 საქართველოს სსრ კანონთა წიგნის IV კარის — „კანონმდებ-ლობა სახალხო მეურნეობის შესახებ“ — მომზადებასთან და-კავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დად-გენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის IV კარის — „კანონმდებლობა სახალხო მეურნეობის შესახებ“ — მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 16 ნოემბრის № 1625 დადგენილება „საქართველოს სარეწაო საბჭოს და ინვალიდთა კოოპერაციის ავტოსატრანსპორტო არტელების მუშაობის მოწესრიგების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 24 ოქტომბრის № 704 დადგენილება „თბილისის საქალაქო საბჭოს ქალაქის საგაზო ტექნიკური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 18 აპრილის № 169 დადგენილება „თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოს წესდების დამტკიცების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 25 დეკემბრის № 641 დადგენილება „თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოს წესდების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 მარტი, № 175

18 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პროგლემათა მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 აგვისტოს № 602 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 მარტი, № 177

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 24 მარტის № 177 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების მუდმივმოქმედი კომისიის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისია შექმნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 6 მაისის № 415 დადგენილებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების მუდმივმოქმედი კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში ცვლილებები შეიტანება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით კომისიის თავმჯდომარის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების მუდმივმოქმედი კომისიის ძირითადი ამოცანებია სამუშაოთა კოორდინაცია:

— რესპუბლიკის მიწების მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური და რაციონალური გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული სქემის შესადგენად წინადადებათა შემუშავებისათვის;

— შექმნილი ეკოლოგიური პირობების მაქსიმალური შენარჩუნების გათვალისწინებით კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების პრობლემებზე ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის;

— სარწყავი და დაშრობილი მიწების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენებისათვის, მელიორირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ცალ-ცალკე აღრიცხვის შემოღებით;

— რესპუბლიკის მიწების მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების სამუშაოთა სრულყოფის მიზნით ღონისძიებათა შემუშავებისათვის, და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს თავისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად;

— მელიორაციისა და წყალსამეურნეო მშენებლობის საკითხებზე რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა და სხვა გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების მუდმივმოქმედ კომისიას უფლება აქვს:

— კოორდინაცია და კონტროლი გაუწიოს იმ სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საპროექტო და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც მელიორაციისა და წყალსამეურნეო მშენებლობის პრობლემებზე მუშაობენ;

— მიიწვიოს სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სპეციალისტები რესპუბლიკის მელიორაციასა და წყლის რესურსების კომპლექსურ გამოყენებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და დასამუშავებლად;

— მოსთხოვოს სამინისტროებსა და უწყებებს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების საკითხებთან დაკავშირებული ყველა სათანადო ცნობისა და მასალების წარდგენა.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებანი და მითითებანი მისი კომპეტენციის ფარგლებში სავალდებულოა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, წინადადებანი წარედგინება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების პრობლემათა მუდმივმოქმედი კომისია:

— რეგულარულად (ყოველკვარტალურად) მოწვეულ სხდომებზე, აგრეთვე ოპერატიული წესით განიხილავს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით რესპუბლიკის მიწების მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის ძირითად საკითხებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს; მოისმენს იმ სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო და სამეურნეო ორგანიზაციების ინფორმაციებს, რომლებიც რესპუბლიკის მელიორაციისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების საკითხებზე მუშაობენ, აგრეთვე განიხილავს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებს;

— გასცემს მითითებებს იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწების მელიორაციასა და წყლის რესურსების კომპლექსურ გამოყენებას.

---

19 საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დებულების, მმართველობის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის დამტკიცების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლად მშენებლობის განმხორციელებელი ორგანიზაციები და საწარმოები გამოიყო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობიდან და გადაეცა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული:

— დებულება საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მმართველობის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა 1986 წლისათვის 298 ერთეულის რაოდენობით, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსთან.

2. საწარმოო საქმიანობაში პარალელიზმის ლიკვიდაციისა და ქვედანაყოფთა გამსხვილების მიზნით ნება დაერთოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შექმნას, გააერთიანოს, სხვა ადგილზე გადაიყვანოს და გააუქმოს დადგენილი წესით ცალკეული საქვეუწყებო ქვედანაყოფები (ტრესტები, მოძრავი მექანიზებული კოლონები, სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალიზებული სამმართველოები) დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობისა და მისი შენახვისათვის გათვალისწინებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

3. შეიქმნას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველო 16 კაცის საშტატო რიცხოვნობით სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ანარიცხების ხარჯზე.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 მარტის № 154 დადგენილება „საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დებულების, მმართველობის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 28 მარტი, № 191

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 28 მარტის № 191 დადგენილებით

დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ხელმძღვანელობს მშენებლობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამუშავებს მშენებლობის ორგანიზაციის საერთო საკითხებს, კოორდინაციას უწევს დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებს.

2. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ყოველმხრივი განვითარება;

— საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებათა დროულად შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის ზუსტი დაცვის უზრუნველყოფა;

— სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვა და მშენებლობის ვადების შემცირება;

— სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და გამოსაშვები სამრეწველო პროდუქციის ხარისხის განუწყვეტელი ამაღლება სამშენებლო წარმოების ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის საფუძველზე;

— შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდის უზრუნველყოფა;

— ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის და სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის გამოშვების სრულყოფა, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა;

— მშენებლობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა გამსხვილება და შემდგომი სპეციალიზაცია;

— მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარება, პროგრესულ საპროექტო გადაწყვეტილებათა დანერგვა;

— სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— მოგების და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულება;

— მართვის ეკონომიკური მეთოდების როლის ამაღლება, სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის გასაფართოებლად მყარი ეკონომიკური პირობების შექმნა, დაგეგმვის, ეკონომიკური და მატერიალური სტიმულირების და სახელშეკრულებო ურთიერთობის სრულყოფა, წარმოების რენტაბელური გაძღოლისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება, შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების რაციონალური ფორმების დანერგვა;

— სამეურნეო მექანიზმისა და საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფა, რაც ხელს უწყობს წარმოების ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ერთიანობის უზრუნველყოფას, მის ორიენტაციას მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად;

— სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის განვითარება, ამ მიზნით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება;

— კომპლექსური მექანიზაციის მასშტაბის გაფართოება, ხელშრომის ყოველმხრივი შემცირება, მცირე მექანიზაციისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საშუალებათა დანერგვა;

— ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობის შემცირება;

— სამუშაო დროის დანაკარგებისა და შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევების აღმოფხვრა, ორგანიზებულობისა და მომთხოვნელობის გაძლიერება, ბრიგადული იჯარის განვითარება;

— საქვეუწყებო ქვედანაყოფების უზრუნველყოფა მუდმივი კვალიფიციური კადრებით, მუშაკთა ცოდნის და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნა, კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინური პრინციპების დაცვა, მათ შორის ხელმძღვანელ სამუშაოზე იმ სპეციალისტთა დაწინაურება, რომელთაც კარგად გამოიჩინეს თავი, შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება დაწესებულ დავალებათა შესრულებაში;

— დარგის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათი შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა, საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილების ახალი საშუალებებისა და ხერხების დანერგვა;

— შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა და მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა;

— სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება;

— დარგის მუშაკთა ეკონომიკური განათლების შემდგომი გაუმჯობესება;

— სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მისი ყაირათიანი გამოყენების უზრუნველყოფა;

— სოციალისტური კანონიერების დაცვა სამეურნეო ურთიერთობაში, სახელმეკრულებო დისციპლინის სრულყოფა და განმტკიცება, იურიდიული სამართლებრივი სამსახურის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

— გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ხელმძღვანელობს უშუალოდ მის საქვეუწყებო ქვედანაყოფებს.

4. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, მისი საქვეუწყებო ტრესტები, სახლთსაშენებელი კომბინატები, სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოები, მოძრავი მექანიზებული კოლონები, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები და სხვა საქვეუწყებო ქვედანაყოფები შეადგენენ ერთიან სისტემას, რომელიც სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას საქვეუწყებო ქვედანაყოფებში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ დადგენილი წესით განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს.

6. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, საკუთარი კაპიტალური მშენებლობისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების, ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების, შრომის გეგმების პროექტებს, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსს;

— ახორციელებს გადასვლას საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის უწყვეტ ორწლიან დაგეგმვაზე;

— უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის საგეგმო დავალებათა შესრულებას ყველა ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოფს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხიანად შესრულებას, პირველ რიგში საექსპლუატაციოდ გადასაცემ მშენებლობებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე უცხოეთის ლიცენზიების გამოყენებით კომპლექტური იმპორტული მოწყობილობის ბაზაზე მშენებარე ობიექტებზე;

— დადგენილი წესით მოაწყობს მუშაობას სატიტულო სიებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემკვეთებთან შესათანხმებლად, აგრეთვე უზრუნველყოფს შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის ანგარიშსწორების პროგრესული ფორმების დანერგვას;

— შეიმუშავებს სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა რაციონალური განვითარებისა და განლაგების სქემებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებათა გათვალისწინებით, აგრეთვე კოორდინაციას გაუწევს სხვა სამინისტროთა და უწყებათა სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოო ბაზების სიმძლავრეთა განვითარებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

— მოაწყობს სამინისტროს სისტემაში ეკონომიკურ მუშაობას, განახორციელებს სამეურნეო ანგარიშის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებებს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, ძირეული სამეურნეო ანგარიშისა — უბნებზე და ბრიგადებში;

— დააფინანსებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებსა და საწარმოებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას, მოაწყობს და გააკონტროლებს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას; განიხილავს და დაამტკიცებს საქვეუწყებო ორგანიზაციათა და საწარმოთა ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს სამინისტროს საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის პერიოდულ და წლიურ კრებსით საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, აგრეთვე განახორციელებს სამინისტროს ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საფინანსო კონტროლსა და რევიზიებს, უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას, განახორციელებს ღონისძიებებს პირველადი დოკუმენტაციისა და პირველადი აღრიცხვის შემდგომი გამარტივების, შემცირებისა და სრულყოფის, მანქანური აღრიცხვის დანერგვის მიზნით;

— შექმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად; გახსნის ბანკებში გასანაწილებელ ანგარიშებს საქვეუწყებო ქვედანაყოფებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგებისა და სხვა სახსრების გადასანაწილებლად;

— შეიტანს საჭიროების შემთხვევაში დადგენილი წესით ცვლილებებს სამინისტროს ორგანიზაციათა სამეურნეო და საფინანსო გეგმებში, მთლიანად სამინისტროს ხაზით დამტკიცებული მაჩვენებლების შეუცვლელად, ბიუჯეტის გადასახდელთა შეუმცირებლად და ბიუჯეტიდან დაფინანსების გაუდიდებლად;

— მოაწყობს სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საინჟინრო-ტექნიკურ კომპლექტაციას რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურსებით, უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურ-
რას უმნიშვნელოვანეს მშენებლობებსა და ასამუშავებელ ობიექტებზე, კონტ-
როლს გაუწევს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმის შესრულე-
ბას;

— განსაზღვრავს მოთხოვნილებას მასალებზე, მოწყობილობაზე, სატ-
რანსპორტო საშუალებებსა და სხვა რესურსებზე, მიიღებს და გაანაწილებს
დადგენილი წესით გამოყოფილ ფონდებს მომხმარებელთა შორის, კონტროლს
გაუწევს მათს რეალიზაციასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას, განავი-
თარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ და
მომხმარებელ საწარმოთა შორის, გააკონტროლებს საწარმოებისა და ორგანი-
ზაციების მიერ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასა და შესრულებას,
უზრუნველყოფს მასალების სწორ შენახვას;

— მოაწყობს მუშაობას მატერიალურ-ტექნიკური და სათბობ-ენერგეტი-
კული რესურსების ეკონომიისათვის;

— შექმნის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სუბ-
საიჯარო ორგანიზაციებისათვის საჭირო პირობებს, რომლებიც უზრუნველყო-
ფენ მათ მიერ სამონტაჟო და სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოთა დროუ-
ლად და სათანადოდ შესრულებას;

— ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას საქვეუწყებო ორგანიზაციების
მიერ კაპიტალური მშენებლობის საიჯარო და სუბსაიჯარო ხელშეკრულებათა,
აგრეთვე მიწოდების ხელშეკრულებათა დასადებად, უზრუნველყოფს ამ ხელ-
შეკრულებათა როლის ამაღლებას და განახორციელებს კონტროლს მათი
შესრულებისადმი;

— უზრუნველყოფს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის
შემუშავებასა და დანერგვას ანაზღაურების პროგრესული ფორმების გამო-
ყენებით, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების სწრაფ ზრდას,
თვითღირებულების შემცირებასა და რესურსების რაც შეიძლება უკეთ გამო-
ყენებას;

— განახორციელებს მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების, მშენებ-
ლობებზე პროგრესული პროექტებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის
ღონისძიებებს;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია
სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზის განვითარება, მშენებლობის
ორგანიზაციის გაუმჯობესება, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების,
სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობის რაციონალური გამოყე-
ნება, მათი რემონტის მოწესრიგება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, სამ-
რეწველო საწარმოთა პროდუქციის გამოშვების გადიდება, ხარისხის გაუმ-
ჯობესება და თვითღირებულების შემცირება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუ-
შაოთა თვითღირებულების შემცირება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება,
ძირითადი საბრუნავი სახსრების უფრო ეფექტიანი გამოყენება, ყველა სა-
ქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ დაგროვების გეგმების და მო-
ვების ანარიცხებისა და სხვა გადასახდელთა შესატანად ბიუჯეტის წინაშე ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისრი ვალდებულებების, აგრეთვე კაპიტალური დაბანდებების, ბიუჯეტიდან სებლად ბანკებში საკუთარი სახსრების შეტანის ვალდებულებათა შესრულება, და უზრუნველყოფს კონტროლს ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

— გაანაწილებს და გადაანაწილებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებს შორის კაპიტალურ დაბანდებებს საკუთარი მშენებლობისათვის, მასალების, მოწყობილობის, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ფონდებს, საკუთარ საბრუნავ სახსრებს, დაკრედიტების ლიმიტებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამინისტროსათვის ბანკების საკრედიტო გეგმების მიხედვით;

— მოაწყობს მშენებლობაში მოწინავე გამოცდილების ფართოდ გაცვლა-გაზიარებას, განახორციელებს მშენებლობის სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების დანერგვის ღონისძიებებს;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სამშენებლო ნორმებისა და წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვას;

— ხელმძღვანელობას გაუწევს საქვეუწყებო საპროექტო-ტექნოლოგიური საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ბიუროებისა და სხვა ანალოგიური ორგანიზაციების მუშაობას და განახორციელებს კონტროლს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი;

— შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს ახალი სამშენებლო მანქანების, მექანიზებული ინსტრუმენტისა და სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების შესაქმნელად, მონაწილეობს მათი მიღების გამოცდის ჩატარებაში;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებში დამტკიცებული გეგმების შესაბამისად საჭირო საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების, აგრეთვე მცირე მექანიზაციის იმ საშუალებათა წარმოებას, რომელთაც არ აწვდის მრეწველობა;

— მოაწყობს საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გადაზიდვას ტექნოლოგიური სპეციალიზებული ტრანსპორტითა და ნაკადებით, იმ ვარაუდით, რომ შემცირდეს შემხვედრი ტვირთზიდვის მოცულობა და რკინიგზის ვაგონების მოცდენა;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის გამომუშავების საუწყებო ნორმებსა და სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ფასდებებს, რომლებიც გათვალისწინებული არაა გამომუშავების ერთიანი ნორმებითა და ფასდებებით;

— შეიმუშავებს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით წინადადებებს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასის სისტემის გაუმჯობესების შესახებ და წარადგენს მათ დადგენილი წესით განსახილველად, კონტროლს გაუწევს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებას, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ხელფასის ფონდის სწორად ხარჯვას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო ქვედანაყოფების აპარატის სტრუქტურის სრულყოფისა და მისი შენახვის ხარჯების შემცირებისათვის;

— მოაწყობს სამინისტროს საუწყებო არბიტრაჟში საქვეუწყებო ქვედანაყოფთა შორის წამოჭრილი ქონებრივი და ხელშეკრულებისწინა დავის განხილვას;

— განახორციელებს მუშაობას ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა შერჩევის, აღზრდის, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და მათი სწორი გამოყენების მიზნით, განახორციელებს კონტროლს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ამ მუშაობის მიმდინარეობისადმი;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის, შეადგენს საქვეუწყებო სასწავლებელთა დაკომპლექტების გეგმებს კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ, მოაწყობს ამ გეგმების შესრულებას;

— მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეკონომიურად ხარჯვა, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარებას;

— მიიღებს ზომებს ორგანიზაციებსა და საწარმოებში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშენებელთა შრომის პირობების, საზოგადოებრივი კვების, სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება, სხვა კულტურულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარება;

— წარადგენს დადგენილი წესით მოწინავე მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს საპატიო წოდებების მისანიჭებლად, სახელმწიფო და საუწყებო ჯილდოების მისაღებად, გამოიყენებს სხვა სახის წახალისებებს;

— დროულად და გულდასმით განიხილავს მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს, აგრეთვე მიიღებს ზომებს საქვეუწყებო ქვედანაყოფების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— მოაწყობს მუშაობას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის გასაუმჯობესებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შექმნის, გარდაქმნის, სხვა ადგილზე გადაიყვანს და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს სტაციონარულ და მობილურ სამშენებლო, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული შრომის გეგმისა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, აგრეთვე განახორციელებს ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გადაყვანას შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან მეორეში;

— შეიმუშავებს და განახორციელებს სამინისტროს სისტემის ორგანიზაციათა და საწარმოთა სოციალური განვითარების ღონისძიებებს.

7. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს მინისტრი.

8. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს მინისტრის მოადგილეთა და სამინისტროს საქვეუწყებო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მუშაობისათვის.

9. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა საქვეუწყებო ქვედანაყოფების მიერ შესასრულებლად, და ამოწმებს მათს შესრულებას.

გამოსცემს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი:

— წარმართავს სამინისტროს აპარატის მუშაობას, პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის და ანაწილებს მოვალეობებს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა შორის;

— მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან სამინისტროს აპარატის მუშაკებს, აგრეთვე დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით — გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს; ახალისებს ამ მუშაკებს ან იყენებს მათ მიმართ სასჯელის ზომებს;

— შეაქვს ცვლილებანი სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში და ამტკიცებს მის შტატებს დაწესებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში თანამდებობრივი სარგოების სქემების დაცვით;

— ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს, რომლებშიც განისაზღვრება ამ ქვედანაყოფთა უფლებამოსილებანი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში;

— გადაჰყავს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები სამეურნეო ანგარიშზე;

— ნიშნავს პერსონალურ სარგოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული ლიმიტების ფარგლებში;

— აუქმებს საქვეუწყებო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს, თუ მათში ღარღვეულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები;

— იწვევს დადგენილი წესით სამინისტროს აქტივის თათბირებს იმ ღონისძიებათა განსახილველად და შესამუშავებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა უცილობრივ შესრულებას, სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო ქვედანაყოფების საქმიანობის გაუმჯობესებას;

— ავალებს ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტას სამინისტროს სამმართველოებს, განყოფილებებსა და საქვეუწყებო ქვედანაყოფებს.

11. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ სამინისტროს სახელით და წარმოადგენენ მის ინტერესებს.

12. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს სამშენებლო წარმოების განვითარების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულების, საქვეუწყებო ქვედანაყოფთა საქმიანობის, კადრების შერჩევის, განაწილებისა და გამოყენების ძირითად საკითხებს, ამტკიცებს მუშაკებს ნომენკლატურულ თანამდებობებზე და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ძირითად საკითხებზე, სხვა ტექნიკურ ეკონომიკურ საკითხებზე წინადადებათა განსახილველად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და დანერგვისათვის რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში იქმნება სამეცნეირო-ტექნიკური საბჭო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა და სხვა წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი.

14. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მმართველობის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

15. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ქმნის სამინისტროს ორგანიზაციათა შორის სამეურნეო დავის განსახილველად საუწყებო არბიტრაჟს, რომელსაც უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ.

საუწყებო არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს მინისტრი.

16. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 28 მარტის № 191 დადგენილებით

სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მმართველობის ცენტრალური აპარატისა 1986 წლისათვის

სტრუქტურული ქვედანაყოფების დასახელება
ხელმძღვანელობა
მინისტრი
მინისტრის პირველი მოადგილე
მინისტრის მოადგილეები
ხელმძღვანელობასთან არსებული აპარატი
იურიდიული განყოფილება
მთავარი საწარმოო-განმკარგულებელი სამმართველო
საბინაო მშენებლობის მთავარი საწარმოო სამმართველო
სამრეწველო საწარმოთა და სამშენებლო ინდუსტრიის მთავარი სამმართველო
მთავარი საგეგმო-ეკონომიკური სამმართველო
მთავარი ტექნიკური სამმართველო
სუბსიიჯარო სამუშაოთა სამმართველო
კაპიტალური მშენებლობის სამმართველო
სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის სამმართველო
ტრანსპორტის სამმართველო
საფინანსო სამმართველო
საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო
საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო
კადრების სამმართველო
შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის სამმართველო
სახარჯთაღრიცხვო-სახელშეკრულებო სამმართველო
შრომის დაცვის სამმართველო
პირველი განყოფილება
მეორე განყოფილება
სამონტაჟო სამუშაოთა განყოფილება
საქმეთა მმართველობა
კრებსითი ინფორმაციისა და ინსპექციის განყოფილება
მსხვილპანელიანი სახლთმშენებლობის განყოფილება
სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთისა და კალათბურთის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლების გახანგრძლივებული დღის სწავლების სპორტული პროფილის ფეხბურთისა დ აკალათბურთის ექსპერიმენტულ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან გაერთიანების შესახებ

მოსწავლეთა ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნის, რესპუბლიკაში მიმდინარე ექსპერიმენტის შემდგომი გაღრნავების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და გაერთიანდნენ ექსპერიმენტის წესით ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთისა და კალათბურთის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლები გახანგრძლივებული დღის სწავლების სპორტული პროფილის ფეხბურთისა და კალათბურთის შესაბამის ექსპერიმენტულ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან, ამასთან შეუნარჩუნდეთ გაერთიანებული ექსპერიმენტული სკოლების შესაბამის მუშაკებს შრომის ანაზღაურების ის პირობები, რაც დაწესებულია ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლებისათვის.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულებანი გახანგრძლივებული დღის სწავლების ფეხბურთისა და კალათბურთის ოლიმპიური რეზერვის ექსპერიმენტული საშუალო სკოლების შესახებ და მათი საშტატო განრიგები, ამასთან გაითვალისწინოს იმ მწვრთნელთა, სპორტის სხვა სპეციალისტთა, პედაგოგთა პრემიერების პირობები, რომლებიც ყველაზე მაღალ სპორტულ შედეგებს მოიპოვებენ;

— შექმნას სსრ კავშირისა და რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სრულფასოვანი რეზერვის მომზადებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

3. მოსწავლეთა შორის მასობრივი ცურვის შემდგომი განვითარების მიზნით ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამოიყენოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განთავისუფლებული მმართველობის აპარატის შენახვის ასიგნებანი და საშტატო ერთეულები ბავშვთა და მოზარდთა ცურვის ორი სპორტული სკოლის გასახსნელად ქალაქ თბილისის კიროვისა და პირველი მაისის რაიონების სასკოლათაშორისო საცურაო აუზების ბაზაზე.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს, რომ გამოუყოს 1986 წელს დადგენილი წესით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიზნობრივი დანიშნულებით გახანგრძლივებული დღის სწავლების ოლიმპიური რეზერვის ფეხბურთისა და კალათბურთის ექსპერიმენტული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სკოლებისათვის ორი სპეციალური ავტომობილი „მოსკვიჩ" ИЖ-412.

5. საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ექსპერიმენტული სკოლების ანალოგიურად ადგილებზე შესაბამისი სკოლების შექმნის შესაძლებლობა და მიზანშეწონილობის შემთხვევაში წარმოადგინონ დადგენილი წესით წინადადებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. 28 მარტი, № 197

21 საქართველოს სსრ მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების დებულების დამტკიცების შესახებ

რესპუბლიკაში მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მუშაობის შემდგომი სრულყოფის და ბავშვთა და მოზარდთა რეგულარულ მეცადინეობაში ფართოდ ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 16 აპრილი, № 246

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 16 აპრილის № 246 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბები იქმნება რესპუბლიკის საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებთან (საბინაო მეურნეობის სამმართველოები და ტრესტები, სახლთმმართველობები, კანტორები, უბნები), სპორტულ ბაზებთან და ნაგებობებთან, კულტურისა და დასვენების პარკებთან და ფუნქციონირებენ როგორც მათი დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფები.

2. თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ფიზკულტურულ-სპორტული კლუბები ხელმძღვანელობენ ამ დებულებით, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანოების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების დადგენილებებით, გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, რომლებიც გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების მუშაობას საფუძვლად უდევს საზოგადოებრიობის ფართო შემოქმედებითი ინიციატივა, კომკავშირული და შეფი ორგანიზაციების, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, სპორტული საზოგადოებების, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტების აქტიური მონაწილეობა.

II. მიზნები და ამოცანები

1. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბები იქმნება რეგულარულ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და მასობრივ-სპორტულ მეცადინეობებში ბავშვთა და მოზარდთა ფართოდ ჩაბმის, ფიზიკური წრთობის დონის ამაღლების, მაღალნაყოფიერი შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადების მიზნით.

2. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების ძირითადი ამოცანებია:

— ბავშვთა და მოზარდთა გაერთიანება სექციებში, ჯგუფებში, გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი, გამაჯანსაღებელი და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის;

— ბავშვებისა და მოზარდებისათვის იმ მისწრაფების აღზრდა, რომ ყოველდღიურად იმეცადინონ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში;

— შეჯიბრებების, კონკურსების, საჩვენებელი გამოსვლების, სპორტული დღესასწაულებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზაცია და განხორციელება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოზარდი თაობის ჯანმრთელობის განმტკიცება, მისი ფიზიკური განვითარების გაუმჯობესება, გამოწრთობა, გარემოს არახელსაყრელი პირობებისადმი ორგანიზმის გამძლეობის ამაღლება;

— თავისუფალი დროის ორგანიზებული გამოყენება აქტიური დასვენებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის, „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების მომზადება და ჩაბარება.

III. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების სტრუქტურა

1. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევენ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები, კულტურისა და დასვენების პარკები, სპორტული ბაზები, რომლებთანაც შექმნილია ისინი. მათი მუშაობის ორგანიზაციულ-მეთოდურ უზრუნველყოფას ახორციელებენ შესაბამისი სპორტკომიტეტები, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა საბჭოები, კომკავშირის კომიტეტები, სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

2. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების უმაღლესი ორგანოა კლუბის წევრთა საერთო კრება. უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების საბჭო, რომელსაც ირჩევს კლუბის საერთო კრება 2 წლის ვადით 7-11 კაცის შემადგენლობით, სადაც შედიან საბინაო-საექსპლუატაციო და შეფი ორგანიზაციების, კომკავშირის წარმომადგენლები, კულტურისა და სპორტის, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაკები და საზოგადოებრივი აქტივი.

3. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კლუბის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და პასუხისმგებელ მდივანს, საბჭოს შეჯიბრებათა ორგანიზაციისა და ჩატარების, პროპაგანდისა და აგიტაციის, მშთ. ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვის, მატერიალურ-სპორტული ბაზის კეთილმოწყობისა და განმტკიცების, სამედიცინო უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს.

IV. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების მუშაობის ორგანიზაცია

1. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების საბჭო შეფების — პროფკავშირული, კომკავშირული, ფიზკულტურული, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციების, სახალხო განათლების განყოფილებების აქტიური დახმარებითა და ფართო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებრიობის მონაწილეობით:

— ქმნის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ სექციებს, გუნდებს, ჯგუფებს, უზრუნველყოფს ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას, სამედიცინო მეთვალყურეობასა და კონტროლს მათი მუშაობისადმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქმნის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ფილიალებს და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტულ-ტექნიკური კლუბების ფილიალებს;

— ახორციელებს საზოგადოება „ცოდნასთან", სანიტარიული განათლების სახლებთან, ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან, სამედიცინო დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტით ფიზიკური კულტურისა და სპორტის, „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის, ჯანსაღი ცხოვრების წესის ფართო პროპაგანდას;

— ქმნის ფასიან (სააბონემენტო) ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ ჯგუფებს, სექციებს, გუნდებს;

— ორგანიზაციას უწევს და ატარებს კვარტალური და წლიური გეგმების შესაბამისად ტურნირებსა და კონკურსებს, სამატჩო შეხვედრებს, სპორტული დღესასწაულებს, მასობრივ შეჯიბრებებს, ტურისტულ ლონისძიებებს;

— ახორციელებს ორგანიზაციულ-ახსნა-განმარტებით და საკონსულტაციო მუშაობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამაჯანსაღებელ ფიზკულტურაში მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვთა და მოზარდთა ფართოდ ჩაბმისათვის.

2. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების საბჭოები რეგულარულად თვეში ერთხელ ატარებენ სხდომებს, რომლებიც განიხილება კლუბის მუშაობის, მოწინავე აქტივისტთა და მუშაკთა წახალისების საკითხები; საბჭოები წელიწადში ერთხელ ანგარიშს აბარებენ კლუბის კრებას.

V. ჯგუფების დაკომპლექტება და სასწავლო-საწვრთნელი პროცესის შინაარსი

1. სპორტული ჯგუფების, სექციების დაკომპლექტება ხორციელდება მომეცადინეთა სქესის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მომზადების დონის გათვალისწინებით.

ერთი ჯგუფის რიცხობრივი შემადგენლობა განისაზღვრება მომეცადინეთა კონტინგენტის შესაბამისად 18-20 კაცის ფარგლებში.

მოსამზადებელი და სპეციალური სექციებისა და ჯგუფების რიცხობრივი შემადგენლობა შეიძლება შემცირდეს 12-15 კაცამდე.

2. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ (საერთო ფიზიკური მომზადების, მშთ, „ჯანმრთელობის", ქალთა, რიტმული და ატლეტური ტანვარჯიშის, გამოწრთობის, გამაჯანსაღებელი რბენის და სხვ.) ჯგუფებში, სპორტულ სექციებში და სპორტის სახეობათა მიხედვით გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მეთოდიკური მიმართულება განისაზღვრება ჯგუფების, სექციების, გუნდების სპეციალიზაციის კვალობაზე.

3. ჯგუფის მუშაობის პროგრამა და საფუძველია მშთ ფიზკულტურული კომპლექსი, კლუბის სასწავლო-სპორტული, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი, მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი მიზანია მშთ კომპლექსის ნორმების მომზადება და ჩაბარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მეცადინეობანი ჯგუფებში, სექციებში, გუნდებში ტარდება სასტუმროებ-ტურად კვირაში სამჯერ წლის განმავლობაში. სასწავლო-საწვრთნელი პროცესის, მომეცადინეთა კონტინგენტისა და სქესის შესაბამისად თითოეული მეცადინეობის ხანგრძლივობა წესდება 45-დან 90 წუთამდე. ჯგუფებისა და სექციების, გუნდების მუშაობის გრაფიკები და განრიგები დგება სწავლისა და სამუშაოსაგან თავისუფალ დროს მეცადინეობაზე დასწრების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

5. ჯგუფების, სექციების, გუნდების სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გეგმებში გათვალისწინებულია შეჯიბრებებში მონაწილეობა, სპორტულ-ფიზკულტურული დღესასწაულების, ტურისტული ლაშქრობების, სპარტაკიადების, ოლიმპიადების ჩატარება, აგრეთვე ყველა მომეცადინის მიერ დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის სისტემატური შესრულება. ჯგუფების, სექციების, გუნდების მუშაობაში რეკომენდებულია ფართოდ იქნეს გამოყენებული მრავალფეროვანი ფიზიკური ვარჯიშები და საშუალებანი, თანამედროვე ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები.

6. ფასიანი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფებისა და სპორტული სექციების სასწავლო-საწვრთნელ, გამაჯანსაღებელ და საკონსულტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას უშუალოდ ახორციელებენ კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლები, მეთოდისტები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტრუქტორები სპორტის ვეტერანთა მიზიდვით მეცადინეობათა ცხრილების, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად.

VI. მატერიალურ-სპორტული და ფინანსური ბაზა

1. სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების, კონსულტაციების, საჩვენებელი გამოსვლებისა და შეჯიბრების ჩასატარებლად ფიზკულტურულ-სპორტული კლუბები იყენებენ:

— სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა საფუძველზე გამოყოფილ არასაცხოვრებელ სადგომებსა და შენობებს;

— საცხოვრებელი მიკრორაიონების სპორტულ ნაგებობებს;

— საშეფო ორგანიზაციათა სპორტულ ბაზებს;

— სასწავლებელთა, ორგანიზაციათა და უწყებათა ფიზკულტურულ-სპორტულ დარბაზებს, მოედნებს, ქალაქებს, სათხილამურო, საკროსე და საველოსიპედე დისტანციებს, „ჯანმრთელობის“ ტრასებს, კულტურის პარკებსა და დასვენების ზონებს;

— იჯარით აღებულ სპორტულ ბაზებს;

— სპორტულ ფორმას, ინვენტარსა და მოწყობილობას, რომელთაც უსასყიდლოდ გამოყოფენ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტები, პროფკავშირული და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციები საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს, სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის, სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1977 წლის 5 აპრილის დადგენილების საფუძველზე (ოქმი № 6, პუნქტი 17).

2. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების მუშაობის დაფინანსების ძირითადი წყაროებია:

— „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 7 მაისის № 410 დადგენილების საფუძველზე საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების შემოსავლიდან 3 პროცენტის ოდენობით გადარიცხული ფულადი სახსრები;

— შტატის პედაგოგ-ორგანიზატორთა (ფიზკულტურის ინსტრუქტორთა) შესანახად განკუთვნილი საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების სახსრები;

— შეფი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრები და მატერიალური საშუალებანი;

— „იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ, რომლებისთვისაც ამ მომსახურების გაწევა ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 31 ივლისის № 716 დადგენილების საფუძველზე ფასიან საბონემენტო ჯგუფებში მომეცადინეთაგან მიღებული ფულადი შენატანები;

— საკუთარი სპორტული ბაზების იჯარისაგან მიღებული სახსრები;

— ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების საბჭოს მიერ განსაზღვრული საწევრო შენატანები.

3. სახსრების ხარჯვის აღრიცხვის მოსაწესრიგებლად დგება ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების შემოსავალ-გასავლის წლიური ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, სადაც შექმნილია ისინი.

4. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების ფასიანი მომსახურებისაგან შემოსული შენატანები ბარდება საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების (საბინაო მეურეობის სამმართველოები და ტრესტები, სახლთმმართველობები, კანტორები, უბნები), სპორტული ბაზებისა და კულტურის პარკების დამოუკიდებელ ბალანსზე არსებულ სალაროებს, ირიცხება საანგარიშსწორებო ანგარიშებზე, აღირიცხება № 96 საბალანსო ანგარიშში „მიზნობრივი დაფინანსება“. ფასიანი ჯგუფების, სექციების, გუნდების შენახვის ხარჯები აღირიცხება № 29 საბალანსო ანგარიშში „არასამრეწველო წარმოებანი და მეურნეობანი“ ცალ-ცალკე. შემოსავლისა და გასავლის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს სპეციალურ სუბანგარიშებზე. კვარტალური და წლიური ანგარიშებისათვის წარდგენილი იქნება ცნობები ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების შემოსავალ-გასავლის შესახებ. ფიზკულტურულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული კლუბების სახსრები იხარჯება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით თვით კლუბების საჭიროებისათვის.

5. სპორტული და გამაჯანსაღებელი ჯგუფების, სექციების, გუნდების მწვრთნელთა და მასწავლებელთა ხელფასის განაკვეთების ოდენობა განისაზღვრება თანახმად ინსტრუქციისა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა ხელფასის გამოანგარიშების წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ 1976 წლის 29 დეკემბერს (ოქმი № 10, პუნქტი 1).

პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისას საანგარიშო და სხვა მუშაკებს (ბუღალტერი, აპარატურის ტექნიკოსი) შრომა აუნაზღაურდებათ ერთ მომეცადინეზე თვეში 15 კაპიკის ოდენობით, არა უმეტეს მუშაკთა სარგოს სატარიფო განაკვეთის 30 პროცენტისა, ხოლო დამლაგებლებსა და სხვა მუშაკებს (ექიმი) შრომა აუნაზღაურდებათ ერთ მომეცადინეზე თვეში 10 კაპიკის ოდენობით, ამასთან არ უნდა აღემატებოდეს შეთავსებულ სამუშაოზე მთლიანი სარგოს ნახევარს, დადგენილი წესის თანახმად.

6. თვითანაზღაურების წესით მომუშავე ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფების, სპორტული სექციებისა და გუნდების (სააბონემენტო-ფასიანი ჯგუფები) თვიური შესატანის ოდენობას აწესებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომი და იხარჯება არასაშტატო შემადგენლობის ხელფასის დადგენილი ფონდის გადამეტებით შესაბამისად საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1962 წლის 22 აგვისტოს დადგენილებისა „სპორტულ სექციებში მომეცადინე პირთა შენატანებისაგან მიღებული სახსრების მწვრთნელთა და სპორტის მასწავლებელთა შრომის ასანაზღაურებლად ხარჯვის შესახებ“.

7. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების ხელმძღვანელ მუშაკთა სამუშაოზე მიღება და სამუშაოზე განთავისუფლება ხდება დადგენილი წესით ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების ხელმძღვენელობის წარდგენით და ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით და ამტკიცებს იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, სადაც შექმნილია ეს კლუბები.

VII. საექიმო კონტროლი

1. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1972 წლის 7 აპრილის № 284 ბრძანების შესაბამისად ყველას, ვინც მეცადინეობს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, სექციებში, გუნდებში, უწესდება მუდმივი საექიმო კონტროლი, რომელსაც ახორციელებენ საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერი, პოლიკლინიკები, ჯანპუნქტები.

2 თითოეულ მომეცადინეზე ივსება დადგენილი ნიმუშის საექიმო-საკონტროლო ბარათი, რომელშიც შეიტანება საექიმო კონტროლისა და სრულ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამედიცინო გამოკვლევის მაჩვენებლები, რაც ტარდება ექვს თვეში ერთხელ მაინც.

VIII. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების მუშაობის აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტაცია

1. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების მთელი საქმიანობა აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში შემდეგი განაყოფების მიხედვით:

— ზოგადი ცნობები მიკრორაიონის შესახებ;

— ცნობები მწვრთნელ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და საზოგადოებრივი აქტივის შესახებ;

— ცნობები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესახებ;

— ცნობები მატერიალურ-სპორტული ბაზის შესახებ;

— დაფინანსების ძირითადი წყაროები, შემოსავალი, გასავალი;

— შემოწმების შედეგები.

2. მწვრონელ-მასწავლებლებს, ინსტრუქტორ-მეთოდისტებს, რომლებიც ატარებენ მეცადინეობებს ჯგუფებში, სექციებში, გუნდებში, უნდა ჰქონდეთ: მეცადინეობათა ცხრილი, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის წლიური გეგმა, გაკვეთილების გეგმები, კონსპექტები, აღრიცხვის ჟურნალი (დასწრება, გავლილი მასალის მოკლე შინაარსი, საექიმო კონტროლის, ჩატარებული შეჯიბრებების, დღესასწაულების, ტურისტული ლაშქრობების, სპარტაკიადების, შეჯიბრებებში მონაწილეობის შედეგები, მშთ ნორმატივების ჩაბარების გრაფიკები და შედეგები).

3. ჯგუფების, სექციების, გუნდების ხელმძღვანელები სისტემატურად ექვს თვეში ერთხელ აბარებენ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების ხელმძღვანელობას.

X. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების ლიკვიდაციის წესი

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბების ლიკვიდაცია ხდება იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, სადაც შექმნილია ისინი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონულ) საბჭოსთან და ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესაბამის კომიტეტთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობისათვის ერთიანი დოკუმენტის შემოღების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისსა და რუსთავში საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობისათვის ერთიანი დოკუმენტის შემოღებას დადებითი შედეგი მოჰყვა. მნიშვნელოვნად შემცირდა დრო საინკასაციო ოპერაციებისათვის და ქაღალდის ხარჯვა.

რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ზემოაღნიშნული დოკუმენტის შემოღების დამთავრების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემოღებულ იქნეს 1987 წლის 1 იანვრიდან საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობასთან ანგარიშსწორების ერთიანი დოკუმენტი რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ:

— უზრუნველყოს 1986 წლის 1 სექტემბრამდე საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური და სხვა მომსახურების გადასახდელთა მისაღებად საჭირო რაოდენობის საანგარიშსწორებო წიგნაკების, აგრეთვე შესაბამისი დებულების დაბეჭდვა რესპუბლიკის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ყველა საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციისათვის;

— გადასახდელთა მიმღებ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელოს შესაბამისი მუშაობა საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის გამოყენების შემოსაღებად;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რომელთაც აქვთ თავიანთ გამგებლობაში საბინაო ფონდი, გასწიოს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საანგარიშსწორებო წიგნაკების შევსებისა და მათი მიხედვით გადასახდელთა შეტანის წესების შესახებ;

— მიიღოს საჭირო ზომები ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების ვადაგადაცილებული დავალიანების ლიკვიდაციისათვის.

3. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომელთაც აქვთ თავიანთ გამგებლობაში საბინაო ფონდი, უზრუნველყონ ანალოგიურ ღონისძიებათა განხორციელება 1987 წლის 1 იანვრიდან საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის შემოსაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობის ანგარიშსწორების დოკუმენტების მანქანური დამუშავება გამოთვლითი სისტემის ტექნიკურ ბაზაზე.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ და სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების საქართველოს რესპუბლიკურმა მთავარმა სამმართველომ:

— გაუწიონ საბინაო-საექსპლუატაციო სამსახურებს პრაქტიკული დახმარება ერთიანი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გამოყენების სამუშაოთა ორგანიზაციაში;

— მიიღონ ზომები საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობის უნაღდო ანგარიშსწორების განსავითარებლად.

6. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქალაქო გაზეთების რედაქციებმა გასწიონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ერთიანი საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიხედვით საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელთა შეტანის წესის შესახებ.

7. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს შეკვეთის საწყისებზე, დამტკიცებული ფორმის მიხედვით, საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის სარგებლობისათვის მოსახლეობისაგან გადასახდელთა მიღების საანგარიშსწორებო წიგნაკების დაბეჭდვა 150 ათასი ცალის რაოდენობით, აგრეთვე საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის შემოღების წესისა და გადასახდელთა მიმღებ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების შესახებ დებულების დაბეჭდვა 1-1 ათასი ცალის რაოდენობით რუსულ და ქართულ ენებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 16 აპრილი, № 250

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 თებერვლის № 237 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 თებერვლის № 237 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სახელმწიფო აპარატის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 აგვისტოს № 578 დადგენილების მე-8 პუნქტი იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც იმაღლებენ კვალიფიკაციას აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში;

„კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელი კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 21 აგვისტოს № 539 დადგენილების მე-5 პუნქტი.

2. მიღებულ იქნეს ცნობდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 თებერვლის № 237 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— 1-ლი პუნქტის მესამე და მეოთხე აბზაცები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 მარტის № 163 დადგენილებით;

— მე-20 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 31 მაისის № 409 დადგენილებისა „ხანძრებისაგან, მავნე მწერებისა და დაავადებებისაგან ტყეების დაცვის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 11 ივლისის № 362 დადგენილებით;

— მე-7 პუნქტის მეოთხე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1973 წლის 23 მაისის № 341 დადგენილებისა „შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ავროსაძრავველო კომპლექსის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში მსმენელთა მატერიალური უზრუნველყოფის პირობების ნაწილში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1973 წლის 3 ივლისის № 418 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 16 აპრილი, № 251

24 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 თებერვლის № 133 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„რკინიგზის, ზღვისა და საჰაერო ტრანსპორტზე სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების, წესრიგისა და მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 8 თებერვლის № 197 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 თებერვლის № 133 დადგენილება „სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე იმ ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ, რომელთა დადება ადმინისტრაციული წესით წარმოებს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 16 აპრილი, № 252

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 695 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 22 მაისის № 462 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 21 თებერვლის № 256 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის შემოღების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 695 დადგენილების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ“ შეიცვალოს სიტყვებით: „ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 21 თებერვლის № 256 დადგენილების შესაბამისად „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების მეცნიერ თანამშრომელთა კონკურსებისა და ატესტაციის ჩატარების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 15 აგვისტოს № 1123 დადგენილებაში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 23 აგვისტოს № 1087 განკარგულებით, 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაციდან ამოღებულია სიტყვები: „და პერიოდულად, ყოველი ხუთი წლის შემდეგ — ლაკავებულ თანამდებობებზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიბვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 16 აპრილი, № 253

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 „იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის № 242 დადგენილების დამატების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საგარეჯოს საექსპორტო და სამარკო ღვინოების ქარხანაში კვალიფიციურ სპეციალისტთა დამკვიდრების მიზნით მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, და დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის № 242 დადგენილებით დამტკიცებული იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის 1-ლ პუნქტს, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი, მუშაკთა კატეგორიები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 21 აპრილი, № 269

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 21 აპრილის № 269 დადგენილების დანართი

ნუსხა

საგარეჯოს საექსპორტო და სამარკო ღვინოების ქარხნის მუშაკებისა, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი აღნიშნული საწარმოს საცხოვრებელ სახლში

ზეინკლები
შემდუღებლები
ოპერატორები
თბომავლის მემანქანეები
მატარებლის შემდგენლები
ინჟინერ-მექანიკოსები
ინჟინერ-ტექნოლოგები
წუნმდებლები
საქვაბე მეურნეობის ლაბორანტები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 რესპუბლიკაში სამეცნიერო და სამეცნიერო პედაგოგიური კადრების მომზადების მდგომარეობისა და მისი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში გარკვეული მუშაობა განხორციელდა რესპუბლიკაში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების შერჩევის, მომზადებისა და განაწილების სრულყოფისათვის.

გაუმჯობესდა სამეცნიერო კადრების შემადგენლობა მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგებისა და სპეციალობების მიხედვით.

ასპირანტთა რაოდენობამ ხუთწლედის დამლევისათვის 1,5 ათას კაცს გადააჭარბა და 1981 წლის 1 იანვართან შედარებით გადიდდა 6,5 პროცენტით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასპირანტთა მომზადების შემდგომ გაფართოებას მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა რადიოფიზიკა, ფიზიკური ელექტრონიკა, რობოტები და მანიპულატორები, გენეტიკა, ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია, ავტომატიკა და გამოთვლითი ტექნიკა, ფხვნილთა მეტალურგია, სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგია, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მასალების ტექნოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ეკონომიკა და სხვ.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ასპირანტთა მომზადების გეოგრაფია. დიდი ყურადღება ეთმობა კადრების მომზადებას სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის, განსაკუთრებით რესპუბლიკის განვითარებადი რაიონებისათვის. გადიდდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების გორის, თელავისა და ქუთაისის, რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონებისათვის დაგეგმილი ასპირანტთა ადგილების რაოდენობა და ა. შ.

მაგრამ რესპუბლიკაში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში არსებითი ნაკლოვანებებია.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში შეიმჩნევა სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთა შორის მეცნიერებათა დოქტორების რიცხვის ხვედრითი წონის დაცემის ტენდენცია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-ხელმძღვანელი პერსონალის ბევრი თანამდებობა მეცნიერებათა დოქტორებსა და კანდიდატებს არ უკავიათ.

მოუწესრიგებელია მეცნიერ მუშაკთა ასაკობრივი შემადგენლობა. რესპუბლიკაში მეცნიერ მუშაკთა საშუალო ასაკია 42 წელი, მეცნიერებათა კანდიდატებისა — 45 წელი, ხოლო მეცნიერებათა დოქტორებისა — 55 წელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სისტემაში სამეცნიერო და საშუალო-პედაგოგიურ მუშაკთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 17,7 პროცენტი შეესაბამება მაქსიმალური შემოქმედებითი აქტივობის პერიოდს (26-დან 40 წლამდე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში მეცნიერებათა დოქტორების საერთო რაოდენობა მხოლოდ 8 არის 40 წლისა და უფრო ახალგაზრდა, ხოლო ყოველი მეხუთე მეცნიერებათა დოქტორი 71 წლისა და უფრო ხნიერია.

ამავე დროს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ დოქტორთა მომზადების გეგმები არ სრულდება. უმაღლესი სასწავლებლები ძალზე არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მეცნიერებათა დოქტორების მომზადების ისეთ ფორმას, როგორიცაა მეცნიერებათა კანდიდატების გადაყვანა უფროს მეცნიერ თანამშრომელთა თანამდებობაზე სადოქტორო დისერტაციის დასამთავრებლად.

იშვიათი როდია შემთხვევები, როცა პროექტის შემუშავებისას წინასწარ არ განისაზღვრება დამატებითი მოთხოვნილება მეცნიერებათა კანდიდატებზე.

საკმაოდ ხშირად ირღვევა გეგმათა პროექტების წარდგენის ვადები.

სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე ასპირანტურაში მიღების გეგმების შესრულებაში. მთლიანად გეგმა სრულდება, მაგრამ ხშირად კონკრეტულ სპეციალობებში საგეგმო დავალებებისაგან გადახვევის ხარჯზე.

საუწყებათაშორისო სარესპუბლიკათაშორისო მიზნობრივ ასპირანტურაში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გეგმები მხოლოდ 40-60 პროცენტით სრულდება.

მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში ირღვევა ასპირანტურაში მიღების წესები, დაბალ დონეზე ტარდება გამოცდები. გამოყენებით მეცნიერებათა ხაზით ასპირანტურაში იღებენ პირებს, რომელთაც არა აქვთ ორი წლის მუშაობის აუცილებელი სტაჟი, არ ხდება საკონკურსო შერჩევა.

დაუსაბუთებლად გახშირდა შემთხვევები, როცა ახალგაზრდა სპეციალისტებს ასპირანტურაში შესვლისათვის რეკომენდაციებს აძლევენ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ამასთან მეტ წილ შემთხვევებში ერთადერთი კრიტერიუმია წარჩინების დიპლომი.

მნიშვნელოვანია იმ ასპირანტთა რაოდენობა, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დაწესებულ ვადებში დისერტაციების მომზადების ამოცანას. დაბალია მომთხოვნელობა მეცნიერი ხელმძღვანელებისადმი პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის მუშაობის ამ სახეობას ახალი ვადით საკონკურსო გადარჩევისას არ ითვალისწინებენ.

დაბალია ასპირანტურაში ჩარიცხულ იმ პირთა ხვედრითი წონა, რომელთაც აქვთ მეცნიერული მუშაობის გამოცდილება, ჩააბარეს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, მოამზადეს დისერტაციის გარკვეული ნაწილი და გამოაქვეყნეს მეცნიერული ნაშრომები, ანდა გაიარეს სტაჟირება ან მაძიებლობის სისტემა.

იმ მიზნით, რომ შესრულდეს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები ორგანულად დაუკავშირდეს მეურნეობის გაძღოლის სოციალისტურ სისტემას, განვითარდეს წარმოებასთან მეცნიერების შერწყმის ახალი ფორმები, გაუმჯობესდეს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება და აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი:

— დაუწესონ მეთორმეტე ხუთწლედისათვის საქვეუწყებო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს მეცნიერებათა დოქტორების მომზადების საგეგმო დავალებანი მათზე მოთხოვნილების გათვალისწინებით, რომელთა მიზანია, უწინარეს ყოვლისა, საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური, დარგობრივი და რეგიონალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებათა უზრუნველყოფა სამეცნიერო დარგების მაღალკვალიფიციური კადრებით;

— ფართოდ გამოიყენონ მეცნიერებათა დოქტორების მომზადების ისეთი ფორმა, როგორიცაა უფროს მეცნიერ თანამშრომელთა თანამდებობაზე იმ სპეციალისტთა გადაყვანა, რომლებიც ამთავრებენ სადოქტორო დისერტაციებს, გააძლიერონ კონტროლი სადოქტორო დისერტაციების მომზადების მდგომარეობისადმი, გაუწიონ მეცნიერ მუშაკებს დახმარება დისერტაციებზე მუშაობის დამთავრებაში;

— მკაცრად დაიცვან შესაბამისი კონკურსებისა და ატესტაციების ჩატარების გზით სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ასაკობრივი სტრუქტურის რეგულირების დადგენილი წესი. უმოკლეს ვადაში მიაღწიონ იმას, რომ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ კოლექტივებში წარმოდგენილი იყოს ყველა ასაკობრივი ჯგუფი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები, რომელთა ასაკობრივი ინტერვალი შეესაბამება მაქსიმალური შემოქმედებითი აქტივობის პერიოდს (26-დან 40 წლამდე), აგრეთვე უფროსი ასაკების მაღალკვალიფიციური მეცნიერი თანამშრომლები (მეცნიერი კონსულტანტები, ასპირანტთა და მაძიებელთა ხელმძღვანელები და ა. შ.).

2. რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა ყურადღება მიექცეს სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, და დაევალოთ მათ:

— აამაღლონ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების პერსპექტიული, ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების დადგენილი წესით შემუშავების დონე, ამასთან მეტი ყურადღება დაუთმონ კადრების მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ განვითარებადს მიმართულებებში, აგრეთვე მიზნობრივი ასპირანტურის გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობათა დასაკმაყოფილებლად, სადაც დაბალია უმაღლესი კვალიფიკაციის კადრებით უზრუნველყოფის დონე, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებისათვის;

— რესპუბლიკის წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების შესაბამისად ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო და სამეცნიერო- პედაგოგიური კადრების მომზადების დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაონ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე მოთხოვნილების განსაზღვრის დარგობრივი მეთოდიკები; დაგეგმვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური, დარგობრივი და რეგიონალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებებით გათვალისწინებულ ამოცანებს;

— დააწესონ მკაცრი კონტროლი ასპირანტურაში მიღების გეგმების შესრულებისადმი; შემოიღონ მისაღები გამოცდების ორ ეტაპად ჩატარება (გაზაფხულსა და შემოდგომაზე) იმ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის აუთვისებელი ადგილების გადანაწილების მიზნით, რომელთაც ყველაზე უფრო სჭირდებათ ისინი;

— გააქტიურონ საქვეუწყებო ორგანიზაციების საქმიანობა იმისათვის, რათა გამოავლინონ და მიიზიდონ ასპირანტურაში ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელმაც გამოიჩინა მაღალი მორალური და პოლიტიკური თვისებები, როგორც ყველაზე უნარიან სტუდენტთა, ისევე სახალხო მეურნეობის მუშაკთა რიცხვიდან: ფართოდ გამოიყენონ წინასწარი სტაჟირება ასპირანტურისწინა მომზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპის სახით; სამეცნიერო საბჭოები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ასპირანტურაში შესასვლელად უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის რეკომენდაციების მიცემას, ფართოდ გამოიყენონ პრაქტიკაში ნიჭიერ სტუდენტთა წინასწარი მომზადება ასპირანტურისათვის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მათი აქტიური ჩაბმის, მომავალი სადისერტაციო ნაშრომის თემაზე მათ მიერ სადიპლომო შრომების შესრულების, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთწლიანი სტაჟირების გამოყენების გზით, ასპირანტურაში შესვლისათვის რეფერატის მოსამზადებლად და საკანდიდატო გამოცდების ჩასაბარებლად; მიზნობრივ ასპირანტურაში გასაგზავნ პირებს გაუწიონ დახმარება ასპირანტურაში შესასვლელად მომზადებაში, ამასთან შექმნან მათთვის ჯგუფები შესასვლელი და საკანდიდატო გამოცდების ჩაბარებისათვის მოსამზადებლად, გამოიყენონ წინასწარი სტაჟირება ასპირანტურისწინა მომზადების სახით;

— გააძლიერონ მომთხოვნელობა ასპირანტთა მეცნიერი ხელმძღვანელებისათვის, გაითვალისწინონ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საქმიანობის ეს სახეობა ახალი ვადით საკონკურსო გადარჩევისას სისტემატურად მოისმინონ მეცნიერ ხელმძღვანელთა ინფორმაციები მათი მუშაობის შესახებ; არ დაუშვან ასპირანტთა მუშაობისადმი სახელმძღვანელოდ პირები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დროული და ხარისხიანი მომზადება და დაუშვეს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების არაეფექტიანი და უკანონო ხარჯვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გააძლიერონ მომთხოვნელობა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებისადმი ინდივიდუალური გეგმების შესრულების შედეგების მიხედვით ასპირანტთა ატესტაციისათვის; ყოველწლიური ატესტაციების დროს ინდივიდუალური გეგმების შესრულებასთან ერთად გაითვალისწინონ ასპირანტთა მიერ განხორციელებული გამოკვლევების მნიშვნელობა, მათი პროფესიული მომზადების ზრდა, მეცნიერული თვალთახედვის სიფართოვე და მორალური თვისებები;

— სისტემატური კონტროლი გაუწიონ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიზნობრივ ასპირანტურაში გაგზავნილ ასპირანტთა მომზადების მიმდინარეობას; ყოველწლიურად განიხილონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და სამინისტროთა კოლეგიების სხდომებზე მიზნობრივ ასპირანტურაში ასპირანტთა მომზადების მდგომარეობის საკითხები. კოლეგიის შესაბამისი გადაწყვეტილებანი წარუდგინონ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს არა უგვიანეს დეკემბრისა;

— არ დაუშვან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მომუშავე სპეციალისტთა მოწვევა ხელმძღვანელებად;

— მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მუშაობა ასპირანტურის კურსდამთავრებულებთან, განურჩევლად იმისა წარდგენილი აქვთ თუ არ წარუდგენიათ დისერტაციები დაწესებულ ვადებში; მოსთხოვონ ხელმძღვანელებს განაგრძონ საჭირო დახმარების გაწევა იმ ასპირანტურადამთავრებულთათვის დისერტაციის დამთავრებაში, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ დისერტაციებზე საასპირანტო მომზადების გავლის დროს, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ვერ დაამთავრეს ეს სამუშაო დაწესებულ ვადებში;

— გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რათა საქვეუწყებო უმაღლესმა სასწავლებლებმა და სამეცნიერო დაწესებულებებმა შეასრულონ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების გადაწყვეტილებანი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების სრულყოფის საკითხზე; ფართოდ გამოიყენონ მიღების გეგმების შესრულების, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და ატესტაციის მდგომარეობის, ასპირანტურის გამოშვების შედეგების შესახებ უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შესაბამის სამინისტროებთან ერთად განაგრძონ მუშაობა მცირერიცხოვან ასპირანტურაში ასპირანტთა მომზადების შემდგომი განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხის შესასწავლად და გადასაწყვეტად (მეცნიერ ხელმძღვანელთა კადრების კვალიფიკაციის, ლაბორატორიულ-კვლევითი ბაზის მატერიალურ-ტექნიკური დონის და მუშაობის ეფექტიანობის გათვალისწინებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებას:

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებში სამეცნიერო კადრების მომზადების გადიდების მიზნით 1986 წლის ბოლომდე შეიმუშაონ და დაამტკიცონ სადისერტაციო გამოკვლევების მიმართულებათა თემატიკა (უწინარეს ყოვლისა, საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური, დარგობრივი და რეგიონალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებათა შესაბამისად;

— დაავალონ საქვეუწყებო ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს განსაზღვრონ უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ რეკომენდაციით ასპირანტურაში შესასვლელად სპეციალობათა ნუსხა, ამასთან შეუთანხმონ იგი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

5. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებმა მთლიანად რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების მომზადების კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შეუთანხმონ ასპირანტურაში სამეცნიერო კადრების მომზადების გეგმათა პროექტები საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში დასამტკიცებლად მათ წარდგენამდე.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების განმახორციელებელ სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების გაერთიანებულ სხდომებზე განიხილოს 1985 წელს ასპირანტთა მიღებისა და გამოშვების (როგორც შინარესპუბლიკურ, ისევე საუწყებათაშორისო ასპირანტურაში) შედეგები, გააანალიზოს ისინი და შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომში ასპირანტთა მიღების დამტკიცებული გეგმების განუხრელი შესრულების უზრუნველსაყოფად.

7. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 22 აპრილი, № 278

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების („საქწყალექსპლუატაცია“) შექმნის შესახებ

„აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების გამო და მართვის საკავშირო სტრუქტურასთან რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მართვის სტრუქტურის მაქსიმალური დაახლოების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 მაისის № 396 დადგენილების შესაბამისად შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება („საქწყალექსპლუატაცია“) საქართველოს სსრ ყოფილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების მთავარი სამმართველოს, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის, სამელიორაციო სისტემათა ექსპლუატაციის სამსახურის ბაზაზე.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების („საქწყალექსპლუატაცია“) აპარატის მუშაკთა რიცხოვნობა და მათი შენახვის ზღვრული ასიგნებანი დაწესდეს № 1 პუნქტში აღნიშნული გაუქმებული ორგანიზაციების აპარატის მუშაკთა რიცხოვნობისა და მათი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, ამასთან გავრცელდეს ახალშექმნილ გაერთიანებაზე გაერთიანებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობები სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1981 წლის 26 მარტის № 96/5-144 დადგენილების № 1, 3, და 4 დანართების თანახმად.

3. გადაეცეს სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის ახალშექმნილი რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების გამგებლობაში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ყველა რაიონული და სარაიონთაშორისო საწარმოო სამმართველო, ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიცია, თბილისის ექსპერიმენტული სარემონტო-მექანიკური ქარხანა, ნორიოს დამხმარე მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების გაუქმებული მთავარი სამმართველოსა და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის გამგებლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული ყველა ორგანიზაცია და საწარმო, ამასთან გავრცელდეს სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებანი.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს დადგენილი წესით დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების („საქწყალექსპლუატაცია") სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 23 აპრილი, № 281

29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 დეკემბრის № 835 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილებით სახელმწიფო აგროსამრეწველო კომპლექსი იგეგმება როგორც ერთი მთლიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 დეკემბრის № 835 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმების ფორმირებისას გაითვალისწინოს, მოყოლებული 1987 წლიდან, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების გადაცემა უშუალოდ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 აპრილი, № 287

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 არქიტექტორთა შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად არასაცხოვრებელი სადგომების გამოყოფის შესახებ

რესპუბლიკის არქიტექტორთა აქტიური და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის ყველაზე წარჩინებულ წევრებს, საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის პრეზიდიუმის რეკომენდაციით შეიძლება გამოეყოთ არასაცხოვრებელი სადგომები (მანსარდები, ნახევარსარდაფები) შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად.

2. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად სადგომების გამოყოფის საკითხები განიხილონ საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის პრეზიდიუმის რეკომენდაციების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 25 აპრილი, № 302

— სოციალისტური კანონიერების დაცვა სამეურნეო ურთიერთობაში, სახელშეკრულებო დისციპლინის სრულყოფა და განმტკიცება, იურიდიული-სამართლებრივი სამსახურის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

— გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ხელმძღვანელობს უშუალოდ მის საქვეუწყებო ქვედანაყოფებს.

4. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, მისი საქვეუწყებო ტრესტები, სახლთსაშენებელი კომბინატები, სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოები, მოძრავი მექანიზებული კოლონები, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები და სხვა საქვეუწყებო ქვედანაყოფები შეადგენენ ერთიან სისტემას, რომელიც სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას საქვეუწყებო ქვედანაყოფებში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ დადგენილი წესით განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს.

6. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, საკუთარი კაპიტალური მშენებლობისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების, ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების, შრომის გეგმების პროექტებს, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსს;

— ახორციელებს გადასვლას საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის უწყვეტ ორწლიან დაგეგმვაზე;

— უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის საგეგმო დავალებათა შესრულებას ყველა ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოფს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა დროულად შესრულებას, პირველ რიგში საექსპლუატაციოდ გადასაცემ მშენებლობებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე უცხოეთის ლიცენზიების გამოყენებით კომპლექტური იმპორტული მოწყობილობის ბაზაზე მშენებარე ობიექტებზე;

— დადგენილი წესით მოაწყობს მუშაობას სატიტულო სიებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემკვეთებთან შესათანხმებლად, აგრეთვე უზრუნველყოფს შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის ანგარიშსწორების პროგრესული ფორმების დანერგვას;

— შეიმუშავებს სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა რაციონალური განვითარებისა და განლაგების სქემებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებათა გათვალისწინებით, აგრეთვე კოორდინაციას გაუწევს სხვა სამინისტროთა და უწყებათა სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოო ბაზების სიმძლავრეთა განვითარებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

— მოაწყობს სამინისტროს სისტემაში ეკონომიკურ მუშაობას, განახორციელებს სამეურნეო ანგარიშის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებებს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, ძირეული სამეურნეო ანგარიშისა — უბნებზე და ბრიგადებში;

— დააფინანსებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებსა და საწარმოებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას, მოაწყობს და გააკონტროლებს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას; განიხილავს და დაამტკიცებს საქვეუწყებო ორგანიზაციათა და საწარმოთა ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს სამინისტროს საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის პერიოდულ და წლიურ კრებსით საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, აგრეთვე განახორციელებს სამინისტროს ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საფინანსო კონტროლსა და რევიზიებს, უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას, განახორციელებს ღონისძიებებს პირველადი დოკუმენტაციისა და პირველადი აღრიცხვის შემდგომი გამარტივების, შემცირებისა და სრულყოფის, მანქანური აღრიცხვის დანერგვის მიზნით;

— შექმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად; გახსნის ბანკებში გასანაწილებელ ანგარიშებს საქვეუწყებო ქვედანაყოფებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგებისა და სხვა სახსრების გადასანაწილებლად;

— შეიტანს საჭიროების შემთხვევაში დადგენილი წესით ცვლილებებს სამინისტროს ორგანიზაციათა სამეურნეო და საფინანსო გეგმებში, მთლიანად სამინისტროს ხაზით დამტკიცებული მაჩვენებლების შეუცვლელად, ბიუჯეტის გადასახდელთა შეუმცირებლად და ბიუჯეტიდან დაფინანსების გაუდიდებლად;

— მოაწყობს სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საინჟინრო-ტექნიკურ კომპლექტაციას რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურსებით, უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების [illegible]
რას უმნიშვნელოვანეს მშენებლობებსა და ასამუშავებელ ობიექტებზე, კონტ-
როლს გაუწევს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმის შესრულე-
ბას;

— განსაზღვრავს მოთხოვნილებას მასალებზე, მოწყობილობაზე, სატ-
რანსპორტო საშუალებებსა და სხვა რესურსებზე, მიიღებს და გაანაწილებს
დადგენილი წესით გამოყოფილ ფონდებს მომხმარებელთა შორის, კონტროლს
გაუწევს მათს რეალიზაციასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას, განავი-
თარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ და
მომხმარებელ საწარმოთა შორის, გააკონტროლებს საწარმოებისა და ორგანი-
ზაციების მიერ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასა და შესრულებას,
უზრუნველყოფს მასალების სწორ შენახვას;

— მოაწყობს მუშაობას მატერიალურ-ტექნიკური და სათბობ-ენერგეტი-
კული რესურსების ეკონომიისათვის;

— შექმნის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სუბ-
საიჯარო ორგანიზაციებისათვის საჭირო პირობებს, რომლებიც უზრუნველყო-
ფენ მათ მიერ სამონტაჟო და სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოთა დროუ-
ლად და სათანადოდ შესრულებას;

— ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას საქვეუწყებო ორგანიზაციების
მიერ კაპიტალური მშენებლობის საიჯარო და სუბსაიჯარო ხელშეკრულებათა,
აგრეთვე მიწოდების ხელშეკრულებათა დასადებად, უზრუნველყოფს ამ ხელ-
შეკრულებათა როლის ამაღლებას და განახორციელებს კონტროლს მათი
შესრულებისადმი;

— უზრუნველყოფს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის
შემუშავებასა და დანერგვას ანაზღაურების პროგრესული ფორმების გამო-
ყენებით, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების სწრაფ ზრდას,
თვითღირებულების შემცირებასა და რესურსების რაც შეიძლება უკეთ გამო-
ყენებას;

— განახორციელებს მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების, მშენე-
ლობებზე პროგრესული პროექტებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის
ღონისძიებებს;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია
სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზის განვითარება, მშენებლობის
ორგანიზაციის გაუმჯობესება, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების,
სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობის რაციონალური გამოყე-
ნება, მათი რემონტის მოწესრიგება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, სამ-
რეწველო საწარმოთა პროდუქციის გამოშვების გადიდება, ხარისხის გაუმ-
ჯობესება და თვითღირებულების შემცირება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუ-
შაოთა თვითღირებულების შემცირება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება,
ძირითადი საბრუნავი სახსრების უფრო ეფექტიანი გამოყენება, ყველა სა-
ქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ დაგროვების გეგმების და მო-
ვების ანარიცხებისა და სხვა გადასახდელთა შესატანად ბიუჯეტის წინაშე ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისრი ვალდებულებების, აგრეთვე კაპიტალური დაბანდებების, ასევე ბანკებში საკუთარი სახსრების შეტანის ვალდებულებათა შესრულება, და უზრუნველყოფს კონტროლს ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

— გაანაწილებს და გადაანაწილებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებს შორის კაპიტალურ დაბანდებებს საკუთარი მშენებლობისათვის, მასალების, მოწყობილობის, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ფონდებს, საკუთარ საბრუნავ სახსრებს, დაკრედიტების ლიმიტებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამინისტროსათვის ბანკების საკრედიტო გეგმების მიხედვით;

— მოაწყობს მშენებლობაში მოწინავე გამოცდილების ფართოდ გაცვლა-გაზიარებას, განახორციელებს მშენებლობის სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების დანერგვის ღონისძიებებს;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სამშენებლო ნორმებისა და წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვას;

— ხელმძღვანელობას გაუწევს საქვეუწყებო საპროექტო-ტექნოლოგიური საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ბიუროებისა და სხვა ანალოგიური ორგანიზაციების მუშაობას და განახორციელებს კონტროლს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი;

— შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს ახალი სამშენებლო მანქანების, მექანიზებული ინსტრუმენტისა და სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების შესაქმნელად, მონაწილეობს მათი მიღების გამოცდის ჩატარებაში;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებში დამტკიცებული გეგმების შესაბამისად საჭირო საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების, აგრეთვე მცირე მექანიზაციის იმ საშუალებათა წარმოებას, რომელთაც არ აწვდის მრეწველობა;

— მოაწყობს საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გადაზიდვას ტექნოლოგიური სპეციალიზებული ტრანსპორტითა და ნაკადებით, იმ ვარაუდით, რომ შემცირდეს შემხვედრი ტვირთზიდვის მოცულობა და რკინიგზის ვაგონების მოცდენა;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის გამომუშავების საუწყებო ნორმებსა და სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ფასდებებს, რომლებიც გათვალისწინებული არაა გამომუშავების ერთიანი ნორმებითა და ფასდებებით;

— შეიმუშავებს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით წინადადებებს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასის სისტემის გაუმჯობესების შესახებ და წარადგენს მათ დადგენილი წესით განსახილველად, კონტროლს გაუწევს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებას, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ხელფასის ფონდის სწორად ხარჯვას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო ქვედანაყოფების აპარატის სტრუქტურის სრულყოფისა და მისი შენახვის ხარჯების შემცირებისათვის;

— მოაწყობს სამინისტროს საუწყებო არბიტრაჟში საქვეუწყებო ქვედანაყოფთა შორის წამოჭრილი ქონებრივი და ხელშეკრულებისწინა დავის განხილვას;

— განახორციელებს მუშაობას ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა შერჩევის, აღზრდის, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და მათი სწორი გამოყენების მიზნით, განახორციელებს კონტროლს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ამ მუშაობის მიმდინარეობისადმი;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის, შეადგენს საქვეუწყებო სასწავლებელთა დაკომპლექტების გეგმებს კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ, მოაწყობს ამ გეგმების შესრულებას;

— მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეკონომიურად ხარჯვა, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარებას;

— მიიღებს ზომებს ორგანიზაციებსა და საწარმოებში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშენებელთა შრომის პირობების, საზოგადოებრივი კვების, სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება, სხვა კულტურულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარება;

— წარადგენს დადგენილი წესით მოწინავე მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს საპატიო წოდებების მისანიჭებლად, სახელმწიფო და საუწყებო ჯილდოების მისაღებად, გამოიყენებს სხვა სახის წახალისებებს;

— დროულად და გულდასმით განიხილავს მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს, აგრეთვე მიიღებს ზომებს საქვეუწყებო ქვედანაყოფების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— მოაწყობს მუშაობას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის გასაუმჯობესებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შექმნის, გარდაქმნის, სხვა ადგილზე გადაიყვანს და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს სტაციონარულ და მობილურ სამშენებლო, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული შრომის გეგმისა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, აგრეთვე განახორციელებს ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გადაყვანას შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან მეორეში;

— შეიმუშავებს და განახორციელებს სამინისტროს სისტემის ორგანიზაციათა და საწარმოთა სოციალური განვითარების ღონისძიებებს.

7. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს მინისტრი.

8. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს მინისტრის მოადგილეთა და სამინისტროს საქვეუწყებო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მუშაობისათვის.

9. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა საქვეუწყებო ქვედანაყოფების მიერ შესასრულებლად, და ამოწმებს მათს შესრულებას.

გამოსცემს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი:

— წარმართავს სამინისტროს აპარატის მუშაობას, პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის და ანაწილებს მოვალეობებს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა შორის;

— მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან სამინისტროს აპარატის მუშაკებს, აგრეთვე დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით — გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობისათვის ერთიანი დოკუმენტის შემოღების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისსა და რუსთავში საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობისათვის ერთიანი დოკუმენტის შემოღებას დადებითი შედეგი მოჰყვა. მნიშვნელოვნად შემცირდა დრო საინკასაციო ოპერაციებისათვის და ქაღალდის ხარჯვა.

რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ზემოაღნიშნული დოკუმენტის შემოღების დამთავრების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემოღებულ იქნეს 1987 წლის 1 იანვრიდან საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობასთან ანგარიშსწორების ერთიანი დოკუმენტი რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ:

— უზრუნველყოს 1986 წლის 1 სექტემბრამდე საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური და სხვა მომსახურების გადასახდელთა მისაღებად საჭირო რაოდენობის საანგარიშსწორებო წიგნაკების, აგრეთვე შესაბამისი დებულების დაბეჭდვა რესპუბლიკის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ყველა საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციისათვის;

— გადასახდელთა მიმღებ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელოს შესაბამისი მუშაობა საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის გამოყენების შემოსაღებად;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რომელთაც აქვთ თავიანთ გამგებლობაში საბინაო ფონდი, გასწიოს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საანგარიშსწორებო წიგნაკების შევსებისა და მათი მიხედვით გადასახდელთა შეტანის წესების შესახებ;

— მიიღოს საჭირო ზომები ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადაგადაცილებული დავალიანების ლიკვიდაციისათვის.

3. სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომელთაც აქვთ თავიანთ გამგებლობაში საბინაო ფონდი, უზრუნველყონ ანალოგიური ღონისძიებათა განხორციელება 1987 წლის 1 იანვრიდან საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის შემოსაღებად.

4. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობის ანგარიშსწორების დოკუმენტების მანქანური დამუშავება გამოთვლითი სისტემის ტექნიკურ ბაზაზე.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ და სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების საქართველოს რესპუბლიკურმა მთავარმა სამმართველომ:

— გაუწიონ საბინაო-საექსპლუატაციო სამსახურებს პრაქტიკული დახმარება ერთიანი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გამოყენების სამუშაოთა ორგანიზაციაში;

— მიიღონ ზომები საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობის უნაღდო ანგარიშსწორების განსავითარებლად.

6. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქალაქო გაზეთების რედაქციებმა გასწიონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ერთიანი საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიხედვით საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელთა შეტანის წესის შესახებ.

7. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს შეკვეთის საწყისებზე, დამტკიცებული ფორმის მიხედვით, საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის სარგებლობისათვის მოსახლეობისაგან გადასახდელთა მიღების საანგარიშსწორებო წიგნაკების დაბეჭდვა 150 ათასი ცალის რაოდენობით, აგრეთვე საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის შემოღების წესისა და გადასახდელთა მიმღებ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების შესახებ დებულების დაბეჭდვა 1-1 ათასი ცალის რაოდენობით რუსულ და ქართულ ენებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 16 აპრილი, № 250

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 თებერვლის № 237 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 თებერვლის № 237 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სახელმწიფო აპარატის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 აგვისტოს № 578 დადგენილების მე-8 პუნქტი იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც იმაღლებენ კვალიფიკაციას აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში;

„კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელი კადრების მომზადების ვაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 21 აგვისტოს № 539 დადგენილების მე-5 პუნქტი.

2. მიღებულ იქნეს ცნობდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 თებერვლის № 237 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— 1-ლი პუნქტის მესამე და მეოთხე აბზაცები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 მარტის № 163 დადგენილებით;

— მე-20 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 31 მაისის № 409 დადგენილებისა „ხანძრებისაგან, მავნე მწერებისა და დაავადებებისაგან ტყეების დაცვის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 11 ივლისის № 362 დადგენილებით;

— მე-7 პუნქტის მეოთხე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1973 წლის 23 მაისის № 341 დადგენილებისა „შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 695 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 22 მაისის № 462 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 21 თებერვლის № 256 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის შემოღების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 695 დადგენილების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ“ შეიცვალოს სიტყვებით: „ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 21 თებერვლის № 256 დადგენილების შესაბამისად „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების მეცნიერ თანამშრომელთა კონკურსებისა და ატესტაციის ჩატარების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 15 აგვისტოს № 1123 დადგენილებაში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 23 აგვისტოს № 1087 განკარგულებით, 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაციდან ამოღებულია სიტყვები: „და პერიოდულად, ყოველი ხუთი წლის შემდეგ — ღია კავებულ თანამდებობებზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 16 აპრილი, № 253

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 „იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის № 242 დადგენილების დამატების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საგარეჯოს საექსპორტო და სამარკო ღვინოების ქარხანაში კვალიფიციურ სპეციალისტთა დამკვიდრების მიზნით მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, და დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის № 242 დადგენილებით დამტკიცებული იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის 1-ლ პუნქტს, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი, მუშაკთა კატეგორიები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 21 აპრილი, № 269

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1986 წლის 21 აპრილის № 269 დადგენილების დანართი

ნუსხა

საგარეჯოს საექსპორტო და სამარკო ღვინოების ქარხნის მუშაკებისა, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი აღნიშნული საწარმოს საცხოვრებელ სახლში

ზეინკლები
შემდუღებლები
ოპერატორები
თბომავლის მემანქანეები
მატარებლის შემდგენლები
ინჟინერ-მექანიკოსები
ინჟინერ-ტექნოლოგები
წუნმდებლები
საქვაბე მეურნეობის ლაბორანტები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 რესპუბლიკაში სამეცნიერო და სამეცნიერო პედაგოგიური კადრების მომზადების მდგომარეობისა და მისი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში გარკვეული მუშაობა განხორციელდა რესპუბლიკაში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების შერჩევის, მომზადებისა და განაწილების სრულყოფისათვის.

გაუმჯობესდა სამეცნიერო კადრების შემადგენლობა მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგებისა და სპეციალობების მიხედვით.

ასპირანტთა რაოდენობამ ხუთწლედის დამლევისათვის 1,5 ათას კაცს გადაამეტა და 1981 წლის 1 იანვართან შედარებით გადიდდა 6,5 პროცენტით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასპირანტთა მომზადების შემდგომ გაფართოებას მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა რადიოფიზიკა, ფიზიკური ელექტრონიკა, რობოტები და მანიპულატორები, გენეტიკა, ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგია და ბიოტექნოლოგია, ავტომატიკა და გამოთვლითი ტექნიკა, ფხვნილთა მეტალურგია, სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგია, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მასალების ტექნოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ეკონომიკა და სხვ.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ასპირანტთა მომზადების გეოგრაფია. დიდი ყურადღება ეთმობა კადრების მომზადებას სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის, განსაკუთრებით რესპუბლიკის განვითარებადი რაიონებისათვის. გადიდდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების გორის, თელავისა და ქუთაისის, რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონებისათვის დაგეგმილი ასპირანტთა ადგილების რაოდენობა და ა. შ.

მაგრამ რესპუბლიკაში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში არსებითი ნაკლოვანებებია.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში შეიმჩნევა სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთა შორის მეცნიერებათა დოქტორების რიცხვის ხვედრითი წონის დაცემის ტენდენცია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-ხელმძღვანელი პერსონალის ბევრი თანამდებობა მეცნიერებათა დოქტორებსა და კანდიდატებს არ უკავიათ.

მოუწესრიგებელია მეცნიერ მუშაკთა ასაკობრივი შემადგენლობა. რესპუბლიკაში მეცნიერ მუშაკთა საშუალო ასაკია 42 წელი, მეცნიერებათა კანდიდატებისა — 45 წელი, ხოლო მეცნიერებათა დოქტორებისა — 55 წელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სისტემაში სამეცნიერო და საშუალო-პედაგოგიურ მუშაკთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 17,7 პროცენტი შეესაბამება მაქსიმალური შემოქმედებითი აქტივობის პერიოდს (26-დან 40 წლამდე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში მეცნიერებათა დოქტორების საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 8 არის 40 წლისა და უფრო ახალგაზრდა, ხოლო ყოველი მეხუთე მეცნიერებათა დოქტორი 71 წლისა და უფრო ხნიერია.

ამავე დროს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ დოქტორთა მომზადების გეგმები არ სრულდება. უმაღლესი სასწავლებლები ძალზე არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მეცნიერებათა დოქტორების მომზადების ისეთ ფორმას, როგორიცაა მეცნიერებათა კანდიდატების გადაყვანა უფროს მეცნიერ თანამშრომელთა თანამდებობაზე სადოქტორო დისერტაციის დასამთავრებლად.

იშვიათი როდია შემთხვევები, როცა პროექტის შემუშავებისას წინასწარ არ განისაზღვრება დამატებითი მოთხოვნილება მეცნიერებათა კანდიდატებზე.

საკმაოდ ხშირად ირღვევა გეგმათა პროექტების წარდგენის ვადები.

სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე ასპირანტურაში მიღების გეგმების შესრულებაში. მთლიანად გეგმა სრულდება, მაგრამ ხშირად კონკრეტულ სპეციალობებში საგეგმო დავალებებისაგან გადახვევის ხარჯზე.

საუწყებათაშორისო სარესპუბლიკათაშორისო მიზნობრივ ასპირანტურაში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გეგმები მხოლოდ 40-60 პროცენტით სრულდება.

მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში ირღვევა ასპირანტურაში მიღების წესები, დაბალ დონეზე ტარდება გამოცდები. გამოყენებით მეცნიერებათა ხაზით ასპირანტურაში იღებენ პირებს, რომელთაც არა აქვთ ორი წლის მუშაობის აუცილებელი სტაჟი, არ ხდება საკონკურსო შერჩევა.

დაუსაბუთებლად გახშირდა შემთხვევები, როცა ახალგაზრდა სპეციალისტებს ასპირანტურაში შესვლისათვის რეკომენდაციებს აძლევენ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ამასთან მეტ წილ შემთხვევებში ერთადერთი კრიტერიუმია წარჩინების დიპლომი.

მნიშვნელოვანია იმ ასპირანტთა რაოდენობა, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დაწესებულ ვადებში დისერტაციების მომზადების ამოცანას. დაბალია მომთხოვნელობა მეცნიერი ხელმძღვანელებისადმი პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის მუშაობის ამ სახეობას ახალი ვადით საკონკურსო გადარჩევისას არ ითვალისწინებენ.

დაბალია ასპირანტურაში ჩარიცხულ იმ პირთა ხვედრითი წონა, რომელთაც აქვთ მეცნიერული მუშაობის გამოცდილება, ჩააბარეს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, მოამზადეს დისერტაციის გარკვეული ნაწილი და გამოაქვეყნეს მეცნიერული ნაშრომები, ანდა გაიარეს სტაჟირება ან მაძიებლობის სისტემა.

იმ მიზნით, რომ შესრულდეს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები ორგანულად დაუკავშირდეს მეურნეობის გაძღოლის სოციალისტურ სისტემას, განვითარდეს წარმოებასთან მეცნიერების შერწყმის ახალი ფორმები, გაუმჯობესდეს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება და აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი:

— დაუწესონ მეთორმეტე ხუთწლედისათვის საქვეუწყებო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს მეცნიერებათა დოქტორების მომზადების საგეგმო დავალებანი მათზე მოთხოვნილების გათვალისწინებით, რომელთა მიზანია, უწინარეს ყოვლისა, საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური, დარგობრივი და რეგიონალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებათა უზრუნველყოფა სამეცნიერო დარგების მაღალკვალიფიციური კადრებით;

— ფართოდ გამოიყენონ მეცნიერებათა დოქტორების მომზადების ისეთი ფორმა, როგორიცაა უფროს მეცნიერ თანამშრომელთა თანამდებობაზე იმ სპეციალისტთა გადაყვანა, რომლებიც ამთავრებენ სადოქტორო დისერტაციებს, გააძლიერონ კონტროლი სადოქტორო დისერტაციების მომზადების მდგომარეობისადმი, გაუწიონ მეცნიერ მუშაკებს დახმარება დისერტაციებზე მუშაობის დამთავრებაში;

— მკაცრად დაიცვან შესაბამისი კონკურსებისა და ატესტაციების ჩატარების გზით სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ასაკობრივი სტრუქტურის რეგულირების დადგენილი წესი. უმოკლეს ვადაში მიაღწიონ იმას, რომ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ კოლექტივებში წარმოდგენილი იყოს ყველა ასაკობრივი ჯგუფი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები, რომელთა ასაკობრივი ინტერვალი შეესაბამება მაქსიმალური შემოქმედებითი აქტივობის პერიოდს (26-დან 40 წლამდე), აგრეთვე უფროსი ასაკების მაღალკვალიფიციური მეცნიერი თანამშრომლები (მეცნიერი კონსულტანტები, ასპირანტთა და მაძიებელთა ხელმძღვანელები და ა. შ.).

2. რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა ყურადღება მიექცეს სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, და დაევალოთ მათ:

— აამაღლონ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების პერსპექტიული, ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების დადგენილი წესით შემუშავების დონე, ამასთან მეტი ყურადღება დაუთმონ კადრების მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ განვითარებადს მიმართულებებში, აგრეთვე მიზნობრივი ასპირანტურის გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-ბათა დასაკმაყოფილებლად, სადაც დაბალია უმაღლესი კვალიფიკაციის კადრებით უზრუნველყოფის დონე, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებისათვის;

— რესპუბლიკის წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების შესაბამისად ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო და სამეცნიერო- პედაგოგიური კადრების მომზადების დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაონ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე მოთხოვნილების განსაზღვრის დარგობრივი მეთოდიკები; დაგეგმვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური, დარგობრივი და რეგიონალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებებით გათვალისწინებულ ამოცანებს;

— დააწესონ მკაცრი კონტროლი ასპირანტურაში მიღების გეგმების შესრულებისადმი; შემოიღონ მისაღები გამოცდების ორ ეტაპად ჩატარება (გაზაფხულსა და შემოდგომაზე) იმ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის აუთვისებელი ადგილების გადანაწილების მიზნით, რომელთაც ყველაზე უფრო სჭირდებათ ისინი;

— გააქტიურონ საქვეუწყებო ორგანიზაციების საქმიანობა იმისათვის, რათა გამოავლინონ და მიიზიდონ ასპირანტურაში ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელმაც გამოიჩინა მაღალი მორალური და პოლიტიკური თვისებები, როგორც ყველაზე უნარიან სტუდენტთა, ისევე სახალხო მეურნეობის მუშაკთა რიცხვიდან: ფართოდ გამოიყენონ წინასწარი სტაჟირება ასპირანტურისწინა მომზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპის სახით; სამეცნიერო საბჭოები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ასპირანტურაში შესასვლელად უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის რეკომენდაციების მიცემას, ფართოდ გამოიყენონ პრაქტიკაში ნიჭიერ სტუდენტთა წინასწარი მომზადება ასპირანტურისათვის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მათი აქტიური ჩაბმის, მომავალი სადისერტაციო ნაშრომის თემაზე მათ მიერ სადიპლომო შრომების შესრულების, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთწლიანი სტაჟირების გამოყენების გზით, ასპირანტურაში შესვლისათვის რეფერატის მოსამზადებლად და საკანდიდატო გამოცდების ჩასაბარებლად; მიზნობრივ ასპირანტურაში გასაგზავნ პირებს გაუწიონ დახმარება ასპირანტურაში შესასვლელად მომზადებაში, ამასთან შექმნან მათთვის ჯგუფები შესასვლელი და საკანდიდატო გამოცდების ჩაბარებისათვის მოსამზადებლად, გამოიყენონ წინასწარი სტაჟირება ასპირანტურისწინა მომზადების სახით;

— გააძლიერონ მომთხოვნელობა ასპირანტთა მეცნიერი ხელმძღვანელებისათვის, გაითვალისწინონ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საქმიანობის ეს სახეობა ახალი ვადით საკონკურსო გადარჩევისას სისტემატურად მოისმინონ მეცნიერ ხელმძღვანელთა ინფორმაციები მათი მუშაობის შესახებ; არ დაუშვან ასპირანტთა მუშაობისადმი სახელმძღვანელოდ პირები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დროული და ხარისხიანი მომზადება და დაუშვეს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების არაეფექტიანი და უკანონო ხარჯვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გააძლიერონ მომთხოვნელობა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებისადმი ინდივიდუალური გეგმების შესრულების შედეგების მიხედვით ასპირანტთა ატესტაციისათვის; ყოველწლიური ატესტაციების დროს ინდივიდუალური გეგმების შესრულებასთან ერთად გაითვალისწინონ ასპირანტთა მიერ განხორციელებული გამოკვლევების მნიშვნელობა, მათი პროფესიული მომზადების ზრდა, მეცნიერული თვალთახედვის სიფართოვე და მორალური თვისებები;

— სისტემატური კონტროლი გაუწიონ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიზნობრივ ასპირანტურაში გაგზავნილ ასპირანტთა მომზადების მიმდინარეობას; ყოველწლიურად განიხილონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და სამინისტროთა კოლეგიების სხდომებზე მიზნობრივ ასპირანტურაში ასპირანტთა მომზადების მდგომარეობის საკითხები. კოლეგიის შესაბამისი გადაწყვეტილებანი წარუდგინონ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს არა უგვიანეს დეკემბრისა;

— არ დაუშვან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მომუშავე სპეციალისტთა მოწვევა ხელმძღვანელებად;

— მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მუშაობა ასპირანტურის კურსდამთავრებულებთან, განურჩევლად იმისა წარდგენილი აქვთ თუ არ წარუდგენიათ დისერტაციები დაწესებულ ვადებში; მოსთხოვონ ხელმძღვანელებს განაგრძონ საჭირო დახმარების გაწევა იმ ასპირანტურადამთავრებულთათვის დისერტაციის დამთავრებაში, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ დისერტაციებზე საასპირანტო მომზადების გავლის დროს, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ვერ დაამთავრეს ეს სამუშაო დაწესებულ ვადებში;

— გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რათა საქვეუწყებო უმაღლესმა სასწავლებლებმა და სამეცნიერო დაწესებულებებმა შეასრულონ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების გადაწყვეტილებანი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების სრულყოფის საკითხზე; ფართოდ გამოიყენონ მიღების გეგმების შესრულების, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და ატესტაციის მდგომარეობის, ასპირანტურის გამოშვების შედეგების შესახებ უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შესაბამის სამინისტროებთან ერთად განაგრძონ მუშაობა მცირერიცხოვან ასპირანტურაში ასპირანტთა მომზადების შემდგომი განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხის შესასწავლად და გადასაწყვეტად (მეცნიერ ხელმძღვანელთა კადრების კვალიფიკაციის, ლაბორატორიულ-კვლევითი ბაზის მატერიალურ-ტექნიკური დონის და მუშაობის ეფექტიანობის გათვალისწინებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებას:

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებში სამეცნიერო კადრების მომზადების გადიდების მიზნით 1986 წლის ბოლომდე შეიმუშაონ და დაამტკიცონ სადისერტაციო გამოკვლევების მიმართულებათა თემატიკა (უწინარეს ყოვლისა, საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური, დარგობრივი და რეგიონალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებათა შესაბამისად;

— დაავალონ საქვეუწყებო ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს განსაზღვრონ უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ რეკომენდაციით ასპირანტურაში შესასვლელად სპეციალობათა ნუსხა, ამასთან შეუთანხმონ იგი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

5. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებმა მთლიანად რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების მომზადების კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შეუთანხმონ ასპირანტურაში სამეცნიერო კადრების მომზადების გეგმათა პროექტები საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში დასამტკიცებლად მათ წარდგენამდე.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების განმახორციელებელ სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების გაერთიანებულ სხდომებზე განიხილოს 1985 წელს ასპირანტთა მიღებისა და გამოშვების (როგორც შინარესპუბლიკურ, ისევე საუწყებათაშორისო ასპირანტურაში) შედეგები, გააანალიზოს ისინი და შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი შემდგომში ასპირანტთა მიღების დამტკიცებული გეგმების განუხრელი შესრულების უზრუნველსაყოფად.

7. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 22 აპრილი, № 278

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების („საქწყალექსპლუატაცია") შექმნის შესახებ

„აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის გაუქმების გამო და მართვის საკავშირო სტრუქტურასთან რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მართვის სტრუქტურის მაქსიმალური დაახლოების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 მაისის № 396 დადგენილების შესაბამისად შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება („საქწყალექსპლუატაცია") საქართველოს სსრ ყოფილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების მთავარი სამმართველოს, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის, სამელიორაციო სისტემათა ექსპლუატაციის სამსახურის ბაზაზე.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების („საქწყალექსპლუატაცია") აპარატის მუშაკთა რიცხოვნობა და მათი შენახვის ზღვრული ასიგნებანი დაწესდეს № 1 პუნქტში აღნიშნული გაუქმებული ორგანიზაციების აპარატის მუშაკთა რიცხოვნობისა და მათი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, ამასთან გავრცელდეს ახალშექმნილ გაერთიანებაზე გაერთიანებების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობები სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1981 წლის 26 მარტის № 96/5-144 დადგენილების № 1, 3, და 4 დანართების თანახმად.

3. გადაეცეს სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის ახალშექმნილი რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების გამგებლობაში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ყველა რაიონული და სარაიონთაშორისო საწარმოო სამმართველო, ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიცია, თბილისის ექსპერიმენტული სარემონტო-მექანიკური ქარხანა, ნორიოს დამხმარე მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების გაუქმებული მთავარი სამმართველოსა და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის გამგებლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული ყველა ორგანიზაცია და საწარმო, ამასთან გავრცელდეს ამ ნაწილზე სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული უფლებანი.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს დადგენილი წესით დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების („საქწყალექსპლუატაცია") სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 23 აპრილი, № 281

29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 დეკემბრის № 835 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილებით სახელმწიფო აგროსამრეწველო კომპლექსი იგეგმება როგორც ერთი მთლიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 დეკემბრის № 835 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმების ფორმირებისას გაითვალისწინოს, მოყოლებული 1987 წლიდან, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების გადაცემა უშუალოდ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისათვის".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 24 აპრილი, № 287

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 არქიტექტორთა შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად არასაცხოვრებელი სადგომების გამოყოფის შესახებ

რესპუბლიკის არქიტექტორთა აქტიური და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის ყველაზე წარჩინებულ წევრებს, საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის პრეზიდიუმის რეკომენდაციით შეიძლება გამოეყოთ არასაცხოვრებელი სადგომები (ძანსარდები, ნახევარსარდაფები) შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად.

2. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შემოქმედებითი სახელოსნოების მოსაწყობად სადგომების გამოყოფის საკითხები განიხილონ საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის პრეზიდიუმის რეკომენდაციების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1986 წ. 25 აპრილი, № 302

ინდექსი — 78187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2, 1986 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VIII-86 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 12, სააღრიცხვო თაბახი 12.

შეკვეთა 698 უე 13725 ტირაჟი 2010

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა